# საქართველოს ქალი

645/2
2006

**2006**
**№9-10**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დიდება

ხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯუარითა ბარბაროზთა ზედა
ღვთივდაცულსა ერსა ჩუენსა მოანიჭე და საფარველსა ქუეშე მისსა დაიცევ, რაითა ვიტყოდეთ:
უფალო, დიდება შენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# [illegible]

თბილისის სასულიერო აკადემიაში დაარსდა წმიდა თამარ მეფის სახელობის მოწყალების დებისა და სოციალური მედიცინის ინსტიტუტი. ნებისმიერი სიახლე მუდამ იპყრობს საზოგადოების ყურადღებას, მით უფრო, თუ ის მოწყალებასთან არის დაკავშირებული და გაიგივებული.

ყოველთვის ვცდილობ, ზომიერად შევაფასო ესა თუ ის ფაქტი, ყოველგვარი გადაჭარბებული ემოციებისა და ეპითეტების გარეშე. თუმცა ის, რაც ვნახე და მოვისმინე, მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ: ჭეშმარიტად საღვთო საქმე კეთდება! ინსტიტუტი საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, იღუმენი ადამის – ვახტანგ ახალაძის დიდი ხნის ძალისხმევის შედეგად შეიქმნა.



მოწყალების დის საქმეს 36 ახალგაზრდა ქალბატონი სწავლობს, რაღა დაგიმალოთ და განცვიფრება ვერ დავმალე, როცა გავიგე, რომ ბევრ მათგანს უკვე აქვს ექიმის დიპლომი. დიახ, ისინი ჰუმანური და კეთილშობილი პროფესიის წარმომადგენლები არიან. და მაინც, ხელახლა ინტერესითა და გულმოდგინებით შეისწავლიან ანატომიას, თერაპიას, ქირურგიას...

ჩემი გაოცების პასუხად მომავალმა სათნოების დებმა მართლაც სათნოდ და გულმოწყალედ გამიღიმეს და ჩვენი საუბარიც ბუნებრივად წარიმართა.

**ევგენია მენაბდე:** ინსტიტუტში მოძღვრის კურთხევით მოვედი. ძველი სამებისა და სოლოლაკის ამაღლების ტაძრებში მედავითნე ვარ. უფალმა ინება და ჩემი პროფესიისა და სულიერი მოწოდების ერთმანეთთან დაკავშირება მოვახერხე. დღითი დღე ვრწმუნდები, რომ მოწყალების დის საქმე ღვთის სიტყვას, ღვთის სიყვარულსა და ექიმის მოვალეობას აერთიანებს.

**– ესე იგი, შეიძლება ითქვას, რომ უფალმა რთული და საპასუხისმგებლო მისია დაგაკისრათ...**

**სოფო გოგოლაური:** მოწყალების დის პროფესია განსაკუთრებით საჭიროა დღეს, სულიერი დეფიციტის პირობებში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ავადმყოფ ბებიას ვუვლიდი. ვგრძნობდი, რამდენად ვჭირდებოდი და რა უმწეო იყო ჩემი დახმარების გარეშე. მაშინ დავფიქრდი პირველად, რამდენი გაჭირვებულია ჩვენს გარშემო, წყლის მიმწოდებელიც რომ არ ჰყავს არავინ. ვფიქრობ, დღეს სულიერი მხარდაჭერა უფრო ესაჭიროებათ ადამიანებს, ვიდრე წამალი.

**– ავადმყოფთან ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, არც მეტი არც ნაკლები... სიტყვას.**

**ხათუნა ქვრივიშვილი:** მართლაც, ერთი სიტყვით შეიძლება მოკლა ან მოარჩინო ადამიანი. რამდენჯერ ექიმთან ვიზიტის შემდეგ უსიამოვნო უკმარისობის გრძნობა დამრჩენია... ექიმის მხრიდან გულითადი, ყურადღებიანი დამოკიდებულება პაციენტზე დადებითად მოქმედებს, რაც ხშირ შემთხვევაში აჩქარებს ავადმყოფის გამოჯანმრთელების პროცესს.

**ნინო ღლონტი:** მოწყალების დის პირდაპირი ვალდებულებაა გაიზიაროს და ერთგვარად გაითავისოს ავადმყოფის


ჟურნალი ქალებისათვის

მთავარი რედაქტორი
მარინე ნაკაიძე

სარედაქციო კოლეგია: მარიკა ბარათაშვილი, ლია კაკაბაძე, ნაზი თარგამაძე, ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი), მანანა იმედაშვილი, ნანული ზუკია, ირმა ჩოფიკაშვილი.

ზაზა გულაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა)

გარეკანის პირველ გვერდზე — მომღერალი სოფიკო ხალვაში
მეოთხეზე — საქველმოქმედო გამოფენის ექსპონატები

რედაქციის მისამართი: 0108, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.№14. Vსართ. ტელეფონი: 99-98-71

რეგისტრაციის №06/4 – 897 ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრობლემები და ტკივილები. რაც, გამოგიტყდებით, და ადვილი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ ამაში სიყვარული დაგვეხმარება. ღმერთი კი, მოგეხსენებათ, თავად სიყვარულია.

**– თუმცა ზოგს მოჭარბებული აქვს ეს გრძნობა, ზოგს კი ნაკლებად „აწუხებს".**

– თუკი ადამიანს სურვილი ექნება, სიყვარულის სწავლაც შესაძლებელია...

**– თქვენი პაციენტები იქნებიან სხვადასხვა ინტელექტისა და, შესაძლებელია, სხვა აღმსარებლობის ადამიანებიც.**

**მაია ცაავა:** ჩვენთვის ყველა ერთი იქნება. მთავარია, მათი მოსმენის, გაგების და დახმარების სურვილი არ დავკარგოთ. რწმენისა და სიყვარულის გარეშე დიდი საქმე არ გაკეთდება. მართლაც, უზარმაზარ ტვირთს შევეჭიდეთ, მისი ზიდვა, ალბათ, გაგვიჭირდება, მაგრამ გულგრილობისა და უყურადღებობის უფლებას არ გვაქვს.

**– და მაინც, ხომ შეიძლება, ყველა ნიუანსი ვერ გაითვალისწინოთ...**

ამაზე თითქმის ერთხმად მიაპასუხეს:

– გზა უნეტარესმა და უწმინდესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დაგვილოცა. უკან ვერ დავიხევთ. გვჯერა, ღმერთი აუცილებლად შეგვეწევა და მოგვცემს იმდენ ძალას, რომ ყოველგვარი სირთულე გადავლახოთ!

**ლელა გრიგოლია:** მაღალი პროფესიონალიზმი არ არის საკმარისი. თუ ცოდნას ღვთის რწმენა და გულისხმიერება არ ახლავს თან, სასურველი შედეგი ნაკლებად მიიღწევა. თუკი ქირურგი ურწმუნოა, ოპერაციას შესაძლო გართულებები ახლავს თან.



**ნინო ონიკაშვილი:** ჩვენ ურთიერთობა გვექნება მოხუც და ხანდაზმულ ქრონიკულ ავადმყოფებთან. საათობით მოგვიწევს მათ გვერდით ყოფნა, მათი მოსმენა. ჩვენი მოვალეობა მათი სულიერი თანადგომაც იქნება.

* * *

წლების წინათ, დროის უკუღმართობამ მოწყალების დების ინსტიტუტი გააუქმა. საბედნიეროდ, ისევ დრომ მოიტანა და ეს კეთილშობილი პროფესია კვლავ აღდგა საქართველოში. სათნოების დების მომზადება ცნობილი პრაქტიკოსი ექიმების ხელშია. ელენე ნიკობაძე, დარეჯან გაბუნია, რეზო ჭუმბურიძე, ლალი ფხალაძე, ვერიკო ბაზიარი, ნანა გერმანიშვილი, ანა ძაგნიძე, ნოდარ ხოდელი, მედეა ჯღარკავა, მაყვალა უშიკაშვილი უდიდესი გულისხმიერებით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას და თავიანთ ცოდნას უშურველად, დიდი მონდომებით გადასცემენ სტუდენტებს.

თუმცა მომავალი მოწყალების დები განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით მამა ადამზე საუბრობენ:

– მასთან ყოველი შეხვედრა მართლაც ღვთის წყალობაა. თავად წუთსაც არ კარგავს, სულ მოძრაობაშია, სულ რაღაცას აკეთებს, და ჩვენც არ გვაძლევს მოდუნების საშუალებას. მუდამ შეგვახსენებს, დრო არ ითმენს, ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ და საქმეს მოვკიდოთ ხელიო...

უახლოეს ხანებში სოფელ შინდისის ტერიტორიაზე აშენდება სამონასტრო კომპლექსი „თამარწმინდა", სადაც აღიმართება დიდი თამარ მეფის სახელობის გუმბათოვანი ეკლესია, სამრეკლო და ჯვარი ბრძოლის ველზე დაღუპულთა სულების საოხად. ეს იქნება სავანე, სადაც მონაზვნებრივი მოღვაწეობის აუცილებელი ნაწილი იქნება ხანდაზმულთა მოვლა. ამისთვის სპეციალურად აშენდება სათნოების სახლი – სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი, სადაც დასაქმდებიან მოწყალების დები.

ამ საღვთო საქმის განსახორციელებლად დაარსდა სულიერი და სოციალურ-კულტურული განვითარების ფონდი „თამარის დროშა". როგორც ფონდის მესვეურები მოგვიწოდებენ:

ჩვენ და თქვენ ერთი რამ გვევალება – წმიდა მეფის ლოცვით „თამარის დროშის" ქვეშ გავერთიანდეთ!

დაინტერესებულ პირებს აქვე ვთავაზობთ ფონდის ანგარიშის ნომერს:

ს.ს „თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი

საბანკო კოდი (მფო) – 220 101 850

ანგარიშწორების ანგარიშები:

360 800 809 /GEL

361 800 809 /USD & EUR

**მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



„სიკეთე ყველაფერს ამართლებს, თვითონ კი დაუმართლებელია"

ჟან ჟაკ რუსო

# ნუ დაუნგრევთ ბავშვებს ბავშვობას!

აფხაზეთის ომშიც (როგორც ნებისმიერ ომში ხდება) ყველაზე მეტად ბავშვები დაზარალდნენ. ბევრმა მათგანმა დაკარგა დედა, მამა, მშობლიური სახლ-კარი. ამასთანავე, მათ უმეტესობას დაენგრა ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესოდ მიჩნეული ბავშვობის წლები.

– ეს არ უნდა განმეორდეს! – ამბობენ ხოლმე კეთილი ნების ადამიანები ყოველი დიდი თუ პატარა ომის შემდეგ. თუმცა, გადის დრო და „დიდები" მაინც იწყებენ ომს. ამ ყველაფრის კიდევ ერთხელ შეხსენება და მის ფონზე კონკრეტულად აფხაზეთის „ომის ბავშვებისადმი" (ასე ერქვა კიდეც გამოფენა-აქციას) მოფერება იდო საფუძვლად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ „ქორთიარდ მარიოტში" მოწყობილ საქველმოქმედო გამოფენა-აქციას.

24394

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის, გამოფენა-აქციის იდეის ავტორის, ორგანიზატორისა და წამყვანის სალომე კაპანაძის თქმით, აქცია პირობითად რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი, თითოეული მათგანი ერთმანეთს ავსებდა და აქციის სათქმელს ამთლიანებდა.

დარბაზში შესაბამის განწყობას ქმნიდა იქ გამოფენილი, თავის დროზე ფოტოობიექტივის მიერ აღბეჭდილი მკაცრი და სევდიანი კადრები: ომისგან დაზაფრული ბავშვები, მათი უმწეო მზერა თუ ნაღვლიანი თვალები.

ამ ფოტოების გვერდით მხატვრების: ედმონდ კალანდაძის, მამუკა ცეცხლაძის, გოგი ლაზარიშვილის, დავით ბაძაღუას, გია მირზაშვილის, რუსუდან ფეტვიაშვილის, იანა ნერსესოვას, ელდარ ქავშბაიას, დალი მუხაძის, თემურ სხულუხიას, ზურაბ ჭედიას, ცირა კალანდაძის, რამინ აფაქიძის, ლევან ვარდოსანიძის, ვალერი ჯობავასა და ალექსანდრე ხუბუას ნამუშევრები გამოეფინათ. აქციის მეორე ნაწილიც ამას გულისხმობდა. მხატვრებმა ქველმოქმედება გასწიეს, თითო ნახატი შესწირეს „ომის ბავშვებს", ბავშვებს, რომელთაც ომმა დედა, მამა, ან ორივე ერთად წაართვა. ჩანაფიქრისამებრ, ამ ნახატების გაყიდვით შემოსული თანხით მათთვის სახელმძღვანელოები უნდა ეყიდათ. თუმცა, როცა ეს ამბავი საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა შეიტყო, გამოთქვა სურვილი, ბავშვებისთვის სახელმძღვანელოები თვითონ შეეძინა, საქველმოქმედო გამოფენიდან შემოსული თანხები კი დამატებით გადაეცათ მათთვის. მართლაც, სანდრა რულოვსმა იმ დღეს სახელმძღვანელოების კომპლექტები თავისი ავტოგრაფებით გადასცა აქციაზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოყვანილ 24 ობოლ ბავშვს.

– თქვენი მამები ღირსეული ადამიანები იყვნენ, მათ სამშობლოსათვის გასწირეს თავი. თქვენ კი მათი და სამშობლოს ხათრით ვალდებულები ხართ, კარგად ისწავლოთო, – უთხრა მათ სანდრა რულოვსმა.

მხატვრების ქველმოქმედება, ცხადია, ამაოდ ჩაივლიდა, თუ აქციას ბიზნესმენები არ გამოეხმაურებოდნენ და შემოწირულ ნახატებს არ შეიძენდნენ. ამიტომაც მადლიერებას იმსახურებენ ცნობილი კომპანიები: „ავერსი", ჯგუფი „ცენტრ პოინტი", „კოკა-კოლა" და „მადნეული", რომელთაც თითო ნამუშევარი შეიძინეს თავიანთი ოფისებისთვის. სააქციო საზოგადოება „მადნეულის" გენერალური დირექტორი, აფხაზეთის მკვიდრი კობა ნაყოფია თავად მოვიდა აქციაზე (მან „უაზის" ტიპის ავტომანქანები გადასცა ზემო აფხაზეთს). ბ-მა კობამ აღნიშნა, რომ ნებისმიერი თავყრილობა, რომელიც აფხაზეთს უკავშირდება, მისთვის ძალიან ამაღელვებელია და ამიტომაც გამონახა დრო აქ მოსასვლელად. სოხუმელი მხატვრის ელდარ ქავშბაიას ნახატი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გია ხევიაშვილმა შეიძინა. შემოწირული ნამუშევრების შესყიდვა ახლაც შესაძლებელია და ამდენად აქცია კიდევ ბევრ ბიზნესმენს აძლევს შანსს, კეთილი ნება გამოხატოს.

აქციის მესამე ნაწილში ნაჩვენები იყო ფილმი, რომელსაც სალომე კაპანაძემ ზოგადსაკაცობრიო თანადგომის გამოხატულება და არა მხოლოდ სანახაობრივი, არამედ „წასაკითხი ფილმი" უწოდა.

„ახალი წელი რამზანთან ერთად" – ასე ჰქვია კინოცენტრ „აფხაზეთის" შემოქმედებითი ჯგუფის მიერ პანკისში გადაღებულ ფილმს, რომელიც მამით ობოლი თორმეტი წლის ჩეჩენი რამზანისა და მისი სამი ძმის ოთახში ჩაკეტილ ბავშვობას ასახავს. ძმები ლუკმა-პურის საშოვნელად წასული დედის მოლოდინში ერთფეროვნად კლავენ დროს ერთ უსახურ ოთახში. როცა დედა შინ არ არის, ჩვეულებრივ რამზანი ამზადებს ხოლმე საუზმეს, გულისმომკვლელია, როცა ძმები ახალ წელს ლოგინში ხვდებიან, არ ღირს დაცდა, სახლში ერთი კამფეტი და ერთი მაშხალაც არ მოეძევებათ.

„შვიდი წელია ისინი ამ ოთახის ტყვეობაში არიან" და უმეტესწილად ფანჯრიდან აკვირდებიან გარესამყაროს.

ინფორმაციისათვის: კინოცენტრი „აფხაზეთი" ცნობილმა პედაგოგმა და რეჟისორმა გელა კანდელაკმა შექმნა. მან ჯერ კიდევ წლების წინათ, თეატრალურ ინსტიტუტში თავი მოუყარა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ ნიჭიერ დევნილ ბავშვებს, რომელთაგან ჯერ კინოჯგუფი, შემდეგ კი კინოცენტრი ჩამოაყალიბა; გელა კანდელაკი ამბობს, რომ ეს კინოცენტრი მან აფხაზეთისთვის შექმნა, იქ დასაბრუნებლად და ამით ერთგვარად თავისი ვალი მოიხადა, უძრაობისა და უიმედობის დამარცხებას შეეცადა. კინოცენტრ „აფხაზეთს" თავისი რეჟისორები, ოპერატორები, სცენარისტები, მხატვრები ჰყავს. ასევე შექმნილი აქვთ ჩრდილების თეატრი. მათ მიერ გადაღებულ მხა-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ...

# ფესვები

როგორც „ჩვენებურების“ ტიპაჟების ფოტოები, ასევე მათი საცხოვრებელი გარემოს, არქიტექტურული ძეგლების, პეიზაჟების ამსახველი ფოტომასალა. საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო გამოფენაზე წარმოდგენილი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო მარის, სერგეი პროკუტი-გორსკის, ევგენი ვენდემბაუმის, პრასკოვია უვაროვას, ალექსანდრე ხახანაშვილის, ვასილ კარბელაშვილის და მოსე ჯანაშვილის პირადი ფონდის კუთვნილი მრავალფეროვანი ფოტომასალა, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოარქივშია დაცული.

ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის, ისტორიკოს ბუბა კუდავას თქმით: „ინსტიტუტის უნიკალურ საგანძურში უამრავი საინტერესო მასალაა დაცული უცხოეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. მოხარული ვართ, რომ პატივი გვაქვს მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ „ჩვენებურების“ ორგანიზებაში, ფართო საზოგადოებას გავაცნოთ ამ კოლექციის ნაწილი“.

ბუბა კუდავას ინიციატივით მოეწყო თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის ფაჰრეთინ ჩილოღლე - ფარნა ჭელიძის წიგნის „სასაზღვრო ფიქრების“ პრეზენტაცია. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „არტანუჯმა“. ფარნა ჭელიძის წიგნში შესულია როგორც თურქულიდან ქართულად თარგმნილი მოთხრობები, ასევე მის მიერ ქართულად დაწერილი ლექსები. მათ ავტორი „თავისთვის“ წერს და თურმე არც აპირებდა გამოქვეყნებას, მაგრამ ბატონი ბუბას თხოვნით ბოლოს მაინც დათანხმებულა.

“მე უკვე მეექვსედ ვარ ჩემს სამშობლოში. მას მივუძღვენი ეს წიგნი. ამ წიგნის წერა ცხრა წლის წინათ დავიწყე თბილისში და მიხარია, რომ მისი გამოცემა ფესტივალ „ჩვენებურების“ დროს შედგა. მე ვიცი, „ქართველს ერთი სამშობლო აქვს“ და მას არასდროს დაითმობს. ამაზე ბევრი მიფიქრია. მინდა საქართველოში დაბრუნება, თუმცა ეს ადვილად გადასაწყვეტი არ არის“ – გაგვიმხილა მწერალმა თავისი გულისნადები.

მესამე საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურებს“ ქალაქმა რუსთავმაც უმასპინძლა. „ცხრა ქვეყნიდან ჩამოსულმა“ ეთნიკურმა ქართველებმა თავიანთი შემოქმედება რუსთავის მოსახელობას გააცნეს. მათ მასპინძლობას ქალაქ რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ნადაშვილი უწევდა. რუსთავის სახელმწიფო თეატრში გამართულ ღონისძიებაში სტუმრებთან ერთად ადგილობრივმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმაც მიიღეს მონაწილეობა. ფესტივალის ფარგლებში ასევე მოეწყო ფესტივალის მონაწილეთა საზეიმო მიღებები საქართველოს საგარეო საქმეთა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებში. მიღებებზე აღინიშნა, რომ საზღვარგარეთ ქართულ დიასპორებთან ურთიერთობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ფესტივალ „ჩვენებურების“ საზეიმო დახურვისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც ჩატარდა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ფესტივალის მონაწილეების გვერდით გამოვიდნენ საქართველოს ფოლკლორული ანსამბლების წევრები.

ყველასათვის მოულოდნელად, საზეიმო კონცერტზე მობრძანდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც აღნიშნა: ტელევიზიით რეპორტაჟი რომ ვნახე, გულმა არ მომითმინა და გადავწყვიტე, თქვენთან წამოვსულიყავი. ნებისმიერი ქართველი, რომელიც ნახავს ამ სიამოვნებას, არ შეიძლება, რომ დიდი ნოსტალგიითა და სიამაყით არ აივსოს, განსაკუთრებული აღმაფრენა არ დაეუფლოს. მე მინდა, ჩვენს ერთ-ერთ ღირსეულ თანამემამულეს თურქეთის ქალაქ ინეგოლის მოქალაქეს – მამია დუმბაძეს საქართველოს მოქალაქეობა მივანიჭო“.

ამ დროს კულისებში მყოფი სიხარულით გაოგნებული მამია დუმბაძე ძალიან დაბნეული ჩანდა: „ძალიან გახარებული ვარ. რა მითხრა პრეზიდენტმა, ისიც არ მახსოვს სცენაზე რომ გავედი. ჩემთვის ეს ძალიან დიდი სიურპრიზი იყო. სიხარულისგან დაბნეული ვარ, ჩემს ცხოვრებაში არასდროს დამავიწყდება ეს დღე!“ – აღტაცებას ვერ მალავდა ბატონი მამია.



● საინგილოს ბავშვთა ანსამბლის წევრები



● საქართველოს ახალი მოქალაქე – მამია დუმბაძე

ლელა მარგიანი





# „იქ, სადაც მედეას შეხვდა იაზონი...“

ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, დოცენტი ირინე ღამბაშიძე თბილისისა და ბოხუმის რურის (გერმანია) უნივერსიტეტებში საქართველოს არქეოლოგიაში კითხულობს ლექციებს, მუშაობს გერმანიის ბოხუმის სამთო მუზეუმში და მისი კვლევის სფერო ძირითადად უძველესი ლითონების მოპოვება-დამუშავებასა და შესწავლას მოიცავს, გახლავთ რამდენიმე საინტერესო ქართულ-გერმანული ერთობლივი პროექტის თანაავტორი და ორგანიზატორი.

2000-01 წლებში გერმანიაში ბოხუმის სამთო მუზეუმში მოეწყო დიდი გამოფენა სახელწოდებით „საქართველო – განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან“, რომელიც ევროპელი საზოგადოებისათვის საქართველოს, როგორც ლითონის მომპოვებელი და მწარმოებელი ქვეყნის გაცნობას ითვალისწინებდა.

იდეას ჯერ კიდევ 1998 წელს ჩაეყარა საფუძველი, როცა ქალბატონმა ირინემ სამცხე-ჯავახეთში მოპოვებული ნივთები ანალიზისათვის გერმანიაში ჩაიტანა. ყოველივე იმდენად აქტუალური და საინტერესო აღმოჩნდა, რომ მასპინძლებმა – პროფესორებმა ანდრეას ჰაუპტმანმა და რაინერ ზლოტამ ქართველ მეცნიერს გერმანიაში გამოფენის მოწყობა შესთავაზეს.

წამოწყებას დიდი ენთუზიაზმით აუბა მხარი ბატონმა ოთარ ლორთქიფანიძემ. ამ მიზნით საქართველოს სხვადასხვა მუზეუმიდან 1000-მდე ექსპონატი შეირჩა, რომელთა ნახევარსაც ქ. კონსტანცის ლაბორატორიაში ჩაუტარდა რესტავრაცია, რაც გერმანულ მხარეს ნახევარი მილიონი მარკა დაუჯდა და დღეს ამ ექსპონატების სახით ხელთ გვაქვს ალტერნატიული გამოფენა, რომლის მოსაწყობადაც ძირითადი ფონდიდან რომელიმე ნივთის მოხსნა და ქვეყნიდან გატანა აუცილებლობას აღარ წარმოადგენს.

რაც მთავარია, რესტავრაციის შედეგად ბევრმა საინტერესო სიახლემ იჩინა თავი – გაირკვა, რომ რკინის ზოგიერთი დაჟანგული ნივთი გრავირებული, ბრინჯაოს ნივთები კი ვერცხლით ინკრუსტირებული იყო, ზოგიერთ კოლხურ ცულს ადამიანის სისხლძარღვიანი კანის ნაშთები შემორჩენოდა, რაც ერთობ ძვირფასი მასალაა მეცნიერული კვლევისათვის – მასზე დაყრდნობით სისხლის ანალიზისა და გენეტიკური კოდის გაშიფვრა შეიძლება.

* * *



● ირინე ღამბაშიძე

**ქალბატონო ირინე, ცხადია, ჩვენთვის დიდად სასარგებლო და საჭირო სამუშაო ჩატარდა. მაგრამ გერმანულ მხარეს რა რჯიდა, ასე რომ იხარჯებოდა?**

– გამოფენის მოწყობა მუზეუმის ჩვეულებრივი ცხოვრებაა, მით უფრო, რომ დანახარჯი მთლიანად აინაზღაურეს. ბოხუმის გამოფენას ნახევარი მილიონი დამთვალიერებელი ეწვია, რასაც ნამდვილად არ ველოდით, რადგან იქვე, გვერდით ეგვიპტისა და ტროას გამოფენები იყო მოწყობილი.

**– ამაში, ალბათ, კარგად ორგანიზებულმა რეკლამამაც ითამაშა გარკვეული როლი, „ოქროს საწმისის ქვეყანა“ მაინც დამაინტრიგებლად ჟღერს...**

– რასაკვირველია, თორემ საქართველო გერმანიაში ძირითადად პოლიტიკოსებით იყო ცნობილი. იქაური საზოგადოება ჩვენს ქვეყანას პრაქტიკულად არ იცნობდა, ამიტომ ისეთი გამოფენის მოწყობა მოვიწადინეთ, რომ მუზეუმში მოსულ დამთვალიერებელს საქართველოში ეგრძნო თავი. არქეოლოგიის პარალელურად წარმოვადგინეთ მხარეთმცოდნეობის, კულტურის, მიწათმოქმედების, ეთნოგრაფიული ყოფის, ეკონომიკის, გერმანია-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი მასალები. ჩვენი ურთიერთობა ხომ საუკუნეებს ითვლის, საქართველოში მე-19 საუკუნეში უკვე არსებობდა გერმანული სათვისტომო და ამ ხალხმა ღრმა კვალი დატოვა ჩვენს კულტურაში. გამოფენამ, რომელიც ბოხუმის სამთო მუზეუმში სამ დიდ დარბაზში იყო განთავსებული და საზოგადოების მოთხოვნით მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდა, მოგვიანებით ქალაქ ვისბადენში გადაინაცვლა, სადაც ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად. ნორდ რაინ ვესტფალენში ყველა სატრანსპორტო საშუალება ამ გამოფენის პლაკატებით იყო აჭრელებული, ყველგან საქართველოზე ლაპარაკობდნენ. სპეციალურად გამოფენისადმი მიძღვნილი 500-გვერდიანი 20 000 კატალოგიც გაიყიდა, რომლის მასალებიც ისე არაჩვეულებრივად და გულისამაჩუყებლად მოამზადა ბატონმა ოთარ ლორთქიფანიძემ, რომ მისი წაკითხვისას ყველას ცრემლი ადგებოდა თვალზე და გვეკითხებოდნენ, ნუთუ ეს ყველაფერი მართლა თქვენ გადაიტანეთო? გამოფენას უამრავი საგაზეთო წერილი და სტატია მიეძღვნა, რომელთაგან ერთი, რომანტიკული სათაურის გამო – „იქ, სადაც მედეას შეხვდა იაზონი“, განსაკუთრებით დამამახსოვრდა. სტატიაში გამოფენა დეტალებში იყო განხილული და მისი ავტორი პირდაპირ მოუწოდებდა მკითხველს, დროა, გავიცნოთ ეს ხალხიო.

**– როგორი გამოხმაურება მოჰყვა გამოფენას საქართველოში?**

– არანაირი. იმ ხანებში ჩვენთან პოლიტიკური ბატალიები მიმდინარეობდა, გერმანიაში საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის ჩასვლას ელოდებოდნენ, მაგრამ მის ნაცვლად გახსნას მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი დაესწრო. არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „იქ, სადაც მედეას შეხვდა იაზონი...“

ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, დოცენტი ირინე ღამბაშიძე ახალციხისა და ბოხუმის რურის (გერმანია) უნივერსიტეტებში საქართველოს არქეოლოგიაში კითხულობს ლექციებს, მუშაობს გერმანიის ბოხუმის სამთო მუზეუმში და მისი კვლევის სფერო ძირითადად უძველესი ლითონების მოპოვება-დამუშავებასა და შესწავლას მოიცავს, გახლავთ რამდენიმე საინტერესო ქართულ-გერმანული ერთობლივი პროექტის თანაავტორი და ორგანიზატორი.

2000-01 წლებში გერმანიაში ბოხუმის სამთო მუზეუმში მოეწყო დიდი გამოფენა სახელწოდებით „საქართველო – განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან“, რომელიც ევროპელი საზოგადოებისათვის საქართველოს, როგორც ლითონის მომპოვებელი და მწარმოებელი ქვეყნის გაცნობას ითვალისწინებდა.

იდეას ჯერ კიდევ 1998 წელს ჩაეყარა საფუძველი, როცა ქალბატონმა ირინემ სამცხე-ჯავახეთში მოპოვებული ნივთები ანალიზისათვის გერმანიაში ჩაიტანა. ყოველივე იმდენად აქტუალური და საინტერესო აღმოჩნდა, რომ მასპინძლებმა – პროფესორებმა ანდრეას ჰაუპტმანმა და რაინერ ზლოტამ ქართველ მეცნიერს გერმანიაში გამოფენის მოწყობა შესთავაზეს.

წამოწყებას დიდი ენთუზიაზმით აუბა მხარი ბატონმა ოთარ ლორთქიფანიძემ. ამ მიზნით საქართველოს სხვადასხვა მუზეუმიდან 1000-მდე ექსპონატი შეირჩა, რომელთა ნახევარსაც ქ. კონსტანცის ლაბორატორიაში ჩაუტარდა რესტავრაცია, რაც გერმანულ მხარეს ნახევარი მილიონი მარკა დაუჯდა და დღეს ამ ექსპონატების სახით ხელთ გვაქვს ალტერნატიული გამოფენა, რომლის მოსაწყობადაც ძირითადი ფონდიდან რომელიმე ნივთის მოხსნა და ქვეყნიდან გატანა აუცილებლობას აღარ წარმოადგენს.

რაც მთავარია, რესტავრაციის შემდეგ ბევრმა საინტერესო სიახლემ იჩინა თავი – გაირკვა, რომ რკინის ზოგიერთი დაჟანგული ნიმუში გრავირებული, ბრინჯაოს ნივთები კი ვერცხლით ინკრუსტირებული იყო, ზოგიერთ კოლხურ ცულს ადამიანის სისხლძარღვებიანი კანის ნაშთები შემორჩენოდა, რაც ერთობ ძვირფასი მასალაა მეცნიერული კვლევისათვის – მასზე დაყრდნობით სისხლის ანალიზისა და გენეტიკური კოდის გაკეთება შეიძლება.

★ ★ ★



● ირინე ღამბაშიძე

**ქალბატონო ირინე, ცხადია, ჩვენთვის დიდად სასარგებლო და საჭირო სამუშაო ჩატარდა. მაგრამ გერმანულ მხარეს რა რჯიდა, ასე რომ იხარჯებოდა?**

– გამოფენის მოწყობა მუზეუმის ჩვეულებრივი ცხოვრებაა, მით უფრო, რომ დანახარჯი მთლიანად აინაზღაურეს. ბოხუმის გამოფენას ნახევარი მილიონი დამთვალიერებელი ეწვია, რასაც ნამდვილად არ ველოდით, რადგან იქვე, გვერდით ეგვიპტისა და ტროას გამოფენები იყო მოწყობილი.

**– ამაში, ალბათ, კარგად ორგანიზებულმა რეკლამამაც ითამაშა გარკვეული როლი, „ოქროს საწმისის ქვეყანა“ მაინც დამაინტრიგებლად ჟღერს...**

– რასაკვირველია, თორემ საქართველო გერმანიაში ძირითადად პოლიტიკოსებით იყო ცნობილი. იქაური საზოგადოება ჩვენს ქვეყანას პრაქტიკულად არ იცნობდა, ამიტომ ისეთი გამოფენის მოწყობა მოვიწადინეთ, რომ მუზეუმში მოსულ დამთვალიერებელს საქართველოში ეგრძნო თავი. არქეოლოგიის პარალელურად წარმოვადგინეთ მხარეთმცოდნეობის, კულტურის, მიწათმოქმედების, ეთნოგრაფიული ყოფის, ეკონომიკის, გერმანია-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი მასალები. ჩვენი ურთიერთობა ხომ საუკუნეებს ითვლის, საქართველოში მე-19 საუკუნეში უკვე არსებობდა გერმანული სათვისტომო და ამ ხალხმა ღრმა კვალი დატოვა ჩვენს კულტურაში. გამოფენამ, რომელიც ბოხუმის სამთო მუზეუმში სამ დიდ დარბაზში იყო განთავსებული და საზოგადოების მოთხოვნით მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდა, მოგვიანებით ქალაქ ვისბადენში გადაინაცვლა, სადაც ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად. ნორდ რაინ ვესტფალენში ყველა სატრანსპორტო საშუალება ამ გამოფენის პლაკატებით იყო აჭრელებული, ყველგან საქართველოზე ლაპარაკობდნენ. სპეციალურად გამოფენისადმი მიძღვნილი 500-გვერდიანი 20 000 კატალოგიც გაიყიდა, რომლის მასალებიც ისე არაჩვეულებრივად და გულისამაჩუყებლად მოამზადა ბატონმა ოთარ ლორთქიფანიძემ, რომ მისი წაკითხვისას ყველას ცრემლი ადგებოდა თვალზე და გვეკითხებოდნენ, ნუთუ ეს ყველაფერი მართლა თქვენ გადაიტანეთო? გამოფენას უამრავი საგაზეთო წერილი და სტატია მიეძღვნა, რომელთაგან ერთი, რომანტიკული სათაურის გამო – „იქ, სადაც მედეას შეხვდა იაზონი“, განსაკუთრებით დამამახსოვრდა. სტატიაში გამოფენა დეტალებში იყო განხილული და მისი ავტორი პირდაპირ მოუწოდებდა მკითხველს, დროა, გავიცნოთ ეს ხალხიო.

**– როგორი გამოხმაურება მოჰყვა გამოფენას საქართველოში?**

– არანაირი. იმ ხანებში ჩვენთან პოლიტიკური ბატალიები მიმდინარეობდა, გერმანიაში საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის ჩასვლას ელოდებოდნენ, მაგრამ მის ნაცვლად გახსნას მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი დაესწრო. არც



პრესა და ტელევიზია ჩამოსულა, რატომღაც დაიბლოკა ეს ყველაფერი, თუმცა დიდი დახმარება გაგვიწია გერმანიაში საქართველოს საელჩომ და პირადად ბატონმა კოტე გაბაშვილმა, რომელმაც შესაძლებლობის ფარგლებში ყურადღება და თანადგომა არ მოგვაკლო.



**– დამთავრდა ეს საინტერესო და წარმატებული პროექტი, შემდეგ?**

– შევუდექით მეორე პროექტზე მუშაობას, რომელიც არქეომეტალურგიისა და სამთო-არქეოლოგიის, როგორც დარგის ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში დანერგვასა და ამ სფეროში ქართველი სტუდენტების მომზადებას ითვალისწინებდა, რომელთა მეურვეობასა და გერმანიაში მაგისტრატურის გავლაზეც შემდგომში გერმანიის სამთო მუზეუმი და ბოხუმის რურის უნივერსიტეტი იზრუნებდნენ. სამწუხაროდ, რეორგანიზაციის მომიზეზებით, ჩვენმა თანამემამულეებმა უარი გვითხრეს და ჩვენც გერმანიაში შევუდექით ამ პროექტის განხორციელებას, ანუ იქ დავიწყე ლექციების კითხვა და საქართველოს არქეოლოგიაში გერმანელი სტუდენტების მომზადება(!). ამ მიზნით გერმანელი ახალგაზრდები ხშირად ჩამოდიან საქართველოში და სასწავლო გათხრებში იღებენ მონაწილეობას. ერთ-ერთი ასეთი გათხრის დროს შარშან სენსაციური აღმოჩენა გავაკეთეთ – ბოლნისის რაიონში, საყდრისში, „ყაჩაღიანის მთაზე" მივაგენით ოქროს მაღაროს, რომელიც მესამე ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება.

**– იქნებ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ ამ აღმოჩენის შესახებ?**

– 2000 წელს ბოლნისის რაიონში გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების დროს დაზიანდა იქ არსებული არქეოლოგიური კულტურული ფენები და გეოლოგებმა მალხაზ ნაცვლიშვილმა, მიხეილ ჭოხონელიძემ და ტარიელ ყველაშვილმა დახმარებისათვის მოგვმართეს.

ძეგლის დათვალიერებისას უძველესი სამთო საქმის კვალი აღმოვაჩინეთ, გარშემო მადნის მოსაპოვებელი ქვის უძველესი იარაღების ფრაგმენტები ეყარა, რაც ძეგლის არქაულობაზე მეტყველებდა. თანამედროვე შტოლნის დათვალიერებისას გეოლოგებმა ის ადგილი გვიჩვენეს, სადაც სამუშაოების შედეგად უძველესი გამონამუშევრები იყო გადაჭრილი. გასულ წელს პროექტი სადაზვერვო სამუშაოებს ითვალისწინებდა, ამიტომ თანამედროვე შტოლნაში მხოლოდ ის ჭრილი გავწმინდეთ, სადაც ძველი გამონამუშევარი იყო დაზიანებული. ჭრილის წმენდისას იატაკზე, ქვის უროების გვერდით, თიხის ჭურჭლის ნატეხები ვიპოვეთ, რომლის კარგად დათვალიერების შემდეგაც მივხვდით,რომ ძვ.წ. III ათასწლეულის ჭურჭლის ფრაგმენტებთან გვქონდა საქმე.

წელს უკვე ფუნდამენტური სამთო-არქეოლოგიური ექსპედიცია მოეწყო, რომელიც სამთო-არქეოლოგებით, არქეოლოგებით, გეოლოგებით, მინერალოგებით, ქიმიკოსებით, არქეო-მეტალურგებით, ტოპოგრაფებითა და გერმანელი და ქართველი სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული. პროექტს პროფესორი ანდრეას ჰაუპტმანი ხელმძღვანელობდა, სამთო-არქეოლოგიურ სამუშაოებს დოქტორი თომას შტოლნერი ედგა სათავეში. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ არქეოლოგი გიორგი მინდიაშვილი, გეოლოგი დავით ღამბაშიძე, ქიმიკოსი მიხეილ პრანგე, ტოპოგრაფი გერო შტეფენსი და სხვ.

**– რის საფუძველზე ათარიღებთ საყდრისის აღმოჩენას ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნით და რაში მდგომარეობს ამ აღმოჩენის სენსაციურობა?**

– საყდრისის აღმოჩენა სენსაციაა! მისი დათარიღება შტოლნაში მოპოვებული მასალებითაა შესაძლებელი, რაც მტკვარ-არაქსული კულტურის კერამიკის ტიპიურ ნამუშებს წარმოადგენს სტრატიგრაფიულ ფენაში. ამ ფენიდან ავიღეთ ხის ნახშირის სინჯი (მაღაროში ხომ ცეცხლის განათების გარეშე ვერ იმუშავებდნენ!), რომელიც ჰაიდელბერგის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ფიზიკის ინსტიტუტმა გამოიკვლია და ზუსტი თარიღი – ძვ.წ. 3018-2929 წ.წ. მოგვაწოდა.

ახლა, რაც შეეხება სენსაციას – როგორც ცნობილია, მტკვარ-არაქსულ კულტურაში, ანუ მესამე ათასწლეულში სავარაუდოდ სახელმწიფო წყობა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ეს პროცესი მხოლოდ იწყებოდა და ამ დროს ვხვდებით ოქროს მაღაროს, რომელშიც 40 მეტრის სიღრმეზე საქმის დიდი ცოდნით მოიპოვებოდა ოქრო. ეს ძალიან ორგანიზებული, მრავალეტაპოვანი, რთული შრომითი პროცესი იყო და უცოდინარი, განუვითარებელი ხალხი ამდენს ვერ შეძლებდა. თანაც, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ლითონი, ოქრო მსოფლიო ცივილიზაციებს შორის ყოველთვის ვაჭრობის საგნად, ხელისუფლების სიმბოლოდ, ეკონომიკის საფუძვლად აღიქმებოდა და ვინც მის წარმოება-გატანას აკონტროლებდა, ის პირველობდა კიდეც. ყოველივე ეს უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

**– რამდენადაც ცნობილია, ძვ.წ. IV-III ათასწლეულის საქართველოში წარმოებული ოქროს ნივთები ნაპოვნი არ არის. როგორ ფიქრობთ, მაშ სად უნდა წასულიყო საყდრისის ანუ „ყაჩაღიანის მთაზე" მოპოვებული ოქრო?**

– ამ საკითხზე პასუხის გაცემას ახლა ვაპირებთ. შემუშავებულია დიდი სამეცნიერო-სასწავლო პროგრამა, რომელსაც ფოლკსვაგენის ფონდი აფინანსებს. ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული ოქროს ყველა ტიპის (მდინარეული, მეორადი) მადანი, გავაკეთოთ მისი ქიმიური და იზოტოპიური ანალიზები, შემდეგ უძველესი ნივთების ანალიზები მოვახდინოთ და დავადგინოთ, რომელი მადნისაგან რომელი ნივთია დამზადებული, სად, რომელ ქვეყანაში გადიოდა საქართველოდან ოქრო და 5000 წლის წინ ვისთან ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს სავაჭრო ურთიერთობა; კულტურული კავშირების თვალსაზრისით საინტერესოა, როგორ მოიყრის ეს ყველაფერი თავს. ისე სკრუპულოზურად დავიწყეთ მადნის შემადგენლობისა და ნივთების კვლევა, რომ დიდი წარმატების იმედი გვაქვს. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

**– იმედია, მოლოდინი არ გაგვიცრუვდება და კიდევ მრავალი საინტერესო აღმოჩენის მოწმენი გავხდებით.**

*მანანა იმნაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მე ქართველი ვარ!“



მას თბილისში ძნელად ნახავთ – პარიზში ცხოვრობს. თბილისი მისი დედაა, პარიზი – დედობილი, თუმც დღეს პარიზელები ამბობენ, რომ იგი ფრანგი რეჟისორია, იმდენად ამაყობენ გელა ბაბლუანით.

პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი, როგორც რეჟისორმა, პარიზში გადადგა. 2005 წელს ვენეციისა და სანდენსის ფესტივალებზე მან პირველი სრულმეტრიაჟიანი ფილმი „13 ცამეტი“ წარადგინა. ვენეციაში „მომავლის ლომით“ დააჯილდოვეს, სანდენსში – „გრან პრით“. ფილმმა მსოფლიო შოუში ჩააგდო. მაშინვე წამოვიდა შემოთავაზებები სხვადასხვა ქვეყნებიდან, სამუშაოდ საუკეთესო პირობებს პირდებოდნენ.

ახალგაზრდა თბილისელი რამდენიმე წლის წინ აქაურ კინოს სკოლაში სწავლობდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ორწლიანი სწავლება მისთვის ცოტას ნიშნავდა. მას საკუთარი ხედვა, გააზრება, ფიქრი გააჩნდა. სცენარს თავად წერდა; როგორც მწერალი, ამბავს იგონებდა. და მაინც, გელა ბაბლუანი დაბადებით რეჟისორი არის...

„13 ცამეტის“ სცენარი მას ეკუთვნის. მისი მოგონილი ამბავი იმდენად მძაფრი გამოვიდა, რომ არასრულწლოვანები ფილმზე არ დაიშვებიან, გულსუსტებს კი მის ნახვას არ ურჩევენ.

დაიბადა თბილისში. ცნობილი ქართველი რეჟისორის თემურ ბაბლუანის ოჯახში. გაიზარდა ქართულ კულტურაზე, ქართული კინოს ტრადიციებზე. საფრანგეთში ათი წლის წინ წავიდა. წავიდა იმიტომ, რომ მსოფლიო კინოს უკეთ გაცნობოდა. ამისთვის პარიზის ლათინური კვარტალი შეარჩია. დილით კინოდარბაზში კლასიკას უყურებდა. მერე იქვე კაფეში ჩანაწერებს აკეთებდა; ცოტა ხანში ისევ ფილმის საყურებლად ბრუნდებოდა. 1998 წელს მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება დაიწყო. პირველმა წარმატებამ ახალი ნახტომისკენ უბიძგა – „13 ცამეტზე“ მუშაობა დაიწყო; დაასრულა და საყოველთაო აღიარება ხვდა წილად. ხუთმა ამერიკულმა კინოსააგენტომ იგი მომავლის რეჟისორებს შორის მსოფლიოში პირველ ადგილზე დააყენა და ფრანგადაც მონათლა. ეღიმება, ფრანგად რომ თვლიან და ყველას შეახსენებს: „მე ქართველი ვარ“...

2005 წლის აჟიოტაჟი ჯერ არ განელებულიყო, ვენეციისა და სანდენსის ფესტივალების ციებ-ცხელებაც არ ჩამცხრალიყო, რომ 2006 წელს „13 ცამეტი“ კანის ფესტივალზეც წარმატებული აღმოჩნდა. გელა ბაბლუანმა ამერიკის, ინგლისის, გერმანიის კინოსტუდიებისგან 200-ზე მეტი მოწვევა მიიღო; ჯერჯერობით დათანხმდა ამერიკის წინადადებას.

ქართველებს გული წყდებოდათ, რომ გელა ბაბლუანის ფილმი თბილისში შეზღუდულად აჩვენეს. ჯილდოდ „ვერცხლის პრომეთე“ კი მიიღო, მაგრამ ფართო მაყურებელი კარს მიღმა დარჩა. მამა-შვილმა, თემურ და გელად ბაბლუანებმა დაასრულეს მუშაობა პირველ ერთობლივ მხატვრულ ფილმზე „მემკვიდრეობა“. სცენარი გელას ეკუთვნის. მოქმედება საქართველოში, სვანეთში ვითარდება. ფრანგი ტურისტები შემთხვევით აქაურ ადათს, სისხლის აღებას შეესწრებიან, რაც მათთვის ძალზე შთამბეჭდავი და საზარელია. ფილმი განზოგადებულია და ყველა ეროვნების მაყურებლისათვის გულთან ახლოს მისატანი.

პირველი შემფასებელი, რა თქმა უნდა, ფრანგი საზოგადოება იყო, რომელმაც უმაღლესი შეფასება არ დაიშურა.

ახლა კი მამა-შვილი თბილისშია და ქართველები მათ „მემკვიდრეობას“ ნახავენ.

გელა ყოველთვის ამაყად იტყვის, რომ იქნება მხოლოდ ქართველი რეჟისორი, საქართველოში კინოინდუსტრიის აღორძინებაზე ოცნებობს და საკუთარ თავს მის ერთ-ერთ მონაწილედ თვლის.

ეს დღეც მალე მოვა.

**ლია კაკაბაძე**

## ეს საინტერესოა

### რისი ეშინიათ მამაკაცებს?

ფსიქოლოგებმა შვიდი მთავარი მამაკაცური შიში გამოავლინეს. პირველ ადგილზე ძალაუფლებისმოყვარე ქალების შიშია. მეორეზე – მამაკაცური პოტენციის დაკარგვის შიში. მესამე „საშინელება“ ხელმძღვანელი ქალია, ამას მოჰყვება პარტნიორის ღალატი, სიდედრისა და სახიფათო დაავადებების შიში. ძლიერი სქესის წარმომადგენლებს შორის იპოქონდრიკები სჭარბობენ, და არ არსებობს ქვეყნად დაავადება, რომლებსაც ისინი საკუთარ თავზე არ ეჭვობდნენ. უკანასკნელ ადგილზე გამელოტებისა და ქალების თვალში მიმზიდველობის დაკარგვის შიში აღმოჩნდა.

### მუსიკალური ხასიათები

მობილურის ზარს თურმე სიტყვებზე უკეთ შეუძლია საკუთარი მფლობელის ხასიათის აღწერა. ის მამაკაცები, ვისი ტელეფონებიც უხეშ ხმებს გამოსცემს, ჯერ კიდევ არ არიან მზად ბავშვობასთან განშორებისათვის. თქვენი ნაცნობი გამუდმებით აახლებს ზარის მელოდიას? ფხიზლად იყავით: მასზე დაყრდნობა არ შეიძლება. ძველი კლასიკური მელოდიის მოტრფიალენი ინტელექტუალებად მიიჩნევენ თავს, თუმცა საკუთარ თავზე შეყვარებულ და ამპარტავან ტიპებად გამოიყურებიან. ის ადამიანები, რომლებიც ზარისთვის პარტნიორის, ბავშვის, საყვარელი ადამიანის ან საკუთარ ხმას იწერენ, თვითგვემისკენ არიან მიდრეკილნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი ნახვით შეყვარება



კინორეჟისორ ლიანა ელიავას, რომელსაც მაყურებელი იცნობს ფილმებით: „სინემა“, „მზიანეთი“, „გზის დასაწყისი“, „ფერმა მთაში“ და ა.შ. ძალიან სჯერა ბედისწერის და თვლის, რომ მთელი მისი ცხოვრება, პირადიც და შემოქმედებითიც, მთლიანად ემორჩილება ბედისწერას. როგორც თავად ამბობს, ბედისწერამ საკუთარი ფეხით მიიყვანა იგი მომავალ მეუღლესთან – ცნობილ პოეტ რობერტ ვინონენთან, რომელთან ერთადაც დღეს ფინეთში, ქალაქ ჰელსინკში ცხოვრობს. მეუღლის მსგავსად ლექსებს თვითონაც წერს (გამოცემული აქვს ლექსების კრებული „საუკუნის სამანი“ და კინომოთხრობები) და საქართველოს მონატრებას ლექსებით იქარვებს, ძლიერი ნოსტალგიის დროს კი მშობლიურ ქალაქს სტუმრობს.

ვფიქრობ, „საქართველოს ქალის“ მკითხველი ქალბატონ ლიასთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩება, მითუმეტეს, რომ მეტად საინტერესო ისტორიას შეიტყობს ნორვეგიელი ლამაზმანის, თვალსაჩინო ევროპელ ხელოვანთა (ედუარდ მუნკის, ავგუსტ სტრინდბერგის, სტანისლავ პშიბიშევსკისა და როგორც ირკვევა, კნუტ ჰამსუნისაც) მუზის – დაგნი იუელის შესახებ, რომელიც საქართველოში მოგზაურობისას მოკლეს. ლიანა ელიავა, საყვარელი მწერლის – კნუტ ჰამსუნისა და დაგნი იუელის საქართველოში მოგზაურობის შესახებ დოკუმენტური დეტექტივის გადაღებას აპირებს, რისი საშუალებაც, იმედს დავიტოვებთ, რომ აუცილებლად მიეცემა. მანამდე კი, ვნახოთ, ერთი ნახვით როგორ შეუყვარდა მომავალი მეუღლე.

– „კაცი ვერსაით წაუვა, თავის ბედსა და წერასაო“, – ქართული ხალხური ნათქვამია. მეც ვერსაით წავუვედი ჩემი ფეხით მივედი მომავალ მეუღლესთან (იცინის)... ამბობს ქალბატონი ლიანა და სიამოვნებით იხსენებს იმ პერიოდს, როდესაც ფილმისთვის „გზის დასაწყისი“ ლექსების თარგმანი დასჭირდა. მაშინ, როგორც წესი, ქართულ ფილმებს რუსულად თარგმნიდნენ და მოსკოვში მიჰქონდათ გასახმოვანებლად. ბატონი თამაზ ჭილაძის რჩევით, ყოფილი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირში საქართველოს წარმომადგენელს დაუკავშირდა, რომელმაც უთხრა, რას ჩააცივდით ამ ევტუშენკოებს და ვაზნესენსკებს, მე თქვენ ერთ საინტერესო პოეტს გაგაცნობთ, მთარგმნელიც არის, ნახეთ, იქნებ მოგეწონოთო და პოეტ რობერტ ვინონენის კოორდინატები მისცა. ბატონი რობერტი იმ დროს მოსკოვში გამომცემლობა „საბჭოთა მწერლობაში“ მუშაობდა.

***ლიანა ელიავა:*** დავურეკე. მეორე დღეს რედაქციაში დამიბარა. მივედი. განსაკუთრებული პატივით შემხვდნენ, როგორც ქართველს: მაგიდაზე უკვე ელაგა ხილი, ყავა და ნამცხვარი... ვისაუბრეთ, რობერტმა თავისი ლექსების წიგნი მაჩუქა. ეს წიგნი სხვისთვის საჩუქრად ჰქონდა გამზადებული. წარწერა ამოჭრა, რადგან სხვა ეგზემპლარი არ აღმოაჩნდა, ქაღალდი ჩააწება და ზედ ექსპრომტად ლექსიც წამიწერა. წამოვიღე ეს ლექსები სახლში და სულ რაღაც ორ საათში თავიდან ბოლომდე ჩავიკითხე. ძალიან მომეწონა, ახლა სულ ვეხუმრები ხოლმე „ჯერ შენი ლექსები შემიყვარდა, მერე შენ-მეთქი“ (იცინის)... იცით, მთელი ცხოვრება ერთი ნახვით შეყვარებაზე ვოცნებობდი და ბედმა მართლაც გამიღიმა – რობერტი ერთი ნახვით შემიყვარდა. როგორც ჩანს, ისიც პირველი ნახვისთანავე განეწყო ჩემდამი სიმპათიით, ლექსების თარგმანიც გამიკეთა (რომელიც ფილმის რუსულ ვარიანტში შევიდა) და სულ რამდენიმე დღეში ხელიც მთხოვა. მეც მაშინვე დავთანხმდი... ძალიან ვაფასებ, როცა ცხენივით დიდხანს არ გისინჯავენ კბილს და ძირისძირობამდე არ იკვლევენ შენს ბიოგრაფიას, შესაძლებლობებს და სიმდიდრეს...

***– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ძნელია არ***

*დაიჯერო, რომ ერთი ნახვით შეყვარება შესაძლებელია...*

– ნამდვილად შესაძლებელია...

***– სიყვარული – მაინც რა გრძნობაა, თქვენი აზრით, ისეთი, რომლის გამოც ფინეთში ხართ „გადაკარგული", თუ შეიძლება ასე ითქვას?***

– რომ არა დიდი სიყვარული, ფინეთში რა გამაჩერებდა? როგორ გითხრათ? – ალბათ ერთად ყოფნის აუცილებლობა რაღაც აუხსნელი ფლუიდებია, რომელიც შენდაუნებურად გიპყრობს და გიმონებს. თუ ისეთი ადამიანი არ ხარ, ღალატი რომ ემარჯვება, მაშინ იქნები ჩემსავით გამოკეტილი ჩრდილოეთ პოლუსზე (იცინის).

***– ფინეთში რას საქმიანობთ, ქალბატონო ლიანა?***

– უნივერსიტეტსა და სხვადასხვა ინსტიტუტებთან ვთანამშრომლობ. გარდა ამისა, ვწერ ლექსებს და ჩემი განუხორციელებელი კინოსცენარებიც კინომოთხრობებად ავკინძე. სიტყვაც ისევე მიყვარს, როგორც კადრი. არავინ, არაფერი მზღუდავს, არავინ მაკონტროლებს, რაც დიდი ბედნიერებააა... ვზივარ ჩემთვის სახლში და ვწერ, თუმცა კინო ძალიან მაკლია...

***– როგორი ხალხია ფინელები?***

– ძალიან სამართლიანი და ღირსეული. მძიმე ცხოვრება გამოიარეს – სამი სისხლისმღვრელი ომი რუსეთთან მეოცე საუკუნეში, ქვეყნის ტერიტორიის მეექვსედი დაკარგეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკუთარი შრომით ისე დადგნენ ფეხზე, რომ ფინეთი დღეს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, ეკონომიკურად იმდენად ძლიერია, რომ რუსეთის მოქალაქეები თავშესაფრის თხოვნით ხშირად მიმართავენ, ფიქტიურ ქორწინებასაც კი აფორმებენ, რომ როგორმე ფინეთში მოხვდნენ.

***– საუბარში მითხარით, კინო ძალიან მაკლიაო... ფინეთში არ გიცდიათ თქვენი რეჟისორული ნიჭის გამჟღავნება?***

– თემატიკა, რომელსაც საქართველოსთან კავშირი არ ექნება, არ მაინტერესებს. ფინურ კინოში რა უნდა გავაკეთო? მარტო იმისთვის, რომ რაღაც გადავიღო, ამ საქმიანობას ხელს არ მოვკიდებ, ფინეთი კი რატომ მომცემს ფულს ქართულ თემატიკაზე ფილმის გადასაღებად? თუმცა, მართალი გითხრათ, არც არავისთვის მიმიმართავს მსგავსი თხოვნით, თორემ, შესაძლოა, მოეცათ კიდეც...

***– ბევრი კინოსცენარი გაქვთ განუხორციელებელი?***

– რამდენიმე... მათ შორის, ძალიან მინდა გადავიღო დოკუმენტური დეტექტივი მწერალ კნუტ ჰამსუნსა და საქართველოში დაღუპულ ნორვეგიელ ქალბატონზე – დაგნი იუელზე, რომელიც ცნობილი მწერლებისა და მხატვრების მუზა იყო. კნუტ ჰამსუნმა (ავტორი რომანებისა: „შიმშილი", „მისტერიები", „პანი", „ვიქტორია";) საქართველოში მოგზაურობის შემდეგ სიყვარულით სავსე სიტყვები უძღვნა ჩვენს ქვეყანას, ამით ამ ვალსაც შეძლებისდაგვარად გადავუხდიდი ჩემს საყვარელ მწერალს.

***– თუ არ ვცდები, იმ დროისათვის უკვე ცნობილმა მწერალმა, შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატმა კნუტ ჰამსუნმა საქართველოში ინკოგნიტოდ იმოგზაურა...***

– დიახ, ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, კერძოდ, 1899 წლის ზაფხულში. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ იმ დროისთვის უკვე საქვეყნოდ აღიარებული მწერალი ახლადშეროთულ მეუღლესთან ერთად საქართველოში სხვისი გვარ-სახელებითა და საბუთებით ჩამოვიდა. ცხოვრობდნენ სასტუმრო „ლონდონში", ამჟამად ათონელის ქ. №31-ში. შენობას ამ ფაქტის აღსანიშნავად დღეს მემორიალური დაფა ამშვენებს. 1903 წელს ჰამსუნმა გამოაქვეყნა ესსე, სათაურით „ზღაპრულ ქვეყანაში", რომელიც მისი ცხოვრების სწორედ ამ ეპიზოდს, ანუ რუსეთის გავლით კავკასიაში მოგზაურობას ეხება.

***– იქნებ უფრო კონკრეტულად მოგვითხროთ, ვინ იყო დაგნი იუელი. რატომ და ვინ მოკლა იგი საქართველოში და რა კავშირი არსებობს კნუტ ჰამსუნსა და ნორვეგიელ ლამაზმანს შორის?***

– პირველ რიგში, გეტყვით, რომ კნუტ ჰამსუნის „მისტერიების" გმირ დაგნისა და რეალურ დაგნის შორის ბევრი მსგავსებაა. დაგნი იუელი გახლდათ ნორვეგიელი პიანისტი, მხატვარი და პოეტი. ულამაზესი ქალი იყო, მეუღლე პოპულარული პოლონელი მწერლის სტანისლავ პშიბიშევსკისა და მუზა დიდ ხელოვანთა – მისი თანამემამულის, მხატვარ ედუარდ მუნკის და შვედი მწერლის – ავგუსტ სტრინდბერგის.

დაგნი საქართველოში ექვსი წლის ვაჟიშვილთან – ზენონთან ერთად მოგზაურობდა (1901 წ. გაზაფხული). ამ დროს იგი 34 წლის იყო. მოგზაურობისას თან ახლდა ოჯახის მეგობარი, ჭიათურის მარგანეცის საბადოების მფლობელის შვილი, 25 წლის ვლადისლავ ემერიკი, რომელმაც მიიწვია სტანისლავ პშიბიშევსკის ოჯახი საქართველოში. თვით სტანისლავი, სამსახურეობრივი საქმეების გამო, ვერ წამოვიდა მათთან ერთად – იგი საქართველოში კვირის თავზე უნდა ჩამოსულიყო. დაგნი შვილთან ერთად სასტუმრო „გრანდ-ოტელში" დაბინავდა. მოგვიანებით, მემორიალური დაფა ამ შენობაზეც გაჩნდა. ემერიკს კი მასპინძლობდა მისი მეგობარი საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი – მელჩავსკი.

გავიდა დათქმული კვირა, ათი დღე... პშიბიშევსკი არ ჩანდა... ახალგაზრდა, სიმპათიურმა ემერიკმა ზღვარსგადასული ყურადღება გამოიჩინა სიყვარულს მონატრებული ქალისადმი. საბედისწერო მეთერთმეტე დღეს ემერიკმა რევოლვერით მოკლა დაგნი, რის შემდეგაც თავი თვითონაც მოიკლა. სიკვდილის წინ მან სამი წერილი დატოვა. ერთს დაგნის მეუღლეს – პშიბიშევსკის სწერს, მეორეს – დაგნის შვილს, რომელიც მაშინ უნდა წაეკითხა, როცა 24 წლის გახდებოდა. მესამეს – ქართველ მასპინძელს, თუ როგორ უნდა დაესაფლავებინათ ცხედრები. სხვათა შორის, ემერიკი წერილში დაგნის მეუღლეს წერს: მე გავაკეთე ის, რაც შენ უნდა გაგეკეთებინაო.



პშიბიშევსკიმ მეუღლის სიკვდილის შემდეგ არაჩვეულებრივი წერილი (როცა მზე ჩადის) დაწერა, სადაც აღნიშნავს, დაგნი გულწრფელობამ, სიამაყემ და სილამაზემ დაღუპაო: „მისი ტრაგედია სილამაზე, სიამაყე და გულწრფელობა აღმოჩნდა. ის იყო ულამაზესი ყვავილი, რომელიც იშვიათად იფურჩქნება, მაგრამ განწირულია გასათელად". ამ სტრიქონებში განსაკუთრებით თვალშისაცემია სიტყვა „გულწრფელობა". როგორც ჩანს, დაგნიმ ემერიკს ისეთი საიდუმლო გაუმხილა, რომელიც პშიბიშევსკიმაც იცოდა. ჩემი აზრით, ეს საიდუმლო დაგნის შვილს შეეხება (დაგნი ორი შვილის დედა იყო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღვთის წყალობა აქ მოიქცეოდეთ



ცოტა ხნის წინ რედაქციაში ჩვენი ჟურნალის ერთგული მეგობარი და გულშემატკივარი ქალბატონი ლამარა ღვინერია-ვაჩეიშვილი გვესტუმრა და ფოტო გადმოგვცა, რომელზეც ახალჯვარდაწერილი წყვილი გახლავთ აღბეჭდილი, თან საინტერესო ისტორიაც გვიამბო:

– ათი წლის იყო ლადო ვახტანგაძე, როცა დედა გარდაეცვალა. ბიჭი პატარაობიდანვე ნინო ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაში იზრდებოდა, სადაც თავის დროზე დედამ მიიყვანა – ჯერ სტიქაროსანი იყო, შემდეგ – მედავითნე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წარჩინებით დაამთავრა სასულიერო აკადემია. ცხოვრების ყველა ამ საპასუხისმგებლო ეტაპზე ლადოს მუდამ გვერდით ედგა და მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის მოძღვარი დეკანოზი მამა რევაზი (ოთარაშვილი), რომელმაც კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 21 წლის ჭაბუკის ცხოვრებაში და ლადოს თავისივე მრევლი, მშვენიერი და მწყაზარი თინათინ თოლორაია გააცნო, თან ურჩია, ყურადღება მიაქციე, ასეთი ქალიშვილები დღეს ცოტანი გვხვდებიანო. ჭაბუკმა ყურად იღო საყვარელი მოძღვრის რჩევა. მალე ნიშნობაც შედგა, მერე კი მამა რევაზის ხელშეწყობით ქორწილიც გადაიხადეს, რომელშიც წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის მთელი მრევლი დიდი სიხარულით იღებდა მონაწილეობას. ქალბატონმა მაგული მიქაუტაძე-ოყრომიძემ თანხის შეგროვება ითავა და სიძე-პატარძალს მაცივარი და სამეული მიართვეს.

ქალბატონმა ლამარამ, რომელიც ბევრი ეკლესიის მრევლისთვის მისთვის ჩვეული ქველმოქმედებით კარგად გახლავთ ცნობილი (ეკლესია-მონასტრებს საკუთარი ხელით შეკერილ ოლარებს, სტიქარებს, დროშებს, სხვადასხვა საეკლესიო შესამოსელს და მისივე ხელით დაწერილ ხატებს სწირავს). ლადოს თავისი ხელით შეკერილი რიგით 312-ე ოლარი გადასცა და ჩვეული სითბოთი და სიყვარულით დალოცა.

ჩვენი ჟურნალიც დიდი სიამოვნებით უერთდება წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის მრევლის მილოცვას და ღვთის წყალობას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს უსურვებს წყვილს.

**მანანა იმედაშვილი**

---

დაგნი მხატვარ ედუარდ მუნკის მოდელი და მისი დიდი სიყვარული იყო. მუნკის ცნობილ სურათზე „მადონა" სწორედ შიშველი დაგნია დახატული. ამ სურათში ჩემი ყურადღება წითელ ჩარჩოში ჩახატულმა მოულოდნელმა დეტალებმა მიიქცია: ზემოთ – სპერმის სამკაულებმა, ქვევით – ბავშვის ჩანასახმა. შემდეგ ვარიანტში მუნკიმ ჩანასახი მოხსნა, მაგრამ ხომ არ შეიძლება ეს შემთხვევითი, უმნიშვნელო დეტალები იყოს? თანაც დრო, როცა იგი დაგნის ხატავდა, მისი შვილის ასაკს ემთხვევა. შესაძლოა, ემერიკს სწორედ ის უთხრა, რომ შვილი მუნკისგან ჰყავდა, მან კი რატომღაც გადაწყვიტა, რომ ქალი დაესაჯა.

როგორც ჩანს, დაგნის ჭეშმარიტი სიყვარული მუნკი იყო. მხატვარსაც უყვარდა იგი, მაგრამ ცოლად არ შეირთო. მუნკი ბოლომდე უცოლო დარჩა. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა: არამყარი ეკონომიკური მდგომარეობა, განუკურნებელი სენი – ტუბერკულოზი, რომელმაც შეიწირა მისი ნათესავების უმრავლესობა, შიში, რომ ოჯახი ჩაკლავდა მის ნიჭს და ბოლოს, ,,იქნებ ყველაზე მთავარი – ერთგულება ერთადერთი სიყვარულისადმი. ამას მან თითის ფალანგიც კი შესწირა, როცა 1902 წელს თავის საყვარელ ტულა ლარსენს უარი განუცხადა დაქორწინებაზე. ქალი, თვითმკვლელობის მიზნით, რევოლვერს დასწვდა, მუნკიმ სცადა ხელიდან გამოეგლიჯა და ამ დროს შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ მხატვარს თითის ფალანგი მოსაჭრელი გაუხადა. ამ ფაქტმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი მათ ურთიერთობას. ტუბერკულოზით დაავადებულ მუნკის ფსიქიკური აშლილობაც დაერთო და თვეობით მკურნალობდა ევროპის სანატორიუმებში.

რაც შეეხება კნუტ ჰამსუნს, რაიმე ცნობა იმის შესახებ, რომ იგი დაგნის პირადად იცნობდა, არ მოგვეპოვება, თუმცა მან გაიცნო დაგნის სახელთან დაკავშირებული მამაკაცები: სტრინდბერგი – 1894 წელს, მუნკი კი – 1896 წელს. ჰამსუნი, როგორც სიყვარულის მწერალი, ალბათ, თავისი სულის სალაროში აგროვებდა არა მარტო საკუთარ გამოცდილებას, არამედ სხვათა ყურმოკრულ თავგადასავლებსაც, მათ შორის მუნკისა და დაგნის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებაც სმენოდა, ალბათ, რაღაც დაფარული.

დაგნი იუელი თავდაპირველად თბილისში, კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს. საუკუნის თავზე ქართველი მკვლევარის, ანდრე კარბელაშვილისა და კუკიის სასაფლაოს დირექტორის არკადი ჭოველიძის თაოსნობით მისი ცხედარი იქვე, წმიდა ნინოს ეკლესიის ეზოში მდებარე საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს, რომელიც არკადი ჭოველიძის მიერვეა დაარსებული, 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მისი ქალიშვილის – თამრიკო ჭოველიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

**თამარ ოთიაშვილი**

*P.S. ქალბატონ ლიანას შემოქმედებით არქივში ინახება 9 აპრილთან დაკავშირებული უნიკალური კადრები, რომელთა ფილმად ქცევის გზაზე რეჟისორი რატომღაც ყველგან წინააღმდეგობებს აწყდება, თუმცა, იმედი აქვს, რომ აუცილებლად გამოჩნდება პიროვნება, ვინც ამ კადრებს საქართველოს ისტორიას შემოუნახავს.*

*ჩვენც იმედს ვიტოვებთ, რომ ასეთი ადამიანები საქართველოში ნამდვილად არსებობენ, ქალბატონ ლიანას კი, რომელიც ამ ინტერვიუს გამოქვეყნებისას უკვე ფინეთში იქნება, წარმატებებს ვუსურვებთ პირად და შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე.*

## სოფიკო ხალვაში:

# „მინდა, სულ ასეთი ბედნიერი ვიყო“

იურმალას კონკურსი სოფიკო ხალვაშისთვის ერთგვარი ტრამპლინი იყო. ნიჭიერმა გოგონამ არა მარტო ძლიერი ხმის ტემბრითა და არაჩვეულებრივი სიმღერით დაიპყრო ჟიურის წევრებისა და მსმენელის გულები, არამედ გარეგნულ სილამაზესთან ჰარმონიულად შერწყმული შინაგანი ხიბლით და განუმეორებელი ღიმილით. ჟიურის წევრი მამაკაცები „ჩუდო დევოჩკას“ და „პრინცესას“ ეძახდნენ და მის სიყვარულში ერთმანეთს ეცილებოდნენ. სოფიკოს თავისი ნიჭიერებით, უბრალოებითა და სინაზით არც კონკურსის მონაწილეები დაუტოვებია გულგრილი. თავად სოფიკოს გული კი ეკუთვნის მამაკაცს, რომელიც... თუმცა, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, ამის და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ მკითხველმა თავად სოფიკოსგან შეიტყოს. „საქართველოს ქალი“ სიამოვნებით კისრულობს მეგზურის როლს.



***– სოფო, რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში იურმალას კონკურსის შემდეგ და ეს ცვლილება ხასიათზეც ხომ არ აისახა?***

– შეიცვალა ის, რომ ირგვლივ ყველა უფრო მეტი სითბოთი და სიყვარულით მხვდება. დიდ ყურადღებას ვგრძნობ და ძალიან მიხარია, რომ ჩემი გულშემატკივრების იმედი არ გავაცრუე. თბილისში დაბრუნებულს იმდენი ხალხი დამხვდა აეროპორტში, რომ ცრემლი ვერ შევიკავე და ავტირდი. ხალხის ასეთი დიდი სიყვარული უდიდესი პასუხისმგებლობაა ჩემთვის და ახლა გაცილებით მეტს ვითხოვ საკუთარი თავისგან, ვიდრე ოდესმე ვითხოვდი, – ალბათ, მეტიც მომეთხოვება... რაც შეეხება ხასიათს, წარმატებები ჩემს ხასიათზე გავლენას არასოდეს მოახდენს. უბრალოდ, ყოველთვის მექნება შინაგანი სიამაყის გრძნობა, ოღონდ, ცხადია, არა ისეთი, ვინმეს რომ ზემოდან გადმოხედო. ცხვირი თუ აწიე, მერე ყველა საქმე უკან წაგივა...

***– საერთოდ როგორი ხასიათი გაქვს, როგორ დაახასიათებდი საკუთარ თავს?***

– მე მგონი, კარგი ხასიათი მაქვს (იცინის)... ყოველთვის ყველას აზრი მაინტერესებს და ვცდილობ, ისე არასოდეს მოვიქცე, რომ ვინმეს გული ვატკინო...

***– ყველას აზრი გაინტერესებს, მაგრამ ამ აზრებს ცხოვრებაში რამდენად ითვალისწინებ?***

– გააჩია ვისი აზრია...

***– თუნდაც მამაკაცების...***

– რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ... ცხადია, მას შემდეგ, როცა ყველაფერს კარგად გავაანალიზებ.

***– სოფო, როგორც ვიცი, შესარჩევ ტურში ჟიურის წევრი მამაკაცების დიდი ყურადღება დაიმსახურე. მერე კონკურსზეც გაგიმიჯნურდა ერთი ყაზანელი ბიჭი...***

– კი (იცინის)... რუსეთის სახელით გამოდიოდნენ ყაზანელი ბიჭები, მათ ჯგუფს „ჯუკ ბოქსი“ ერქვა. ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს მოვეწონე, დღე არ გავიდოდა, ჩემთვის ვარდები არ მოერთმია ან რაღაც მოულოდნელი სიურპრიზი არ გაეკეთებინა... კარგი ბიჭი იყო...

***– თქვენი ურთიერთობა უფრო დიდ გრძნობაში ხომ არ გადაიზრდილა?***

– არა, უბრალოდ, ეს იყო ერთგვარი სიმპათია და მეტი არაფერი...

***– დღეს თუ ეკუთვნის ვინმეს სოფიკო ხალვაშის გული?***

– კი, ეკუთვნის...

***– ვინ არის ის ბედნიერი?***

– ყველა ამას მეკითხება, მაგრამ, არ მინდა ამ თემაზე საუბარი (იცინის)...

***– იქნებ გაგვეტეხა ნავსი?***

– შეყვარებული მყავს, სხვას ვერაფერს გეტყვით...

***– სახელს და გვარს არ გეკითხები, უბრალოდ, საინტერესოა, როგორი მამაკაცები მოსწონს სოფიკო ხალვაშს?***

– ბავშვური მამაკაცები არ მომწონს... მამაკაცი ვაჟკაცური და ჭკვიანი უნდა იყოს და რაც მთავარია, იცოდეს, ქალს როგორ მოექცეს...

***– შეყვარებულმა კარიერის დათმობა რომ მოგთხოვოს...***

– არ მომთხოვს (კითხვის დასრულებამდე მპასუხობს)... იგი კარგად აფასებს იმ ნიჭს, რაც ღმერთმა მაჩუქა და ამას არასოდეს შეეწინააღმდეგება...

***– სოფო, იფიქრებდი, რომ ასეთ წარმატებას მიაღწევდი?***

– ბავშვობიდან მინდოდა, მომღერალი გამოვსულიყავი და ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ჩემი საქმის პროფესიონალი ვყოფილიყავი, ალბათ, მიხდება ეს სურვილი (იცინის)...

***– ისე რა პროფესიის ხარ?***

– პროფესიით პიანისტი ვარ, სრული კლასიკური განათლება მაქვს, ვუკრავ ჩასაბერ ინსტრუმენტზე და ახლა მინდა საქსოფონზე დაკვრა ვისწავლო...

***– ამჟამად რას საქმიანობ?***

– ახალ სიმღერას ვქმნი და მასზე მუშაობას ვაპირებ...

***– სოფო, როგორ შეხვდა შენს წარმატებას შენი შეყვარებული? თუ იურმალას კონკურსის შემდეგ გაიცანით ერთმანეთი?***

– ერთმანეთი იურმალაზე გავიცანით (სიცილი ძალიან უხდება)... ძალიან ნერვიულობდა და ელოდა ჩემს წარმატებას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

***– თავადაც მომღერალია?***

– არა, არა...

**– ანუ, საიდუმლოდ ტოვებ მის პროფესიასაც... ისე, ბევრი საიდუმლო აქვს სოფიკო ხალვაშს?**

– არა, ბევრი საიდუმლო ნამდვილად არ მაქვს...

**– სოფო, იურმალაზე ხომ არ მოხდა რაიმე ისეთი, რაც დღემდე არ გაგიმჟღავნებია, თუნდაც იმიტომ, რომ ამის შესახებ არავის უკითხავს?**

– კონკურსის მონაწილეებს ისეთი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან, რომ კონკურსენცია არავისგან მიგრძვნია. მაგრამ ერთი ასეთი ფაქტი მოხდა: ერთ-ერთი გადაღების დროს, რომელიც პლაჟზე გვქონდა, გავცივდი, და ამიტომ ზღვაზე გადაღებებზე აღარ მივდიოდი ხოლმე. ღამე – ათიდან თორმეტ საათამდე ჩაწერები გვქონდა, საერთო სიმღერებზე ვმუშაობდით. ერთ დღეს ვიფიქრე, ავალ სტუდიაში ცოტა ადრე ჩავწერ და ათ საათზე სახლში წავალ, დავიძინებ-მეთქი. გზაში ერთ-ერთი კონკურსანტის პედაგოგი შემხვდა და მკითხა, სად მიდიხარო. ვუთხარი, რომ გაციებული ვიყავი და გადაღებაზე არ წავედი – ახლა სტუდიაში ავდივარ, ცოტა ადრე უნდა ჩავწერო სიმღერა-მეთქი. ბავშვები გადაღებაზე არიან წასულები და გინდა თუ არა, შენც უნდა წახვიდეო – მეუბნება. დიდხანს ვიკამათეთ. ამის შემდეგ ავდივარ სტუდიაში და იქ არ მხვდება ამ პედაგოგის მოსწავლე (იცინის)...

***– ანჟელიკა ვარუმმა აღნიშნა, სოფიკოში ჩემი ორეული აღმოვაჩინეო... შენთვის ეს მოულოდნელობა იყო?***

– იცით რა? პირველად ამის შესახებ ჩემმა პროდიუსერმა მაია ყიფიანმა მითხრა – როცა მღერი, ანჟელიკა ვარუმს ჰგავხარო. გარეგნულად კი არ მამსგავსებდნენ, არამედ, მიმიკებით, ღიმილით... რა სისულელეა-მეთქი კი ვთქვი, მაგრამ შემდეგ ყველა მეუბნებოდა, ანჟელიკა ვარუმს ჰგავხარო და მეც დავიჯერე (იცინის)... კონკურსის ბოლო დღეს თავად ვარუმმაც მნახა და აშკარა მსგავსება დაინახა ჩემში...

***– შენი დიზაინერი ვინ არის?***

– დიზაინერი არ მყავს. როცა იურმალაში მივდიოდი, ჩემს ჩაცმულობაზე ავთო ცქვიტინიძემ იზრუნა, შემდეგ უკვე მე თვითონ ვყიდულობ მაღაზიებში, რაც მჭირდება... სხვათა შორის, იურმალაში წასვლამდე ქუსლიან ფეხსაცმელებზე ვერ დავდიოდი, არადა, იქ თერთმეტსანტიმეტრიან ქუსლებზე უნდა ვმდგარიყავი, სახლში ვრეპეტიციობდი ხოლმე (იცინის) და ისე შევეჩვიე, რომ მგონი, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელებით ვეღარ ვივლი... კლასიკურ ტანსაცმელში უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს, ვიდრე სპორტულ ფორმაში...

***– გავიგე, ჭამა გყვარებია ძალიან.***

–ოო... თუ მშია, ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ... ამას ყველა ხვდება და ამბობენ, სოფოს შია, დროზე ვაჭამოთ, თორემ ყველას დაგვჭამსო (იცინის).

***– განსაკუთრებით რა კერძი გიყვარს?***

– მამაკაცური საჭმელები: მწვადი, ხინკალი... საერთოდ ხორცეული მიყვარს... ქართულის გარდა, ჩინურ სამზარეულოზე ვგიჟდები... არ მიყვარს ტკბილეული.

***– სოფო, როგორც ვიცი, „იმედის ტალღა“ უნდა წაგეყვანა, რა მოხდა, რატომ ვერ გიხილა მაყურებელმა ტელეიმედზე?***

– უკეთესი შემოთავაზება მქონდა, ან ერთი უნდა ამერჩია, ან მეორე, მე მეორე ვარიანტი ავირჩიე... საუბარია „ევროვიზიის“ ფესტივალზე...

***– ანუ, შესაძლოა, „ევროვიზიის“ სახე გახდე?***

– კი, შესაძლებელია...

***– ამაზე გქონდა საუბარი პრეზიდენტთან შეხვედრისას?***

– დიახ, პრეზიდენტმა მომილოცა და მითხრა, „ევროვიზიაზე“ ვფიქრობთ, ეს პროექტი უნდა განვახორციელოთო. საქართველო „ევროვიზიაში“ უნდა გაწევრიანდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერცერთი ქართველი ვერ მიიღებს მასში მონაწილეობას...

***– ანუ უახლოესი მომავლის გეგმა ესაა?***

– რა თქმა უნდა... სხვათა შორის, როგორ წარმოუდგენლადაც უნდა მოგეჩვენოთ, „ევროვიზიაზე“ ბავშვობიდან ვოცნებობ.

***– გამოდის, რომ ოცნებები და სურვილები გისრულდება...***

– მე მგონი, კი...

***– ამ წუთას რას ისურვებდი?***

– სულ ასეთი ბედნიერი რომ ვიყო...

***– და რა არის ბედნიერება, შენი აზრით?***

– როდესაც დასახულ მიზანს აღწევ, ეს დიდ სიხარულს და ბედნიერებას განიჭებს ადამიანს. იმედია, რა მიზანსაც დავისახავ ცხოვრებაში, აუცილებლად მივაღწევ.

***– ღმერთმა ქნას, ყოველთვის გაგმართლებოდეს და აგსრულებოდეს დასახული მიზნები და ოცნებები... „საქართველოს ქალი“ ყველა შენს წარმატებას მიესალმება, მაგრამ სანამ ერთმანეთს მომავალ შეხვედრამდე დავემშვიდობებით, იქნებ გაგვიმხილო, უახლოეს მომავალში ოჯახის შექმნას ხომ არ აპირებ?***

– არა, ჯერჯერობით ოჯახის შექმნაზე არ ვფიქრობ...

***– ანუ, შეყვარებული დაგელოდება?***

– ალბათ (იცინის)...

ჩვენც ინტერესით დაველოდებით სიახლეებს სოფიკო ხალვაშის პირად და შემოქმედებით ცხოვრებაში და წარმატებებს ვუსურვებთ ნებისმიერ ასპარეზზე.

**თამარ ოთიაშვილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიკეთის გზაზე

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში მარიამობის დღესასწაულზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მათ შორის იყო მამია (მამული) გუდავაძე, კაცი, სიკეთისთვის დაბადებული, სულით ხორცამდე ქველმოქმედი, რომელსაც საგვარეულო წამალმა გაუთქვა სახელი როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. რამდენიმე შემოთავაზებაც ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის კერძო კლინიკებიდან, მაღალ ანაზღაურებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ არ დათანხმდა, რადგან საქართველოს გარდა სხვაგან ცხოვრება ვერც წარმოუდგენია. წამალი ოფიციალურად შვიდი წელია დარეგისტრირებული, ძირითადად გამოიყენება ჰეპატიტების სამკურნალოდ.



მოვუსმინოთ თავად მამულის:

– მრავალშვილიან ოჯახში დავიბადე. რვა და-ძმანი ვიყავით. ბებიაჩემი სალომე, რომელმაც შემასწავლა საგვარეულო წამლის საიდუმლოება, ჭეშმარიტი მორწმუნე გახლდათ, ყველა საეკლესიო წესს ზედმიწევნით იცავდა. ერთხელაც მე და ჩემს დას წამოგვცდა, ღმერთი არ არსებობსო. ისე განრისხდა "მაშით" ნაკვერჩხალი აიღო და ორივეს ტუჩები დაგვწვა. მეორე დღეს სკოლის დირექტორი საყვედურებით აავსო, ბავშვებს გზა-კვალს უბნევთ, უწმინდურებად ზრდითო. ნამდვილი ოთარაანთ ქვრივი იყო, შელაპარაკებას ვერავინ უბედავდა. საიდან არ მოდიოდნენ მასთან სამკურნალოდ. ათასგვარ დაავადებას წამლობდა, სოფელში ხალხური მედიცინის ჯადოქარს ეძახდნენ.

...ეკლესიის აშენებაზე ფიქრი ბავშვობიდან არ მასვენებდა. ჩემი ოცნების განხორციელებაში ისევ ჩემი წამალი "დამეხმარა", ავადმყოფებისაგან აღებული თანხით დავიწყე შენება. რვა თვეში დამთავრდა მშენებლობა. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც ჩვიდმეტი მეტრის სიმაღლისაა, შარშან მარიამობის დღესასწაულზე ამოქმედდა. გურიის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე იოსებმა (კიკვაძე) აკურთხა. პირველი ნათლობა კი მამა თომამ აღასრულა.

ამ ადგილას, ვინმე დურგალს გვარად დოლიძეს, ხის ეკლესია აუშენებია, მაგრამ ავადხსენებულ 1924 წელს ეკლესია დაუნგრევიათ. დარჩენილი მასალით სკოლა აუშენებიათ, ქვის ბოძებზე კი, რაზეც სოფლის სკოლა იდგა, მიცვალებულთა გვარები იყო ამოკვეთილი.

ძალიან მსიამოვნებს გაჭირვებულის ხელის გამართვა. საცოდაობაა, როცა ოჯახს იმის საშუალება არა აქვს, შვილს განათლება მისცეს. რამდენიმე ახალგაზრდას დავეხმარე, რომ უმაღლეს სასწავლებელში ესწავლა. ჩემს კარზე დახმარების სათხოვნელად მოსული იმედგაცრუებული რომ წავიდეს, იმ ღამეს რა დამაძინებს.

საუბარში ბატონი მამულის მეუღლე, ცნობილი სკოლის დირექტორის შალვა თოდრიას უფროსი ქალიშვილი რენადა გვერთვება:

– მამულის გვერდით ცხოვრება ადვილიც არის და რთულიც. სულ ჩქარობს, სულ ვიღაცაზე ზრუნავს, მუდამ შენებაშია. არ მახსოვს, ვინმე გაეკიცხოს, ვინმეზე აუგი ეთქვას.

...დიდი შრომის და ძალისხმევის შედეგად მოხდა ამ ეკლესიის, 350 კვმ ფართის ათ თვეში მოხატვა. საქმეში ჩახედული ადამიანები, ხელოვნებათმცოდნეები, მღვდელთმსახურები ერთხმად აღიარებენ ეკლესიის მაღალ მხატვრულ და არქიტექტურულ დონეს.

ოთხმა ცნობილმა ხატმწერმა: იოანე და ირაკლი ბაბილოძეებმა, პაატა ვაშალომიძემ და კორნელი ინწკირველმა მოკლე დროში მოხატეს ეს უმშვენიერესი ტაძარი. მანამდე მოხატული ჰქონდათ ქობულეთში ღვთისმშობლის, ხულოსა და მაკვანეთში ხარების, ბათუმში წმიდა ნიკოლოზის, თბილისში, საირმის ქუჩაზე გრიგოლ ხანძთელის, ნუცუბიძის პლატოზე სამების ტაძრები. ბატონ მამულის მხატვრებმა კაცი-ლეგენდაც კი შეარქვეს, იმდენად მოიხიბლნენ მისი თავმდაბლობით და ადამიანური თვისებებით.

**იოანე ბაბილოძე:** ბატონი მამული ფუნჯის ბოლო მოსმამდე ჩვენს გვერდით იყო. ყველა წამოჭრილი პრობლემა ღიმილით მოგვიგვარა, ვგრძნობდით საკუთარ შვილში არ გვარჩევდა. არა მარტო ის, მთელი მისი ოჯახი ასეთი სულისკვეთებით ცხოვრობს: მეუღლე რენადა, რძალი ნინო, ვაჟიშვილი დათო, შვილიშვილები სალომე და მამუკა. ისინი ჩვენთვის უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანები გახდნენ.

ბატონ მამულის არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი, ისე უჩუმრად ირჯება და იხარჯება. ვიდრე ამ საოცრად თბილ და სტუმართმოყვარე ადამიანებს გამოვემშვიდობებოდი, თანასოფლელებმა მთხოვეს, თუ ამ ოჯახზე რამეს დაწერას აპირებთ, იქნებ ჩვენი სახელით მადლობა გადაუხადოთ ბატონ მამულის. მან დახმარების ხელი შეაშველა ერთ ნიჭიერ ობოლ ყმაწვილს, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. საბედნიეროდ, ის ახალგაზრდა (ნებართვის გარეშე, გვარის დასახელებისაგან თავი შევიკავე ნ.ბ.) უკვე რაიონში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს და საქმეს ღირსეულად ართმევს თავს.

ნანული ბუჩია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...სადაც პირველად აჟღერდა „გმირული სიმფონია"



● დები – ნინო და თამუნა

უყვარს სპორტული ტანსაცმელი, უქუსლო ფეხსაცმელები. თმა უბრალოდ აქვს დავარცხნილი, მაკიაჟს არ ხმარობს. პატარა გოგონას ჰგავს. გეგონება, სკოლაში მიდის.

ის 23 წლისაა, შეყვარებული არ ჰყავს, მხოლოდ მუსიკაა მისი გატაცება, თუმცა თავად არის მუსიკა და მას იცნობენ. დროის სიმცირეს არ უჩივის. რაც შეიძლება ბევრს უკრავს. ფლობს ინგლისურს და გერმანულს. ჰყავს მეგობრები და ბევრი ნაცნობი. დადის ყველგან – კონცერტებზე, სანახაობებზე, ქორწილებში, ნათლობებზე. არის მეჯვარეც და ნათლიაც. ოჯახი – დედა, მამა, და ძმა – მისთვის ყველაფერია.

ის მიდიოდა უცხო ქალაქში და თან მიჰქონდა საყვარელი კომპოზიტორების ნაწარმოებები, რომლებიც მკაცრი ჟიურისთვის უნდა შეესრულებინა.

თვითმფრინავმა გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ჩაიყვანა, ვენამდე გზა მატარებლით დაჰფარა. მსოფლიო ქალაქი იმ დღეებში ტურისტებით იყო სავსე. ბაღებსა და სკვერებში ისმოდა მუსიკა.ვენა მუსიკოსთა საყვარელი ქალაქი იყო ყოველთვის, სადაც იქმნებოდა მუსიკალური შედევრები. ვენა ქართველი პიანისტის თამუნა ჟვანიას გამარჯვების ქალაქად იქცა.

აუტანელი თბილისური სიცხეების მერე ვენა სიგრილით შეეგება, სტუმართმოყვარეობით და სილამაზით მოხიბლა, მარტოობის ნაღველი გაუქარვა. არავის არ იცნობდა, ერთი გულშემატკივარიც არ ჰყავდა. გულშემატკივრები საქართველოში დატოვა. მე-6 საერთაშორისო კონკურსზე პიანისტები კორეიდან, ამერიკიდან და ევროპის ქალაქებიდან ჩამოვიდნენ. თამუნას ვენის მუსიკის უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზის სცენა ელოდა.

სცენაზე გამოსვლა მისთვის უცხო არ იყო.

სამი წლისა დიდ დარბაზში მღეროდა. ექვსი წლისა „მზიურში" მოხვდა. იმოგზაურა გერმანიაში, პოლანდიაში, ამერიკაში. მისმა სიმღერამ პროფესიონალები გააოცა. ცხრა წლისამ ამერიკელ მსმენელს თავისი ნიჭიერებით თავი დაამახსოვრა. 1991 წელს ძმასთან კოტესთან ერთად მონაწილეობდა საერთაშორისო კონკურსში „ქართული ქორეოგრაფია და სიმღერა" და პირველი ადგილი მოიპოვა.

მუსიკალურ ოჯახში ცხოვრებამ მას წარმატებისკენ გზა გაუხსნა. მისიანები შესანიშნავად მღერიან, უფროსი და ნინო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სამუსიკო სკოლაში პედაგოგ ტანია უკლებასთან სწავლობდა და საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა.

დის გატაცება თამუნასაც გადაედო. შეიყვარა ფორტეპიანო და იმავე პედაგოგთან დაიწყო მეცადინეობა. კონსერვატორიაში ფორტეპიანოს სიყვარულით შევიდა. პარალელურად ვოკალზეც დადიოდა. საბოლოოდ პიანისტობამ დასძლია და მთელი შესაძლებლობები მისთვის გამოიყენა. დაოსტატებაში შესანიშნავი პედაგოგი, კონსერვატორიის ცნობილი პროფესორი ნანა ხუბუტია უწყობდა ხელს.

... ნინომ „დაადის" სტიპენდია მოიპოვა და სტაჟიორად გერმანიაში გაემგზავრა. „დაადის" სტიპენდია ერთწლიანია. ხუთწლიანი სტაჟირება ნინომ სხვადასხვა მსოფლიო კონკურსებში მონაწილეობით გაიხანგრძლივა. გაიცნო ცნობილი მუსიკოსები, მათ შორის კარლ ჰაინც შტოკჰაუზენი და მისი ნაწარმოებების უბადლო შემსრულებელი გახდა. ამჟამად ნინო თბილისშია და როგორც ასისტენტ-პროფესორი კონსერვატორიაში მოღვაწეობს. მომავალ წელს საფრანგეთში მეისანის კონკურსი გაიმართება. ნინო ამ კონკურსისთვის უკვე ემზადება.

„დაადის" სტიპენდიის მოპოვება თამუნამაც სცადა. გერმანელმა მუსიკოსებმა მისი ნაწარმოებები რომ მოისმინეს, სტიპენდია უყოყმანოდ შესთავაზეს. იქაურმა სტაჟირებამ კიდევ უფრო აამაღლა თამუნას საშემსრულებლო ოსტატობა.

მან გერმანიაში ყოფნისას შეიტყო, რომ 2006 წლის აგვისტოში, ვენაში პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი იმართებოდა და ამისათვის მზადება მაშინვე დაიწყო. ვენაში მომზადებული ჩავიდა. კონკურსი სამ ტურად მიმდინარეობდა. პირველ ტურში თამუნამ ბეთჰოვენის მეხუთე სონატა შეასრულა. მეორე ტურში – შუბერტის სიბემოლმაჟორული სონატა და ბერგის სონატა, მესამე ტურში – მოცარტი. საბოლოო შედეგები რომ შეაჯამეს, გამარჯვება თამუნა ჟვანიას მიულოცეს. ეს მისთვის მაინც მოულოდნელი იყო, რადგან კონკურენტებად რჩეულები ჰყავდა. თბილისის კონსერვატორიის ასპირანტმა თამუნა ჟვანიამ პირველობა და პრემია რომ მოიპოვა, ბურგომისტრის ჯილდო ვენის ემბლემა გადასცეს. როგორც კონკურსში გამარჯვებულს 2007 წლის მარტში ვენაში სოლო – კონცერტის ჩატარების უფლება მისცეს. პროგრამის შედგენა თავისი სურვილით შეუძლია.

სოლო-კონცერტი საათნახევრიანი იქნება და ორ განყოფილებად ჩატარდება, რაც მთავარია, თამუნა ჟვანია იმ დარბაზში დაუკრავს, სადაც ბეთჰოვენის „გმირული სიმფონია" პირველად აჟღერდა.

**ლია კაკაბაძე**

# აღეუვლებული ენგურის თავზე



**ზოგჯერ, როცა ძალიან მიჭირს ამ უსახური სინამდვილის ატანა, ვცდილობ, გავექცე მას, ასევე გამანადგურებელ, დამანგრეველ სახელს – დევნილს და საცალფეხო ბილიკებით თუ ფართო შარაგზებით შინ ვბრუნდები. თითქოს მინდა, ცოტა ხნით მაინც იქ დავემალო ამ საძულველ სახელს. საკუთარ ჭერქვეშ მაინც ხომ ვერავინ გიწოდებს დევნილს...**

ეს თურმე გადარჩენის სურვილია, რომელსაც სახლამდე მოყავხარ. „შინ დაბრუნებულს" იგი ჭიშკართან გტოვებს: შენ ხომ ის ქართველი ხარ, რომელიც ორივე – გაღმა-გამოღმა მხარემ გაგიმეტა ამ დაწყევლილი სახელისათვის, ამიტომაც გაღმა დევნილი აქ – გამოღმას დევნილად რჩები, მით უმეტეს, თუ უფლებებს მოვითხოვ კი არა, უბრალოდ, რაიმე უფლების სურვილს შეგატყობენ. დევნილად შინ ყოფნა კიდევ უფრო აუტანელი ხდება და მალე გზას ისევ უკანვე მიუყვები (ოღონდ, გაურკვეველი და დამაბნეველია, რომელს ჰქვია ამ შემთხვევაში უკან დაბრუნება), მიდიხარ, რათა სრულად მაინც მოერგო ამ ბედისწერით მიკუთვნებულ სახელს. ისევე მოერგო, როგორც რომელიღაც ახალ, გაურკვეველი ზომისა და ფერის, არა საშენო სამოსს. ეს ერთადერთი რამეა, რასაც ამქვეყნად არავინ შეგეცილება. მას ვერ გააჩუქებ, ვერ გაანათხოვრებ, ვერც გააპროტესტებ, რადგან პროტესტსაც არავინ ღებულობს. ეს დაწყევლილი სახელი შენ თვითონვე უნდა მოიშორო. რა გზით? ესეც თავად უნდა მოიფიქრო და გადაწყვიტო.

მანამდე კი, ვიდრე სხვასთან, თუ საკუთარ თავთან ჭიდილში დაქანცული ძალებს ისევ მოვიკრებდე, სულ ცოტა ერთი კვირა მაინც დამჭირდება, რომ ისევ მოვირგო გამოღმა დატოვებული სამოსი, დავიბრუნო ჩემი ვინაობის დამადასტურებელი საბუთები, საერთოდაც, გამოღმა დარჩენილი „მე" და გაღმა გადასული „მე" ერთმანეთს შევურწყა, ისევ გავმთლიანდე და ისევ ვიპოვო ჩემი ადგილი გამოღმა. თვალთაგან უხილავი ეს ჭიდილი როდის-როდის დასრულდება და, ვინ იცის, მერამდენედ მეტკინება სული და გული ირგვლივ მყოფთა მიუხვედრელობისაგან, რის გამოც საყვედური მე კი არა, ჩემთან მარტო დარჩენილ კალამს დასცდება...

ეს ეპიზოდი (თუ ამბავი) ვერც ერთ ადრინდელ წერილში ვერ ჩაეტია, უჩვეულო კი არაფერი მომხდარა. ერთხელ კიდევ მოვდიოდი შინიდან. ამჯერად ჩემმა ბიძაშვილმა ზურაბმა საზღვრამდე ჩემი გამოცილება გალის ტბის გავლით გადაწყვიტა. ნავით მოკლეზე მოვჭრით, მერე იმ მთას გადავივლით, იმ ფერდობზე დავეშვებით, ენგურზე ბეწვის ხიდს გადავივლით და გაღმას ვიქნებითო.

სახლიდან დილაადრიან გამოსვლა არც გვიფიქრია. სად ან საით, ვისთან ან ვისკენ მიგეჩქარება. „ყველანი აქ არიან", წვიმამ სწორედ გამოსვლის წინ დაუშინა კოკისპირულად და სულ რაღაც ნახევარ საათში ასევე მოულოდნელად გადაიღო. გზას მოწყენილი დავუყევით: მიდიხარ, რომ მერე, ერთ დღეს ისევ უკანვე გამოიარო ეს გზა.

ზურაბმა ნავი მოქუფრულ ცაჩამომხობილ ტბაში შეაცურა და ნიჩბები მსუბუქად მოუსვა. შორს, ტბის სიღრმეში საკმაოდ მოზრდილი ნავი გამოჩნდა. აშკარაა, მისი მგზავრები წვიმაში მოხვედრილან. ნავს მალე გავუსწორდით, მერე თითქმის გვერდიგვერდ ვიარეთ მეორე ნაპირამდე. მგზავრები თავ-ფეხიანად დასველებულან, ხუთ ქალს და ერთ ბიჭს ორი ახალგაზრდა მამაკაცი აცილებდა. ისინი გალის ყველაზე განაპირა მთისპირა სოფელ ოქუმიდან მოდიან.

კაცებს კოჭებთან გადაჭრილ რეზინის ჩექმებში მზისგან გარუჯული, შიშველი ფეხები ჩაუყრიათ. ნავებმა თავები ტალღებისგან გადარეცხილ, გადაგლუვებულ მიწაზე თითქმის ერთდროულად მიდეს. კაცები მაშინვე გადახტნენ ნაპირზე და ნავს თავი დაუჭირეს, ქალებს გადასვლაში დაეხმარნენ. ამასობაში გადაჭრილი ჩექმები ტალახიანი წყლით ამოევსოთ, მერე ის ტალახიანი წყალი ყოველ ფეხის გადადგმისას ჩექმებიდან ესხმებოდათ და მუხლებამდე აკეცილ შარვლის ტოტებზე, მთელ ტანსაცმელზე, სახეზე ეშხეფებოდათ. კაცებმა უკანვე შეაცურეს ნავი, ზურაბმა კი ჩვენი ნავი ნაპირთან საიმედოდ დააბა.

ორივე ნავის მგზავრები ტყეში, მთის ფერდობზე მიმავალ ბილიკს ერთად შეუყევით. ბიჭს არა უშავს, ნორმალურად აცვია, ქალებს კი დაკემსილი, დალაქავებული ხალათები შემოუცვამთ. ასე ჩაცმულ-დახურული სადღა მიდიან-მეთქი, ვფიქრობ და ჩემს (უფრო სწორად, მედიკოს) ვარდისფერ რეზინის ჩექმაზე ვიყურები, ხოლმე...

– ჩემს ბიჭს მარჯვენა ფეხზე ნახევარი ტერფიღა აქვს შერჩენილი, ნაღმზე აფეთქდა, – გზადაგზა მიმხელს ოდნავი კოჭლობით მიმავალი ბიჭის დედა, რომელიც ძალიან მძიმე ჩანთას მიათრევს. ბიჭს არ უთმობს, განახევრებულტერფიანი ფეხი მის სიმძიმეს გაუძლებს ამ ოღრო-ჩოღრო გზებზე, ახლა იგი ამ ჩანთითაც არ დავამძიმოო. არც სხვა ქალები მოდიან მსუბუქად, ორ-ორ უმძიმეს ჩანთას თუ ფუთას მაინც მოათრევენ. ერთი ჩანთის ამარა ამხელა გზაზე წამოსვლას აზრი არა აქვს, ხომ უნდა ღირდეს წამოსვლად თუ თრევად. ცოტა-ცოტა ყველაფერი მოგვაქვსო, – მეუბნებიან. მოუკვდეთ დედა, ბებია, რამდენი წელია ჩვენი ბაღის ხილი არ გაუსინჯავთ, ჩვენი ძროხის რძე და მაწონი, სულუგუნი არ უგემიათ. შენი გამომზრდელი ეზოს ხილს, შენი ძროხის რძეს მაინც სხვა გემო აქვს და ეს გემო არ უნდა დავავიწყოთ ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს.

– აბა, ამ სიშორიდან ჩატანილი, ამ კლდე-ღრე გამოტარებული მაწონი რაღა მაწონი იქნება, რაღა მაწონი ერქმევა, მაგრამ, მაწვნის დედად მაინც ხომ ივარგებს, იმისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედედებულ მაწონსაც სხვა გემო ექნებაო, – მიხსნის ერთი ჩემს გვერდით მომავალი შუახანს გადაცილებული ქალი და ხშირ-ხშირად ჩამოიღებს ზურგზე მოკიდებულ ჯოხგაყრილ ნაჭრის ჩანთას.

ბილიკი შიგადაშიგ ვიწროვდება, გვერდიგვერდ ვეღარ ვივლით, ჩემს გვერდით მომავალი ქალი წინაურდება და ვხედავ: ზურგზე მოკიდებული ჩანთიდან რაღაც თეთრი მასა ჩამოსდის წურწურით, მუქი ფერის ხალათიც შეთეთრებული აქვს. როგორც ჩანს, მაწვნის ქილა ჩაუტყდა, როგორ გინდა, უთხრა, რა სიშორიდან მოათრევს, ტბა, მთები, ტყეები გადმოატარა. ცხადია, მაინც ვეუბნები. ჩანთა რუს პირას ჩააქვს და ასუფთავებს, თანაც იწყევლება: მაწვნის დედა არ აღირსოს გამჩენმა იმათ ცოლ-შვილს, ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვაგდოო. საერთოდაც, – ამ უკანასკნელთ რა წყევლა-კრულვას არ უგზავნიან ტვირთის სიმძიმისაგან წელში გაწყვეტილი ქალები: იმათი ოჯახები ამოწყდეს და ამოვარდეს, იმათ არ ეღირსოთ გამრავლება და შთამომავლობაო. მე კი ვფიქრობ: ვაითუ, მართლა ტყესაც ყური აქვს და ახლა ამ წყევლა-კრულვას ისმენს და იხსომებს-მეთქი.

ეკალ-ბარდებში მიმავალი ბილიკები მთავრდება. ახლა ცენტრალურ სამანქანო გზას გადავივლით და დაღმართზე დავეშვებით, აქედან უკვე ენგურიც გამოჩნდება. სამანქანო გზას საოცარი სისწრაფით გავდივართ, ვინ იცის, ვის მანქანას გადაეყრები.

... გზადაგზა მიტოვებული, დაცხრილული, ორსართულიანი სახლები გვხვდება. – ჩემი სახლიც ასე ლამაზი იყოო, – ოხრავს ერთი ქალი და გაპარტახებული უზარმაზარი სახლის ჭიშკართან ჩერდება, ცოტა ხნით ტვირთს ჩამოდებს, მხრებს შეასვენებს. – ამის აღდგენა ადვილად შეიძლება, ჩემსას კი ვერაფერს უშველი, მის ნაცვლად ახალი სახლი უნდა ააშენოო, – ამბობს გულმოკლული და ეღიმება, – ვინ გაცლის, თორემ, არც მისი აშენების შემეშინდებაო. – რითი-მეთქი – დამცდება. – აი, ამითიო, – მეუბნება და ბზერებიან, დაღარულ, გამხდარ ხელებს ცხვირწინ მიშლის. შეწინააღმდეგებას გულშიც ვერ ვბედავ, არ მინდა, იმ რწმენას ეჭვი შეერიოს. აფხაზეთს ხომ დღეს ყველაზე მეტად სწორედ ამგვარი გაუტეხელი რწმენა სჭირდება... თუნდაც გულში დაგუბებული იგი ოდესმე მაინც გაარღვევს ჯებირებს და ურწმუნებას წალეკავს. ვაი, მას, ვინც ამ წარღვნაში მოჰყვება.

... შორიდანვე ვამჩნევთ, ენგურის ნაპირთან ხალხმრავლობაა, აშკარაა, რაღაც ხდება. – ადიდებულ-გაცოფებულ ენგურს ხიდი სანახევროდ დაუშლია და ამაგრებენო, – გვეუბნებიან. წარმოდგენაც კი მიჭირს, რომ შეიძლება უკან გაბრუნება მოგვიწიოს.

ხიდი მართლაც სანახევროდ დაშლილა. ადგილ-ადგილ ფიცრები ერთმანეთის მიყოლებით არის აყრილი. ჯაჭვები აღმუვლებული ენგურის თავზე ქანაობენ, ვიღაცეები მაინც გადადიან, ესე იგი, ხიდზე გადასვლა შესაძლებელია, ვამბობ და ხიდის თავში დარჩენილ ფიცრებზე ვდგები. ერთნი მირჩევენ: ფიცრების დასამაგრებელ ჯაჭვზე გვერდულად დავდექი, ზედა, სახელურისთვის განკუთვნილ ჯაჭვს ხელები მოჰკიდე და ასე ნელ-ნელა გადადიო. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ გაცოფებული ენგურის თავზე ოდესმე ბაგირზე ცოცვასაც გავბედავდი. ამ სითამამის მეშინია. მეშინია, მართლა არ გაგულისდეს ენგური და ნაბიჯს ვერ ვანაცვალებ. – მიეშველეთო, – მერე განკარგულებას იძლევა ვიღაც და ვხედავ, ჩემს საშველად ორნი მოდიან. ბიჭები აქეთ-იქით ამომიდგებიან. მკლავებზე ხელებს ჩამკიდებენ, შენ მხოლოდ მოგვყევიო. თვალებს ვხუჭავ და ასე ნელ-ნელა გადავყავარ გადაღმა. ახალგაზრდა მამაკაცებს მხრებზე აკაციის უზარმაზარი მორები გაუდვიათ და ჯაჭვებზე გარდიგარდმო მოაბიჯებენ. რას არ გაუბედავენ თურმე ენგურს: ახლა ზურაბზე ვდარდობ, მას სიმაღლე, მით უმეტეს, აბობოქრებული მდინარე თავბრუს ახვევს. არადა, არ იშლის, გაცილება გადაღმა გადაყვანას ნიშნავსო მხოლოდ.

გაღმა გადასული იქვე, ენგურის ნაპირთან მედიკოს ვარდისფერ ჩექმას ვიხდი, ჩემს ფეხსაცმელებს ვიცვამ, ეს ჩექმა ისევ უკან უნდა წაიღოს ზურაბმა, იგი მედიკოსაც დასჭირდება აქამდე მოსასვლელად.

მერე ზურაბი უკანვე მიუყვება იმ ხიდს. უკანვე ბრუნდება იმ გაუხარელ, ნაცრისფერ ქვეყანაში. ვდგავარ და ველოდები, როდის ჩაამთავრებს ხიდს. მინდა, ხმამაღლა დავუძახო: ჩვენ დავბრუნდებით, ჩვენ ყველანი ერთად დავბრუნდებით, ოღონდ, გაუძლეთ, ოღონდ გამაგრდით, რადგან ყველაფრის პატიება შეიძლება ამქვეყნად, გარდა ღალატისა.

...ცრემლებს ვყლაპავ და ხმას ვერ ვძრავ, მაქვს კი მე გამოღმა გამოსულს (სხვებთან ერთად) ამ შეძახილის უფლება?!

P.S. ჩემი თანამგზავრები აღარ ჩანან. მერე რა, რომ გამოღმა ვართ, ამ ტყეში მარტო როგორ მიმატოვეს-მეთქი, მწყინს.

გზას მარტო გავუყევი. ტყის ბოლოს ზუგდიდამდე მიმავალი ავტობუსების გაჩერებაა... უცებ, ტყიდან ერთი ქალი გამოდის, მერე მეორე... ნეტა, ვინ არიან, ან აქ რა უნდათ, ვფიქრობ და... აი, ის ლურჯკაბიანი ის ქალი არ არის, თავისი შვილის ნახევარტერფზე რომ შემომჩიოდა? აი, ისიც, მაწვნის ქილა რომ ჩაუტყდა... მაგრამ ეს რას ნიშნავს? ტყიდან საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი ჩემი თანამგზავრი ქალები ერთმანეთის მიყოლებით გამოდიან.

**ნატო ჟორჟანტია**



მხატვარი **ნოდარ აფციაური**



საქართველოს პარლამენტის ეროვნული

# ელვარება ფერადი ჰანგის

- ჩემს სფირიდონს გაუმარჯოს! მადლობელი ვარ, ჩემო სფირიდონ, რომა ხანდახან მაინც მომხედამ ხოლმე. ყოჩაღ, ყოჩაღ ჩემი ძმის კეთილი გული შენ გამოგყვა... არა გევხარ ზოგიერთს ძმისწულებსა. დაბრძანდი, ჩემო სფირიდონ.

- როგორ მშვიდობით ბრძანდებით, ბიძაჩემო?

- მე, ჩემო თადეოზ, მადლობა ღმერთსა, კარგადა ვარ... „ურთიერთ მოკითხვის შემდეგ ბიძა-ძმისშვილს შორის გაიმართება სჯა-საუბარი ჟურნალ „ცისკრის" ახლადგამოსული ნომრის თაობაზე, და, ცხადია, წერილსაც ასე ჰქვია: „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი". ილია ჭავჭავაძის ეს კრიტიკული წერილი, რომელიც იმხანად გამოსულ ჟურნალ „ცისკრის" ავკარგიანობას შეეხება, შემთხვევით არ გავიხსენე, რადგან დიდი მწერლის თხრობის ამგვარი ლიტერატურული ხერხი უთუოდ იწვევს ერთგვარ რემინისცენციებს გრიგოლ რობაქიძის მემუარულ-იუმორისტულ მოთხრობასთან „ჟამსა ხუმრობისა/ მოგონილი და ნამდვილი/", რამეთუ თხრობისათვის ავტორი აქაც დიალოგის ფორმას მიმართავს, მაგრამ განსხვავებით ზემოთ მოხმობილი „ბაასისაგან", გრიგოლ რობაქიძე თავის სათქმელს – მოგონებებს იუმორისტულ საფარველში ჰხვევს, მკითხველისათვის გასაგები მიზეზების გამო:

„ტფილისი" 1922 წელი. აგვისტო. გურამიშვილის 10. სახლი ტერ-გუკასოვის, აგებული შევდურ ყაიდაზე. დავცქერ ტფილისს: ქალაქი, ვითარ ხომალდი, მიილტვის უსაზღვროებისაკენ... მომესმა: ვიღაც კარზე აკაკუნებს ოთახისა... გავაღე კარი:

„გრიგოლ-ბეგს გაუმარჯოს!

„ – გაუმარჯოს ყაფლან – აღას!

„როგორ ხარ" მეკითხება.

„კენჭივით!" შენ! უგუნებოთ ხომ არა ხარ?

„გუნებას ვიღა ეძებს, ვეჟო. სული მეხუთება!"

„რა დაგემართა?"

„შენ მტერს მისთანა: კიკო ბარდაველიძესთან შევიარე, ესაა, ერთი საქმე მაწუხებს, ვთხოვე რჩევა. და იცი რა მითხრა? მაგ საქმეს უთუოთ „ჩეკას" გადაცემენო! დევილუპე კკალი კაცი! აბა მითხარი, ვინ გამოსულა იქიდან გამარჯვებული?"

„ვერ აგირჩევია ნამდვილი გზა...

ჯერ ჩემთან უნდა შემოგევლო!"

ამ საქმიზა როგორ შეგაწუხებდი!"

„რას მიქვია შეწუხება, როცა მამის ჩემის მეგობარს ვხედავ უმცროსს?"

ქართველმა მკითხველმა უკვე იცის, რომ გრიგოლ რობაქიძის მზერა მუდამ ფესვებისაკენ არის მიმართული. და ამას ყოველ დეტალშიც ავლენს, საუბრის თემაც უმალვე გაგრძნობინებთ ამ მხრივ მწერლის განზრახვას, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მოთხრობის ის ნაწილია საინტერესო, რომელიც პაოლო იაშვილს შეეხება.

„ეხლა ჩვენი ჯიბო იაშვილის, კაი „ყაზახია", შვილი გამახსენდა".

„პაოლოო?

„დიახ! ... თურმე იმასაც არ მოაძულეს თავი სანკეტო ფურცლებით!.. სურდათ თურმე გაეგოთ, რით ცხოვროფსო. არ მოეშვნენ თურმე. ამდონ ხანს ვერ გეიგეს მამაცხონებულებმა, თუ რით ცხოვროფსო?.. არ მოეშვნენ თურმე პაოლოს: რით ცხოვროფ, რა საშუალებითო? რო აღარ იქნა საშველი, მაშინ ეიღო თურმე კალამი, ვენაცვალე მას, „შეჩერდა ერთი და მისებურათ ჩააკვარახჭინა საკვიმატოში:/ სანკეტო ფურცელში – ც.ხ./ „ჯერჯერობით ჯიბოს ჯიბით". შენც გეხსომება ალბათ!"

„ვის არ ახსოვს? სიცილით დავიხოცეთ. სანკეტო უწყებაშიც ბევრი ეცინათ. მოეშვენ კიდეც!"

ამ საუბარში უპირველესად გრიგოლ რობაქიძე ყურადღებას ამახვილებს პაოლო იაშვილის ლაღ ბუნებაზე, მის იშვიათ ხელგაშლილობასა და პოეტური ნიჭის მომხიბლელობაზე:

„კაცი დადის, შენი ჭირიმე, არხეინათ, - განაგრძობს ყაფლანი, - შეგხვდება – სიხალისეს მოგაფრქვევს, გადაგეხვნება გულით, როგორც წყაროს თვალი, თუ კვიმატი დღე გაქ – საბედნიეროთ მოგიბრუნებს, შაირს გეტყვის მისთანას, რო სმენას დაგიტკბობს... ისეთ შაირს თან მიაყოლებს კიდომ, რო ცვედანიც ახალისდება ტრფიალისათვის. დადის ასე, არხეინათ, შენი ჭირიმე, დღეს ამას ეწვევა, ხვალ იმას, ერთსაც უხარია და მეორესაც. ფული დაჭირდება ვინმეს, ხელი ამას ისე გაიღებს, რომ ჯიბეც ვერ გაიგებს...

სიყმაწვილიდანვე აედევნა ავი თვალი, გიმნაზიის წლებშივე. ერთი მონარქისტი პედაგოგის ხულიგნური განცხადების გამო, რომელმაც ქართული ენა ძაღლის ენად გამოაცხადა, - იგონებს სერგო კლდიაშვილი, - მოწაფეებმა დემონსტრაცია მოაწყვეს. დემონსტრაციაში აქტიური მონაწილეობისთვის პაოლო, მაშინ მეშვიდე კლასის მოწაფე გიმნაზიიდან გარიცხეს. იგი იძულებული გახდა, ანაპაში წასულიყო, სადაც დაასრულა საშუალო სასწავლებელი. მართალია, ამ ფაქტს ფრთები არ შეუკვეცია მისი ლაღად მონავარდე ოცნებებისათვის, მაგრამ ღრმა ტკივილი დაუტოვებია ჭაბუკი პოეტის სულში, რაც მკაფიოდ აისახება ლექსში „პოემა ჩემი რამოდენიმეთ გადარევისა": „თორმეტი წლიდან მე არ მაცლიდნენ... დამეთანხმეთ ამეგო წესი: დღემოკლესავით გარდავიცვალე... გაგიჟდა... მაშასადამე, გარდაიცვალა პოეტი პაოლო იაშვილი... პოეზიისთვის ბევრი იწვალა, მაგრამ არ იყო მისთვის საშველი..." თუმცა ლირიკოსის ცხოვრებაში, მის ღრმა პოეტურ რწმენაში უკვე მონიშნული იყო გზაც უკვდავებისა, ამიტომაც დაწერს ასეთ სტრიქონებს: „იყოს უკვდავი მისი სამარე და იქ შეევსოს ამ ქვეყნის ნაკლი, იქ ყავდეს ცოლათ მეფე თამარი და მაყრად ყავდეს მეფე ირაკლი!". თითქოს ამ ლექსის ერთგვარი გაგრძელებაა მისივე „სონეტი", რომელიც, ამავე, 1918 წელსაა დაწერილი: „მე ვკითხავ ვინმეს: „ჩემს სონეტებს რად არ აფასებ?" მერმე უეცრად თამარ მეფე – ჩემი დობილი, ვთხოვ მოკრძალებით – შესვას ჩემი შესანდობელი და თავს დავიხრჩობ ბნელი ღამით ძველ დარაბაზე... მე მაგინებდნენ, მაგრამ ვიცი ქებაც ბევრს სურდა..."

ჭეშმარიტად! გულმხურვალე მეხოტბენი, მაქებარნი მის დიდ პიროვნულ ხიბლსა და მაღალ პოეზიას არც არასდროს დაჰკლებია შინ თუ გარეთ. სერგო კლდიაშვილი თავის მოგონების წერილში – „პაოლო იაშვილი" – საგანგებოდ გაიხსენებს პოეტ ილია ზდანევიჩის მიერ 20-იან წლებში თავის ძმისთვის – კირილე ზდანევიჩისათვის გამოგზავნილ წერილს: „წარმოიდგინეთ, დღემდე ახსოვთ აქ/ პარიზში – ც.ხ./ პაოლო. არც ისე დიდი ხნის წინათ, მე და ჩემი – ცოლი კაფეში შევედით. იქ ვნახე ფრანსის კარკო... საუბარში როგორც წერილშია მოთხრობილი, ფრანგ მწერალსა და ხელოვნებათმცოდნეს გაუხსენებია პაოლო იაშვილი და ასეთი რამ უთქვამს: „ბევრი მინახავს ამ კაფეში, მრავალი მათგანი აღარ მახსოვს, იმ ქართველი მომხიბვლელი გარეგნობის ახალგაზრდის დავიწყება კი არ შეიძლება. ის აქ კითხულობდა თავის და თავის მეგობრების ლექსებს. შინაარსი არ მესმოდა, მაგრამ მის ხმაში და მის საუბარში, მის საოცარ თვალებში მე ვკითხულობდი და კიდევაც მესმოდა ჭეშმარიტი პოეზია. ჰო, ის პოეტი იყო, ჭეშმარიტი პოეტი!".

პარიზში, 1914 წელს, სადაც პაოლო იმყოფებოდა გრაფიკის დაუფლების მიზნით, იგი დაუახლოვდება ცნობილ რუს პოეტს ილია ერენბურგს. კაფე „როტონდოში" ფრანგი პოეტების ტრფიალს შთაგონებით უკითხავს ერენბურგისათვის: „რომელ კაფეში იჯდა ხოლმე ვერლენი?" „აქ როდის შემოვა პიკასო? „მართალია, რომ თქვენ კაფეში წერთ?" „მე ამას ვერ შევძლებდი..." შემდეგ შეხვედრები ილია ერენბურგის თბილისში, ქართველ

ეროვნული ბიბლიოთეკა



● პაოლო იაშვილი



● პოეტის ქალიშვილი

პოეტებთან – პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, ვ. გაფრინდაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან... ეს 1920-1926 წლებში ხდება. ამ შეხვედრების გამო დაუწერია რუს პოეტს: "ძნელია კიდევ იპოვო ისეთი პოეტები, რომლებსაც ისე უყვარდეთ თავიანთი სამშობლო, როგორც მათ. ისინი შეგეძლოთ დიდად გაგეხარებინათ, თუკი ეტყოდით, რომ ქართული სიტყვა სხვაგვარად გამომხატველია, ან შეგენიშნათ მთის ყვავილები, ან გოგონების ღიმილი რუსთაველის გამზირზე..."

პაოლო იაშვილი იქაც, პარიზშიც შესძლებს თავისებური ეგზოტიკა შეიტანოს იქაურ პოეტთა და ხელოვანთა ცხოვრებაში, რაზედაც თავადვე გვიამბობს თავის შესანიშნავ მოთხრობაში „ფერადი ბუშტები", რომლისთვისაც სენტიმენტალური ამბავი დაურქმევია:

„ერთ ღამეს მე და ილია ერენბურგი და გიომ აპოლინერი ვეწვიეთ მათხოვრების ბანაკს – ალექსანდრე მესამის ხიდის ქვეშ...

მე აპოლინერმა და ერენბურგმა წამოვიყვანეთ ათი მათხოვარი კაფე „ა ლა როტონდაში" სავახშმოდ... როცა გათენდა, მე გამოვეთხოვე პარიზელ მეგობრებს და ამ დღესვე წამოვედი საქართველოში... 10 წლის შემდეგ დაიწერება ეს მოთხრობა და აქვე შევიტყობთ, გულმოწყალე პოეტი როგორ უგროვებდა ფულს მათხოვრებს ქუჩაში,თუმცა მოთხრობის პირველი სტრიქონი ასე იწყება: „თბილისში ბევრი მათხოვარი საზიზღარია... მას მოსდევს სტრიქონები, მაგრამ „თბილისში ბევრი გულის დამწველი მათხოვარია..." ერთ-ერთ მათგანს ეძღვნება ასეთივე გულის დამწველი მონოლოგი პოეტისა: „როგორ ცხოვრობს მათხოვარი ლეონტი კაჩერგა".

რაოდენ გვეცნობა გრიგოლ რობაქიძის მოგონების ფურცელში მინიშნებული პაოლო იაშვილის გამორჩეულ, ადამიანურობით სავსე ბუნებაში ეს უჩვეულო ნაკვთიც: „ახლა ეს კაცი – ნიჭიერი პოეტი, ღმერთების საყვარელი, მეფე და მათხოვარი, მარადი ჭაბუკი, შვილი მზისა – ცოცხალი აღარ არის..." 1919 წელს დაწერილ ლექსშიც „პაოლო იაშვილს" მრავალი წახნაგით წარმოაჩენს მწერალი საყვარელი მეგობრისა და პოეტის გამორჩეულ ფიგურას: „ჯადოქარობით ეზიარე ირანელ დავრიშს, სავნებო ცეცხლით შეიზარდე მზის თაყვანება, კაფეს ხმაურში გამოსჭერი ლალი ზმანება. ნათალი ლექსი უთავაზე პარიზს და თავრიზს... თან გეხამება ჯამბაზური შენ გაქანება... გშვენის ყივილი და ნავარდი დაჭრილ კენტავრის. პოეზიაში შემოიჭერ როგორც ბანდიტი... უდარდო ხელით მოაბნიე თვალ-მარგალიტი... მოწითურ რაშსა მიაქანებ თეთრი რაინდი". თავის მოთხრობაშიც „ფალესტრა" 20-იანი წლების თბილისის ფონზე მისებური მძაფრი მკვეთრი ფერებით წარმოსახავს გრიგოლ რობაქიძე პოეტის სახეს:

„ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი, კაფე „ინტერნაციონალში" იგი კიდეც გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. კიდევ მეტი: გაიძახოდნენ – პოეზია მარტო ტფილისშიაო. პაოლო იაშვილი სწორედ ამ ხანებში თავს დაეცა ტფილისს, როგორც არტურ რემბო პარიზს. „ორლობის ეშაფოტის" ავტორი – გრიგოლ რობაქიძე აქვე დასძენს: „ქვეყანა იქცეოდა – და მხოლოდ ტფილისი იყო ერთადერთი ქალაქი, რომელიც ამ „ქცევას პოეტური მღერით ხვდებოდა..."

მართლაც, უცნაური, თვალისმომჭრელი ფერებით, მეტეორივით შემოიჭრა პაოლო იაშვილი პოეზიაში თავისი წითელი ფარშავანგებით და წითელი ხარით და თითქოს ამ უჩვეულო ფერებით მისთვის დამახასიათებელი ეგზოტიკით რაღაც მოულოდნელის მომასწავებელი განცდაც შემოიტანა. წინ კი თურმე მართლაც, რამდენი რამ უნდა მომხდარიყო...

ლექსი „ფარშავანგები ქალაქში" თვით პაოლო იაშვილისთვისაც გამორჩეულად საყვარელი ლექსი ყოფილა. ამას უთუოდ მოწმობს ის ფაქტი, რომ ჟურნალ „ცისფერი ყანწების" შემდეგ, რომლის მხოლოდ ორი ნომერი გამოიცა, ცისფერყანწელებს გაზეთის გამოცემა განუზრახავთ, რომლის სახელიც, ისევე როგორც ჟურნალ „ცისფერი ყანწებისა", პაოლო იაშვილს შეურჩევია – „ფარშავანგი", მათ მიერ გამართული კონცერტების აფიშასაც თურმე მისივე ხელით მოხატული ფარშავანგი ამშვენებდა და სავსებით გასაგებია, თუ რაოდენი განცდითა და ჟრჟოლით, რა გულისხმგერით თარგმნიდა პოეტი ოსკარ უაილდის „სალომეას", ჰეროდეს ამ მონოლოგს, მიმართულს სალომეასადმი:

„...სალომეა, შენ გინახავს ჩემი თეთრი ფარშავანგები, ჩემი ლამაზი თეთრი ფარშავანგები, ბაღში რომ დასეირნობენ მაღალ ალვის ხეებს შორის. მათი ნისკარტი დაოქრულია და მათი საკენკიც დაოქრულია. მათი ფეხები კი მეწამულის ფერია. როდესაც ისინი ჰკივიან, წვიმა მოდის, და როდესაც თავის ბოლოებს შლიან, ცაზე მთვარე ჩნდება... არსად მოიპოვება ქვეყნად ასეთი საოცარი ფრინველები... მე გაჩუქებ შენ ორმოცდაათ ასეთ ფრინველს. ისინი ყველგან გეახლებიან. შენ კი იმათ შორის იქნები როგორც მთვარე დიდ თეთრ ღრუბლებში..."

და განა მარტო სალომეა, თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მშვენიერ პოეზიასთან ერთად ლირიკოსმა დიდი ადგილი დაუთმო რუსი და ფრანგი პოეტების თარგმანებს. ბრწყინვალედ გადმოაქართულა ალექსანდრე პუშკინის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, კონსტანტინე ბალმონტის, იგორ სევერიანინის, ვლადიმერ სოსიურას, შარლ ბოდლერის, არტურ რემბოს, ემილ ვერჰარნის პოეტური ნიმუშები. ამ ლამაზ მემკვიდრეობას ამშვენებს მისი შესანიშნავი კრიტიკული წერილები, სიტყვები, პირადი მიმოწერები... მათში იშვიათი სიმკვეთრით მოსჩანს პაოლო იაშვილის პოეტური სულის ანარეკლები, როგორც დიდი შემოქმედისა, პიროვნებისა, მეგობრისა, მამულიშვილისა, ოჯახის უერთგულესი თავკაცისა... ყოველი სტრიქონიდან იხედება მისი სულის ახოვანება, რომელიც ახლაც წინანდებური სიძლიერით ცოცხლობს და სახლდება ჩვენს სულებში, გვათბობს, გვახალისებს, სულიერად გვამდიდრებს და ძალას გვმატებს.

ციური ხეთერელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა იწვევს დეპრესიას?

ამ ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ – ჩემი ქმარი დეპრესიულია, ჩემს მეგობარს დეპრესია აქვს, ჩემი შვილი გარეთ არ გადის დეპრესიის გამო. მოკლედ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი დეპრესიამ მოიცვა. რა არის დეპრესია და რა იწვევს მას? გვესაუბრება ფსიქოლოგი ***მანანა დუდუჩავა***.

– ითვლება, რომ დეპრესიას იწვევს რაღაც დანაკარგი – მატერიალური, ან სულიერი. ჩვეულებრივ, ადამიანები დეპრესიას უწოდებენ ისეთ სულიერ მდგომარეობას, როცა გრძნობენ საკუთარ უსუსურობას, ფიქრობენ, რომ ვერ გაუმკლავდებიან ამა თუ იმ რთულ სიტუაციას, ვერ ხედავენ გამოსავალს, თავს გრძნობენ ჩიხში. ამ განცდების კომპლექსს, თანდართული სხვადასხვა ფიზიკური შეგრძნებით, ფსიქოსომატური ჩივილებით, შეიძლება ვუწოდოთ დეპრესიული მდგომარეობა. შეიძლება ადამიანი ცუდ ხასიათზე იღვიძებდეს, ან მასზე მოქმედებდეს ცუდი ამინდი, ჰქონდეს ,,ნაცრისფერი" გუნება-განწყობა – და თუ ეს ჩივილები დროში ძალიან არ გახანგრძლივდება, ხშირ შემთხვევაში, თავისთავად ქრება. მაგრამ არსებობს ე.წ. შენიღბული დეპრესია, როცა გუნება-განწყობის დაქვეითება არ არის მკვეთრად გამოხატული და წინა პლანზე სომატური ჩივილები გამოდის. თითოეულ ამ მდგომარეობას სხვადასხვა მიდგომა სჭირდება.

***– დეპრესია ავადმყოფობაა?***



– ნამდვილი, კლინიკურად ჩამოყალიბებული დეპრესია ავადმყოფობაა, რომელსაც სპეციალისტთან, ანუ ფსიქიატრთან და ფსიქოთერაპევტთან მკურნალობა სჭირდება.

***– თვითონ ადამიანი ვერ გაუმკლავდება დეპრესიას? ოჯახი ვერ დაეხმარება მას?***

– ოჯახის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ქმნის ისეთ ფონს, რომელზედაც მიმდინარე მკურნალობა იქნება ეფექტური. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, როდესაც ნამდვილ დეპრესიასთან გვაქვს საქმე.

***– დეპრესია ქალებში უფრო ხშირია თუ მამაკაცებში?***

– ჩვენს რეალობაში დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დახმარებისთვის სპეციალისტებს ქალები უფრო ხშირად მიმართავენ, ვიდრე მამაკაცები. მამაკაცები ასეთ დროს მიმართავენ ალკოჰოლს, შეიძლება ნარკოტიკსაც. რა თქმა უნდა, ეს არ არის პრობლემის გადაჭრის გზა, პირიქით, ერთ პრობლემას ემატება მეორე.

***– რა ასაკშია უფრო ხშირი დეპრესიის შემთხვევები?***

– საერთოდ, დეპრესია უფრო ხშირად მაშინ იჩენს თავს, როცა ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობა ირღვევა. ეს დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს ახალგაჩენილმა მნიშვნელოვანმა პრობლემამ, რომლის გადაჭრა არის აუცილებელი, ადამიანი კი ვერ ხედავს ამ პრობლემის გადაჭრის გზებს, ან თავის თავში ვერ გრძნობს ამის რესურსებს, ანუ, ჩიხშია. ეს ჩიხურობის განცდა მძიმეა, კრიზისული, გარდატეხის პერიოდებში გამოვყოფდით ორ ასეთ კრიზისულ პერიოდს: პირველი ბავშვობაში – გარდატეხის ასაკი და შემდეგ მეორე გარდატეხის ასაკი, რომელიც დგება 45 წლის მიდამოებში. ამ დროს იცვლება ბევრი რამ, განსაკუთრებით ქალებისთვის ერთგვარი გზაჯვარედინია. ქალი, რომელიც მანამდე იყო ცოლი, დედა ან უბრალოდ, მშვენიერი ქალი, ახლა უნდა გახდეს ბებია და ეს საჭიროებს სხვანაირ, ახალ გააზრებას, ახალი ფასეულობების მიღებას, გათავისებას, თვითრეალიზაციის ახალი ფორმების მოძებნას. ამ პერიოდში იცვლება ქალის საცხოვრებელი გარემო, ფუნქციები, როლი... არსებობს ე.წ. ,,დაცარიელებული ბუდის" სინდრომი: ქალი იყო ჯაფაში, სახლში ბევრი საქმე ჰქონდა, ბავშვები უნდა აღეზარდა, იყო გადაღლილი, წუწუნებდა, შეიძლება ამბობდა კიდეც, რომ ავად ხდება ამდენი შრომის გამო და აი, ბავშვები გაიზარდნენ, თავიანთი გზა მოძებნეს, და ცოლ-ქმარი დარჩა მარტო. ქალმა დაკარგა ის მთავარი ფუნქციები, რითაც ცხოვრობდა, აღმოჩნდა სიცარიელეში. არ იცის რა გააკეთოს, არ იცის რისთვის ცხოვრობს. მისთვის მძიმე პერიოდი დგება.

ამ დროს ქალი უნდა დაფიქრდეს საკუთარ თავზე, შესაძლებლობებზე, სურვილებზე, იმ დაფარულ რესურსებზე, რომელიც ყველა ადამიანს ყოველთვის აქვს. ალბათ, არ უნდა შეგვიპყროს მოუთმენლობამ და აუცილებლად გამოიძებნოს ის რაღაც ნათელი, ფასეული, მნიშვნელოვანი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას ისევ მისცემს აზრს და დაგვეხმარება თვითგამოხატვაში, ოღონდ ახალი ფორმით.

***– მხიარულ ადამიანებსაც ემართებათ დეპრესია?***

– პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ დეპრესია ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაემართოს. საერთოდ კი, თუ შეგვიძლია ცხოვრებისეულ პრობლემებს მოთმინებით შევხვდეთ და არ ჩავთვალოთ, რომ ეს ჩვენ არ უნდა მოგვსვლოდა, არ გვეკადრებოდა, ამის ღირსი არ ვიყავით, ალბათ მაშინ დეპრესიის საშიშროება ნაკლებად გვემუქრება. ეს უკავშირდება რწმენასაც, ფასეულობების სისტემასაც... გავიხსენოთ, რომ მორწმუნე ადამიანისთვის განსაცდელი არის გარკვეული გამოცდა, რომელიც მან უნდა გაიაროს და ამის გამო სულიერი ამბოხი სრულიად ზედმეტია.

***– ხშირად მამაკაცებს სტრესის გამო ემართებათ დეპრესია. რას ურჩევდით მათ?***

– პირველ რიგში, უნდა მიმართონ სპეციალისტებს. თუ რაღაცის გამო ამას ვერ აკეთებენ, მაშინ კარგი იქნება, დაკავდნენ მათთვის საინტერესო საქმიანობით, სათევზაოდ წასვლა იქნება, ცეკვა, ხატვა თუ ვაზის გახარება, არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია გამოსვლა ამ გახევებული, ჟამი განცდებიდან, რისი დაძლევაც ხდება მხოლოდ მოქმედებით. პირველი რაც უნდა გაკეთდეს, არის ადგომა და ,,გამოსვლა". ფიზიკური ვარჯიში, ფიზიკური დატვირთვა და არა გადატვირთვა, თუნდაც უბრალო მოძრაობა – ტყეში წასვლა, პარკში სეირნობა, წრის დარტყმა სტადიონისთვის, ან სოფელში მიწაზე მუშაობა. მოძრაობის გარეშე, ილიას რომ დავესესხოთ, არაფერი არ ხდება. გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს, ყველა სიტუაციას შეიძლება მოვუძებნოთ რაღაც გასაღები. და კიდევ ერთი – იმ დაფარული რესურსების აღმოჩენა, რომელიც ამ დროს მნიშვნელოვანია, სწორედ ამ მოქმედების პროცესში ხდება.

**მანანა ციცქიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაუვიწყარი შეხვედრა დიდ გიორგი ლეონიძესთან



ართუ ხანმოკლე ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, თანდისთან მივხვდი, რომ ცხოვრება, მართლაც, შინაარსიანად და ლამაზად გატარებული დროის – საათების თუ წუთების ერთობლივი შეჯამებით იზომება და არა სიცოცხლის წლებით. იმასაც მივხვდი, რომ ზოგი ისე მოდის ამქვეყნად და ისე სტოვებს ქვეყანას, რომ ბედნიერების წუთიც კი არ ჰქონია, ე.ი. არც უცხოვრია საბრალოს… ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ წუთები მრავლად მარგუნა. თუნდაც ის ამბავი რად ღირს, ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების გარიჟრაჟზე რომ შევხვედრივარ დიდ ქართველებს – მწერლებსა თუ ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებს… ამ შეხვედრების ფასი, რომ არ დაგიმალოთ, წლების მერე უფრო მიგრძვნია. ცნობილ შემოქმედებთან ჩემი შეხვედრა ყოვლად მიუკერძოებელი, დიდი მეტრით, საყოველთაოდ ცნობილი ბატონ პოლიკარპე კაკაბაძით დაიწყო, მაგრამ ამჯერად ნათელსა და უნათლეს პოეტ გიორგი ლეონიძესთან შეხვედრაზე უნდა გიამბოთ.

თბილისის 77-ე საშუალო სკოლა დავამთავრე. სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ნორა სიხარულიძე მასწავლიდა, რომელსაც ძალიან უყვარდა პოეზია, საერთოდ – ლიტერატურა. მისი მოთხოვნით, ჩემს პირველ ლექსებს სწორედ მასვე ვაკითხებდი და, ბევრი სასარგებლო რჩევაც მოუცია.

ნორა სიხარულიძის ძმა – ტიტე სიხარულიძე, იმხანად ცნობილი მოქანდაკე, აგრეთვე, პოეზიის ტრფიალი ბრძანდებოდა, ქართველ მწერლებთან ახლოს იყო და მრავალი მათგანი გამოქანდაკებულიც ჰყავდა.

ნორა სიხარულიძის მიწვევით ბევრჯერ ვყოფილვარ ტიტეს სიხარულიძის სახელოსნოში. ისინი ქობულეთის აღმართზე ცხოვრობდნენ დიდ სახლში. ყოველ მისვლაზე ბატონი ტიტე ჩემს ახალ ლექსებს წამაკითხებდა და დიდ სიხარულსაც გამოხატავდა.

და აი, ერთხელ, ბატონი ტიტე მეუბნება: მე თუ შენი ლექსები მომწონს, ეს არაფერს ნიშნავს, მთავარია, ეს ლექსები დიდ პოეტს მოეწონოს, ეს იქნება უმთავრესიო. გადავწყვიტე, გიორგი ლეონიძესთან წაგიყვანო, აი, მთავარი ის არის, მას მოეწონოს შენი ლექსებიო. ახლა რომ ვიხსენებ, გული ძგერას მიმატებს. მაშინ კი, ნამდვილად ნაკლებად გამეგებოდა, ვინმე, თუნდაც დიდი გიორგი ლეონიძე თუ ჩემს ლექსებს მოიწონებდა, რა შემემატებოდა; მე ხომ უბრალოდ, ჩემთვის ვწერდი ლექსებს…

ერთი სიტყვით, 1959 წლის ზაფხულის ერთ მცხუნვარე კვირა დღეს ტიტე სიხარულიძემ მითხრა, გავარკვიე, ბატონი გიორგი წყნეთში ყოფილა და იქ უნდა წაგიყვანოო.

წყნეთის გზას დავადექით. მაშინ მიმოსვლის საშუალებები დღევანდელივით როდი იყო; ფეხით მივდიოდით. მაშინ ვერ ვგრძნობდი, ახლა უფრო მეუხერხულება, რომ იმხელა, მთასავით კაცი ტიტე სიხარულიძე ასე შეწუხდა და წყნეთში ფეხით ამიყვანა; წარამარა კი შედგებოდა, ისვენებდა, ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მის სულს, მაგრამ წამიერი შესვენება რა ბედენა იყო…

როგორც იქნა, გაუთავებელი გზის მერე, კითხვა-კითხვით მივადექით გიორგი ლეონიძის აგარაკს, შორიდანვე გავიგონეთ მისი დევისებური ხმა, – რას შვრებით, თქვე მამაძაღლებო, შვილიშვილებს დაჰყვიროდა აივნიდან. ახლაც თვალწინ მიდგას ერთი ძალზე მაღალი, აწოწილი ბიჭი, რომელიც გიორგი ქავთარაძე აღმოჩნდა.

ტიტე სიხარულიძემ კიბის დასაწყისთან, დაბლა გამაჩერა, - ჯერ მე ავალ, ბატონი გიორგი რა ხასიათზეა და მერე აგიყვანო და უზარმაზარი, გრძელი კიბე ძლივს აათავა. გიორგი ლეონიძე კიბის თავშივე შეეგება, - ტიტე, რას შვრები, როგორა ხარ, რას შეუწუხებიხარო, ჩაეკითხა იგი მისულს. ბატონმა ტიტემაც მოახსენა რასაც შეეწუხებინა, - გოგონა მოგიყვანეთ, რომელიც, ჩემი აზრით, კარგ ლექსებს წერს, მაგრამ მოგეხსენებათ, ჩემი აზრი სათქმელიც არ არის, თქვენი აზრია ჩემთვის უმთავრესი და მინდა შეგაწუხოთ და თქვენ გაეცნოთ ამ ლექსებსო. ისეთი პოეტი ხომ არ არის, ტიტე, ვაშა, ვაშა, პარტიას, გაუმარჯოს კომუნიზმსო? იკითხა თავისებური ბუხუნით დიდმა გიორგი ლეონიძემ და გაიცინა. რას ბრძანებთ, ასეთი რომ იყოს, როგორ გაკადრებდით და შეგაწუხებდითო. ეს ყველაფერი მესმოდა და გული ბაგაბუგით საგულეში აღარ მეტეოდა. ბატონი გიორგის ნებართვის შემდეგ ბატონმა ტიტემ ჩამომძახა: ამოდი, ამოდი, ბატონი გიორგი თანახმაა მოგისმინოსო. კიბე ძლივს ავათავე. დიდსა და გრძელ აივანზე ჩალის სკამები და მაგიდა იდგა. დაჯექი, ქალო, მითხრა გიორგი ლეონიძემ და შემათვალიერა. ამ „ქალომ" გვარიანად შემაკრთო. მთელი სხეული მითრთოდა. ბატონმა გიორგიმ შემათვალიერა.

ბატონო გიორგი, მიმართა ტიტე სიხარულიძემ, დაიწყოს ლექსების კითხვა? არა, არა, ტიტე, დაიბუხუნა გიორგი ლეონიძემ, - სხვის წაკითხულს ნაკლებად აღვიქვამ, მირჩევნია, თვითონ წავიკითხოო და რვეული, ხელთ რომ მეპყრა, გამომართვა და კითხვა დაიწყო. კითხვისას ვერანაირი აზრი ვერ ამოვიკითხე მის სახეზე, - ვერც მოწონება, ვერც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწუნება. სულ თხუთმეტიოდე ლექსი მქონდა ამ რვეულში ჩაწერილი. ძალიან დაკვირვებით კითხულობდა დიდი გიორგი ლეონიძე ამ პატარა ლექსებს, დროდადრო გადმომხედავდა სათვალის ზემოდან და, დღესაც თვალწინ მიდგას მისი კამკამა, ანკარა ცისფერი თვალები...

მეგონა საუკუნე გავიდა, რაც გიორგი ლეონიძე ჩემს ლექსებს კითხულობდა. კითხვა რომ დაამთავრა, რვეული დახურა, ხელი გამომიწოდა, - თავისი ვეებერთელა მარჯვენა და დაიბუბუნა: ყოჩაღ, ქალო, ქალიც შენ ყოფილხარ და პოეტიც! კარგი ლექსებია, კარგია... განსაკუთრებით "ქეთევან წამებული" მომეწონა. ნახევარი საუკუნის მერეც მოგეწონება ეს ლექსი, ისეთი ლექსია. ყოჩაღ! მე ვაჟამ დამლოცა, მე შენ გლოცავ! დაიბუბუნა, დამწვდა და შუბლზე მაკოცა. „ქეთევან წამებული" მაინც გამორჩეულია, გაიმეორა... ალბათ, იმის ახსნა არავის სჭირდება რა დღეში მქონდა გული დიდი პოეტის შეფასებით...

მართალია გიორგი ლეონიძე. „ქეთევან წამებული" დღესაც მომწონს. ამ ლექსის ბატონი გიორგის მოწონების შემდეგ ორმოცდაშვიდი წელი გავიდა და ისევ მომწონს, სხვა რომელი ლექსები მქონდა დიდი პოეტთან, აღარც მახსოვს... ძალიან მჩვეოდა ლექსების დახევა.. ვწერდი და ვხევდი, ასობით ლექსი დამიხევია. ჩემი ლექსის პირველი დამწუნებელი თავად ვარ... აი, ჩემი „ქეთევან წამებული"

*ვარდების, სინაზის, პოეტთა მირაზი,*
*შენ კი შემოგბედეს შანთი და მარწუხი,*
*ქეთევან!- ტირიან ქართველი დედები,*
*მეც შენი იარა მაწუხებს.*
*ვარ შენი რწმენის და*
*სიწმინდის მორჩილი,*
*მინდა შენ გედარო,*
*მე მარჯვენს მოგისვამ*
*მკერდზე და მორჩები,*
*მორჩები, ნეტარო!*
*მაგრამ ის მაოცებს,*
*მაგრამ ის მაწუხებს,*
*სინაზისა და ვარდების მირაზში,*
*როგორ შემოგბედეს,*
*ვითარ შემოგბედეს*
*დედოფალს შანთი და მარწუხი?!*

გიორგი ლეონიძესთან შეხვედრა, დამეთანხმებით, არ შეიძლება დაგავიწყდეს. ის ერთი საათი თუ ოდნავ მეტიც, ჩემი ცხოვრების ბედნიერი საათების ერთი უმთავრესი და უბედნიერესი საათია, მერე და მერე უფრო გავიცნობიერე ეს ბედნიერება. წლები რომ გავიდა, იმ კომუნისტური რეჟიმის დროს ნათქვამი –ისეთი პოეტი ხომ არ არის, ტიტე, ვაშა, ვაშა, პარტიას, გაუმარჯოს კომუნიზმსო, თანდისთან უფრო მაოცებდა...დღეს ამ სიტყვებით ვის გააოცებ, მაგრამ მაშინ მართლაც უცნაურიც, გაბედულიც იყო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორისაგან ამ სიტყვების წარმოთქმა...

"ქალო, ქალოო"... ეს მომართვაც მაოცებდა, დიდი პოეტი ასე რომ მომმართავდა პატარა გოგონას...

ნათელი მიაგოს უფალმა დიდი გიორგი ლეონიძის სულს...

**ბელა შალვაშვილი**

## სილამაზის გაკვეთილები



### ჭორფლის საწინააღმდეგო სტაფილოს ნიღაბი

ორ სუფრის კოვზ სტაფილოს წვენს დაუმატეთ ოცი წვეთი ლიმონის წვენი. ამ საშუალებით სახე დღეში 2-3-ჯერ გაიწმინდეთ. ნიღაბი 20-30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

### ნაოჭების საწინააღმდეგო ნიღაბი

1/2 პაკეტ საფუარს არაჟნის კონსისტენციამდე დაუმატეთ თბილი რძე (ნორმალური კანის შემთხვევაში), ზეითუნის ზეთი (მშრალი კანის შემთხვევაში) ან 3%-იან წყალბადის ზეჟანგი (ცხიმიანი კანის შემთხვევაში). მიღებული მასა სახეზე 20 წუთით დაიდეთ, შემდეგ კი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

### მკვებავი ნიღაბი ნებისმიერი კანისთვის

1 სუფრის კოვზი თაფლი, 7-10 წვეთი ლიმონის წვენი და ცოტაოდენი დაფქვილი შვრიის ფანტელი კარგად აურიეთ, რომ ფაფისმაგვარი მასა მიიღოთ. დაიდეთ სახეზე 20 წუთით, შემდეგ კი ცივი წყლით ჩამოიბანეთ. ნიღაბი აუმჯობესებს სახის ფერს, კარგად კვებავს კანს და ელასტიკურობასა და სინაზეს მატებს მას.

### კიტრის ლოსიონი მშრალი კანისთვის

წვრილად დახეხეთ ერთი საშუალო ზომის კიტრი, დაასხით თანაბარი რაოდენობის არაყი და დადგით 2 კვირით. შემდეგ გაწურეთ, გააზავეთ ანადუღარი ცივი წყლით პროპორციით 1:1-ზე და 100 მლ. ლოსიონს დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი გლიცერინი.

### სტაფილოს უნივერსალური ნიღაბი

2 ცალი სტაფილო დახეხეთ წვრილ სახეხზე, დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, 1 კვერცხის გული და კარგად აურიეთ. მიღებული მასა წინასწარ გაწმენდილ სახეზე დაიდეთ, 20 წუთის შემდეგ კი შენაცვლებით ჯერ თბილი, მერე კი ცივი წყლით ჩამოიბანეთ. ნიღაბი ნებისმიერი ტიპის კანს უხდება.

### გამაახალგაზრდავებელი ნიღაბი ტომატისაგან

1 ჩაის კოვზ ტომატს შეურიეთ ამდენივე კვერცხის გული და არაჟანი. მიღებული მასა სახეზე 20-30 წთ-ით დაიდეთ, მერე კი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ნიღაბი ნებისმიერი ტიპის კანს უხდება.

# ქართული ჩოხის დღესასწაული

რუსთაველის გამზირზე /№14/ ძველებურ თბილისურ ეზოში 1912 წელს დასახლებულა მომავალი ცნობილი ფოტოხელოვანი ევტიხი ჟვანია. იმ ხანიდან მოყიდებული შვიდი ათეული წელი ქმნიდა დიდოსტატობით ჩვენი ისტორიული სინამდვილის, ქართული კულტურის ისტორიას. ძვირფასი ხვედრი არგუნა განგებამ, თავიდანვე ფოლიანტებთან შეახვედრა კავკასიაში ცნობილი ფოტოგრაფის მ. გაიდაბურგის აღზრდილი. პირველად დიდი ქართველი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნია სწვევია და უთხოვია მისთვის გადაეღო ლადო მესხიშვილის იუბილე. დიდ ქართველ რეჟისორს კოტე მარჯანიშვილს მიუნდვია ახალგაზრდა ევტიხისათვის თავისი დადგმებიდან სცენების გადაღება. ცნობილი ქართველი რეჟისორის დ. ანთაძის სიტყვით, - „ევტიხი რომ არა, არ გვექნებოდა ლადო მესხიშვილის, ვანო სარაჯიშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, აკაკი ხორავას, ს. ზაქარიაძის, ვ. გოძიაშვილის ეს უნიკალური სურათები. დიდი ტკივილიც განუცდია – მომაკვდავი ვაჟა-ფშაველა გადაიღო და მასთან ერთად, პოეტის თხოვნით, მომვლელი ქალი და მოწყალების დებიც. თურმე 40 წუთის შემდეგ გარდაცვლილა ვაჟა-ფშაველა.

იმ დღეს ფოტოხელოვანის ვაჟმა მურად ჟვანიამ გაიხსენა:

„მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, მამამ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან გამაგზავნა. მოკრძალებით მოვახსენე:

- თქვენი სურათი გვინდა რომ გვქონდეს.
- შენ ჩემი ბიჭი ხარ, მადლობელი ვარ შენი.

იმ დღესვე მოვიდა.

ქართული კაბინეტური ფოტოგრაფიის ფუძემდებლის სალონში ბევრი აქ შემოსული დამტკბარა და ახლაც სიამით შესცქერის კედელზე განლაგებულ ევტიხი ჟვანიას მიერ გადაღებულ ფოტოსიუჟეტებს, უნიკალურ პორტრეტებს – კალისტრატე ცინცაძე, - სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, შავნაბდიანი გალაკტიონი, შავი ბოხოხის ქუდით, რაინდულად გამომზირალი ოთხი შავჩოხოსანი: კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი – ამ სურათს უკვე კარგა ხანია იცნობს ქართველი საზოგადოება, მაგრამ იგივე სურათი როდი მოსწონდათ აგრერიგად საბჭოთა წყობილების მესვეურთ – „შავი ჩოხით მენშევიკებს მისტირითო“, - უსაყვედურებიათ თურმე მათთვის. მაგრამ „ქართული ჩოხა-ახალუხის ტარებას ვერ გადააჩვიეს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ აგემეს ციხე, გადასახლება...

ქართული ჩოხა-ახალუხი, წუღა-საცვეთი, ყაბალახი, ნაბადი, ქართული კაბა, - ეს ხომ ეროვნული სულის ატრიბუტებია და სწორედ, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ამოეღოთ ნიშანში, ქართული სამოსი დავიწყებისთვის გაეწირათ – ეს იყო მიზანი კომუნისტური წყობილებისა.

„ზანტად მოვისხი საოცნებო თეთრი ნაბადი – ნაბადი უყვარს ოფელიას ფერწასულ თვალებს...“ მაგრამ მოვიდა ოფელია და მითხრა ზანტად: - შენს მაცდურ ნაბადს ვეშურები ჩემი წყლებიდან...“ – განა ძნელია ამ სიტყვებში სიმბოლისტი პოეტის ეროვნული სული ამოიცნოთ, და ის აზრიც, რომ ქართული სამოსი ერთთავად საამო საცქერია და მიმზიდველი არანაკლებ ქართველთათვის, უცხო თვალისთვისაც? სწორედ ამ მხრივ არის ნიშნეული პაოლო იაშვილის პაროდიაში – „ყანწელები 1942 წელში“ – მგოსნის მონათხრობი:

... „ღამე“ გავატარეთ აბასთუმნიდან მომავალ ტივებზე: ტივები იყვენ უკანასკნელი ნაშთნი ძველ, ბარბაროსულ საქართველოსი...

მეტივეები იყვენ უკანასკნელი ჩოხოსნები და ამბობდენ: სამწუხაროა, რომ საქართველოში სონეტი აღარ არსებობსო... მკითხველი უთუოდ შენიშნავს ნიკოლოზ მიწიშვილის წიგნშიც- „ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან„ ჩოხოსანი მეგრელის შეძრწუნებულ სახეს, რომელსაც კიდევ არ შებრძოლებია სისასტიკით ცხოვრების რეალობა, ჯერ კიდევ არ შემოუძარცვავთ მისთვის სამოსელი ქართული. არადა, როგორ ერწყმის იგი ქართველი კაცის ბუნებას, როგორი სისავსით წარმოაჩენს ყოველ მის ნაკვთს, და, ამასთან, როგორი სიმკვეთრით ახლავს ყოველი კუთხისათვის დამახასიათებლი შტრიხი.

ალბათ მკითხველი ადვილად მიხვდება ამ მცირე ამონარიდიდან, რომ “ცისფერი ორდენის„ წევრებს, რომელთაც თვალი დასავლეთისკენ ჰქონდათ მიპყრობილი და საკმაო ადგილიც დაუთმეს თავიანთ შემოქმედებაში ფრანგ პოეტებს, არანაკლებ ღრმად აფიქრებდათ ქართული პრობლემაც.

რა ახლოს დაგვანახებს 12-13 წლის კოლაუ ნადირაძის გონების თვალი ნიკოლოზ II რუსეთის ერთ-ერთი გუბერნიის, ქუთაისის ქუჩებში მოსიარულე ახოვანი ტანის ვაჟკაცებს “ჩოხებში გამოწყობილებს, დარბაისლური მიმოხვრით, ზრდილებს, თავაზიანებს “რომელთაც ეგრე რიგად შვენოდათ ცხენზე ჯდომა და იარაღის ტარება. მე მიხაროდა მათი ქუჩაში დანახვა... მათი ტანჩაცმულობის და იარაღის მორიდებით თვალიერება.

გუშინდელ დღესავით მახსოვს ფერადი, ტანზე შემომჯდარი ჩოხები, მოჭედილი ქამარ-ხანჯალი, ძვირფასი საცვეთები. ჩემი ოცნება ხედავდა მათში რაინდულ საქართველოს ანარეკლს...“

„...მე-17 საუკუნის II ნახევრამდე ქართული სამოსელი შენარჩუნებულია. სამეფო ჯარიც ქართულად შემოსილი ყავთ. თეიმურაზ I დაჟინებით მოითხოვს, მისი შვილიშვილი ერეკლე, საეროვნო სამოსით წარსდგეს რუსეთის სამეფო კარზე, - აღნიშნავს თავის წერილში „რა ბედი ელის ქართულ ეროვნულ ტანსაცმელს?“ (გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 13 დეკემბერი) – ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ბატონი ლევან ფრუიძე, - რომლის საგულდაგულო ზრუნვის საგანს შეადგენს ის გარემოება, რომ დღეს თითზე ჩამოსათვლელიც კი აღარ არის ქართული სამოსელის დამუშავების ოსტატები, - „ქართული სამოსელი დავიწყების უფსკრულისათვის გაიწირა, აღარ არის ქართული სამოსის სახელოსნო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ პროფესიონალ თერძ-დერციკს მიხა ფანჩულიძეს ამ დარგის გულშემატკივარმა ჩოხოსანმა აწ განსვენებულმა ბუკა ნაკაიძემ გაუჩინა საქმე, ასობით ჩოხა და ახალუხი შეაკერინა“. თავად ჭიათურაში დაბადებულს და ძველ ქართულ ოჯახში აღზრდილ დამსახურებულ მშენებელს მთელი შეგნებით ესმოდა თავისი ქმედების არსი და დანიშნულება, არა ერთხელაც შენიშნავენ, - „40 წელი ეფერა ქართულ ჩოხასო“. ძველი თერძ-დერციკების ფილიპე სვანიძისა და ვანო კინწურაშვილის შეგირდი, ახლა ამ საქმეს რუდუნებით მხოლოდ ბატონი არსენ ალექსანდრეს ძე მათიაშვილი ემსახურება, ამ საქმის ერთადერთი ოსტატი.

თბილისელებს კარგად ახსოვთ, რუსთაველზე ქართულ ჩოხა-ახალუხში თავისი აქსესუარებით მოხდენილად მოსიარულე შუახნის კაცი. შევჩერებულვართ და სიამოვნების გრძნობით გაგვიყოლებია თვალი ჩვენი დროისათვის ამ იშვიათი კოლორიტული ფიგურისათვის. გუმანით სრულიად ადვილად ვხვდებოდი, რომ ეს კაცი უთუოდ მეგრელი უნდა ყოფილიყო. არც შევმცდარვარ. – როგორც ბატონი ლევანი აღნიშნავს, თურმე ეს პატივცემული მოქალაქე ბატონი პლატონ კეშელავა ყოფილა, რომელსაც, როგორც აქვეა აღნიშნული, ქართული ეროვნული სამოსელის მდიდარი კოლექცია დარჩენია, რომლის ადგილი ეროვნულ მუზეუმშიაო, წერს ბატონი ლევანი და სინანულსაც გამოსთქვამს იმ უცნაურ გულგრილობაზე, რომ არც მის სიცოცხლეში და არც მის შემდეგ ამ პიროვნებით არავინ დაინტერესებულა.

ქართველი კაცის სულიერმა და მასთან შერწყმულმა იშვიათმა გარეგნულმა წყობამ ხელშეუხებლად, სამწუხაროდ, ვერ მოაღწია მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე. ამას მოწმობს ზაქარია ჭიჭინაძის სინანულით და სიხარულით თქმული ქართველი დიდი ქველმოქმედისა და მრეწველის, ვეფხისტყაოსნის გამომცემლის გიორგი ქართველიშვილის მიმართ: „როგორც მწერლობას, ასევე ალტაცებით უმზერდა ქართული თეატრის აღორძინების საქმეს. ის არც ერთხელ ქართული თეატრის ბილეთს უკან არ დააბრუნებდა... ხვედრი ფულის მაგიერ მეტსაც იხდიდა ხოლმე და წარმოდგენას თავის დღეში არ დააკლდებოდა, მოთამაშეთა პატივისცემაც ხშირად იცოდა... რარიგ ამშვენებდა მაყურებელთა დარბაზს ქართულ კაბაში გამოწყობილი გიორგი ქართველიშვილის განსაკუთრებული, მოხდენილი ფიგურა, მისი კოლორიტული მორთულობა... მისი ნახვით კაცს თვალწინ წარმოუდგებოდა ძველი მოქალაქური ხანა ქართველთა, რომელთა რიცხვი 1840 წლამდე კიდევ სახილველი იყოდა დღეს კი, ერთობ იშვიათია„.

ამ უნიკალური სურათის გვერდით ღირს უთუოდ გახსენება ერთი უნიკალური პორტრეტისაც, - ქართული ხალხური პროფესიული გუნდის დამაარსებლის ლადო აღნიაშვილისა, რომელმაც, იაკობ მანსვეტაშვილის გადმოცემით, ერთ დღეს გადაწყვიტა, ევროპული ტანისამოსი აღარ უნდა ვატაროო და შეიმოსა ქართულ ძველებურ ტანისამოსში. ჩაიცვა ქართული ყურთმაჯებიანი გულამოჭრილი ქულაჯა, გაიკეთა გულზე ლამაზი ატლასის დოშლუღი, ფეხთ ჩაიცვა ჭვინტებიანი, მაღალყელიანი წუღები, თავზე მოიგდო ბუხრის ქუდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



● მარცხნიდან მარჯვნივ: გიორგი ხუროძე, რეზო სულავა, ბეჟან ხურციძე შვილიშვილებთან ერთად

კოხტად ჩატეხილი და დაიარებოდა ასე ქუჩაში და სამსახურშიც. იტყოდა ღიმილით: ,,ეს ნამდვილი ქართული ჩაცმულობააო''. ესეც უნდა ითქვას: აღნიაშვილი მოხდენილი ტანისა და სახის კაცი იყო და ეს ტანისამოსი უკეთ უხდებოდა, ვიდრე ევროპული, - დასძენს იაკობ მანსვეტაშვილი.

თავის წერილში ლევან ფრუიძე ერთ საინტერესო დეტალზეც შეჩერდება, - ,,საგვირგვინო სამოსელის გარეშე ქორწილი არ შედგებოდა...ჯვრისწერის შემდეგ ეს სამოსელი საგულდაგულოდ სკივრში ინახებოდა, როგორც ძვირფასი რელიკვია,,.

საბედნიეროდ, დადგა ხანა სკივრიდან ამ ძვირფასი რელიკვიის ამოლაგებისა, როგორც იქნა, ყინული გალხვა, როცა ჩოხაში გამოწყობილი ადამიანის გამოჩენა საფრთხეს აღარ წარმოადგენდა და, როგორც ხსენებულ წერილშია აღნუსხული, იმ მცირე ოთხკაციან ჩოხოსანთა წრეს, დიდი პროზაიკოსით კონსტანტინე გამსახურდიათი რომ იწყება, შეემატნენ: ლევან გოთუა, ვ. კოტეტიშვილი, იაკინთე ლისაშვილი, ირაკლი ანთელავა, ალ. მიქაძე, ჯანო ბაგრატიონი, დავით თორაძე, დავით ჩხეიძე, ოთარ ეგაძე, სოსო ნიჟარაძე, მერაბ ბერძენიშვილი, ოთარ ფარულავა, გივი გზირიშვილი, მინდია სალუქვაძე, რომან შეროზია, როსტომ აბაშიძე,ვანო ნაკაიძე, დავით ციციშვილი, ძმები – დავით და ირაკლი ბაქრაძეები, ზაურ ტყეშელაშვილი, რეზო სულავა, დავით კიკნაველიძე, ოთარ ხარჩილავა, გიორგი მათიაშვილი, ნიკა ასათიანი, ავთანდილ იოსელიანი და სხვა... წესდებაც მიიღეს. დღეს უკვე ქართველ ჩოხოსანთა რიცხვს ემატებიან მათი შვილები, შვილიშვილები. ქართული სამოსის სახელოსნოს დახელოვნებული ოსტატიც გაუჩნდა: ცნობილი ჩოხოსანი და ხელოსანი, ამ საქმის შესანიშნავი მცოდნე ბატონი თამაზ ჯალაღანია – თავისი საუკეთესო შეგირდებით. ღირსეულ ჩოხოსანთა საძმო დღითიდღე იზრდებოდა და იზრდება. დღეს ის ორასამდე კაცს აერთიანებს, რომლის პრეზიდენტი ამჟამად გახლავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. შეიქმნა უხუცესთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

მინდია სალუქვაძე, ოთარ გოგიტიძე, ბუჭუნა ჩიჯავაძე, შურა ჩადუნელი, ომარ მხეიძე, ტურკეცა /გურამ/ კალანდაძე:

ცალკე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო უხუცეს ჩოხოსან ბატონ ნუგზარ ჯანაშიაზე, მის მიერ დაარსებულ ცხოველთა სამყაროზე-უნიკალურ მუზეუმზე, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს ქართველი თუ უცხოელი დამთვალიერებელი. თამამად შეგიძლიათ უწოდოთ ამ სამყაროს შემქმნელს პოეტიც, მხატვარიც, მუსიკოსიც, მოქანდაკეც. მისი უნატიფესი ხელით გაცოცხლებული ფიტულები, ბუნების მშვენებანი, დურაჯები, გედები, ლეოპარდი, თუთიყუში, ფარშევანგი, ჯიხვი, ტახი, შველი, გარეული ხარი თუ ნიამორი, ამის სრულ შთაბეჭდილებას იძლევა. და ეს ყველაფერი საკუთარი ხარჯებით გააკეთა. სამართლიანად ჩაუწერია მოქანდაკე ქალბატონ ლამარა ქველიძეს შთაბეჭდილებათა დიდტანიან წიგნში, ამას ბევრი ფულისთვისაც არ გააკეთებდაო, როცა ბატონი ნუგზარის მიერ ეს კოლოსალური ნაშრომი, დიდებული ნახელავი უხილავს. მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა...

ძვირფასი ფაქტია, რომ ჩოხოსანთა სადროშომ წელს, ზაფხულში, უწმინდესის კურთხევით მოსკოვში, ქართულ სათვისტომოშიც, იდღესასწაულა თავისი დაფუძნება, რაზედაც საინტერესოდ მოგვითხრო საქართველოს პარლამენტის წევრმა ბატონმა ბეჟან ხურციძემ/ სხვათა შორის, აღსანიშნავია, ისიც, რომ, პარლამენტარის თქმით, ასეთი სადროშოები ფუძნდება საქართველოს რეგიონებშიც.

2006 წლის 5 ივლისს, მოსკოვში, სამშვიდობო კონფერენციაზე, მოწვეულნი ბრძანდებოდნენ მსოფლიოს ყველა კონფესიის წარმომადგენლები. აქვე, 6 ივლისს, ზ. ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქართულ ეკლესიაში წირვა აღავლინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

საღამოს რვა საათზე ქართველი ჩოხოსნები ილია II წინამძღვრობით ეწვივნენ ზურაბ წერეთლის სახელოსნოს. საღამოს შეკრების დროს მოხდა მოსკოვის ქართული სათვისტომოს ჩოხოსანთა სადროშოს კურთხევა, – პატრიარქის მიერ მათი ხელდასმა.

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ ქართველ ჩოხოსნებს მასპინძლობას უწევდა ჩვენი თანამემამულე ამჟამად იქ მცხოვრები ბიზნესმენი, წარსულში ცნობილი კალათბურთელი ბატონი გენო გოგლიჩიძე.

ეს მოგზაურობა იმითაც იყო დიდად საინტერესო, რომ, როგორც ბატონი ბეჟანი გადმოგვცემს, ამ შეხვედრის დროს ბატონმა გენომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარს, მის უწმინდესობას ილია II გადასცა საჩუქრად თავისი ოჯახის სახელით XVII საუკუნის დასაწყისში ლევან დადიანის შეკვეთით დამზადებული წმიდა გიორგის სახელობის უნიკალური ქართული ხატი, ვინ იცის, ჩვენი ძნელბედობის რა ვითარებაში, გატანილი საქართველოდან. /სხვათა შორის, როგორც ბატონი ბეჟან ხურციძე აღნიშნავს, პატრიარქის მიერ დგინდება, თუ როგორ მოხვდა ეს ქართული ხატი იქ უცხოეთში. ამჟერად ხატი დაბრძანებულია სამების ტაძარში.

პატრიარქის კურთხევით მოხდა კიდევ ერთი ფრიად სასიამოვნო ფაქტიც, სთქვა საუბრის დასარულს ბატონმა ბეჟანმა, გელათის მონასტერში მონათლულ იქნა გენო გოგლიჩიძის უმრწემესი მემკვიდრე, ღირსეული ბაბუის მოსახელე პატარა (ცხრა თვის) გენო გოგლიჩიძე. ნათლობის დღეს, 22 ივლისს, გოგლიჩიძეების ოჯახს უწმინდესმა და უნეტარესმა გადასცა სპეციალური სიგელი ამ ძვირფასი საჩუქრისათვის.

**ციური ხეთერელი**



# სიყვარულის

ამ გამოჟამყრუებულ ნანგრევებში მეომრული სული ბრიალებს, ბორგავს, ბიბინებს...

ეს სხვა სამყაროა, სხვა სიზმარ-ცხადი და სხვა განზომილების არე-მიდამო.

ჩამქრალა და დრო-სივრცის უსასრულობაში აი, ასეთი სახის გაქვავებულ და სილუეტებად დარჩენილა მუცო (ადგილობრივნი ფორმა „მიცოს“ ამჯობინებენ)...

გამცვდარი და დაბერებული მოსიპული ბილიკები, – ერთ დროს ძნელად დასაურვები ცხენის ნალი ნაწინწელს და ნაპერწკალს რომ აყრევინებდა, – დამშვიდებულან და დაშოშმინებულან.

ქვებს შორის გაველურებული ბალახი ამოწვერილა; ამობზინებულან მოსაწყვეტად ვერგასამეტებელი, თამარ დედოფლის თვალთაფერი ყვავილები; ჩამოშლილან ხავსით დაფარული, დროთადენით დაღარული და დაღამებული ჭრელი ყორეები; ჩაქცეულან, ჩამსხვრეულან და ჩაფხავებულან ნასოფლარის ბრტყელი კიბეები... ჟამს უვლია და უბობოქრია „მუცოს თოროვაის კარადა!...“ უვლია და თავისი ბედითი კვალი დაუტყვია კაცთა ხელის ნამაგარისთვის...

მუცო ბევრად მეტია, ვიდრე ციხე-ქალაქი, სოფელი ანდა ნასოფლარი; გინდაც სიმტკიცის რიგითი ბჭე და სიმამაცის ბასტიონი!...

კლდე-კბოდეებიდან ქედს ბებერი ორბებივით ჩაფრენილ ნასახლარებში ყურთასმენა დღესაც დაიჭერს უცნაურ ბგერებს, იდუმალებით აღსავსე დუდუნს, ბუნდოვან ხმებს...

ეგებ გეყურება, გეჩვენება და სულაც ქარია, ანდა ანცი ნიავი, სალბუნის მაგიერობას რომ უწევს ნაკაწრ-ნაკეჭნ აქაურობას?

ვინ იცის...

* * *

ბროლისკალოს ჯვარი მფარველობს მუცოელებს.

ღვთისშვილთა შემწეობის რწმენა წამითაც არ განელებულა ბუნების მხასოოვარ უბე-კალთას ჩაბღაუჭებული ხალხის გულში.

დღეობებში ისევ ივსება წინწანაქარით მომცრო ყანწები და ისევ ისერება ნათავრის ქადა...

ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ აქ სიცოცხლის სალი ხე კვლავ იფოთლება და მსხმოიარობს; რომ ამ ზნეავი მდინარის და უანკარესი ნაკადულების ნაპირებზე ისევ დაიარებიან დაიაურები.

სხვა გვარისანი, სამწუხაროდ, აყრილან და წასულან; ჩალმა ჩაპყოლიან მთის საცალფეხოებს. ცხოვრების უმჯობესი პირობების მაძებართ მიუტოვებიათ წინამავალთა მგლის მუხლით მოგლილი სათიბები, საძოვრები, სახნავ-სამკალი სავარგულები, სალოცავები, საგვარეულო საძვალეები...

აქ ბალღის დაბადების სიხარულიც გამძაფრებულად განიცდება და მოწიფულთა თუ ასაკოვანთა გარდაცვალებაც; სიცოცხლეც ფასობს და სიკვდილიც; დაბადება-გარდაცვალების აუხსნელი ერთიანობის პოეტური და ფილოსოფიური განსჯა-გააზრებაც სხვაგვარ სიმაღლეებს აღწევს...

***

ამ რამდენიმე წლის წინ ტელევიზიით მიღმახევი აჩვენეს, ხევსურეთის მონაპირე ნაწილი, შატილიდან არც ისე შორს მდებარე სამოსახლო, სადაც დაცლილი ანდა ორ-სამ მეკომურიანი სოფლები – მუცო, არდოტი, ხონისჭალა, ხონე, ხახაბო, აბდაქი, არჭილო – ბეღურების ლეგა ბუდეებივით შეყუჟულან მდუმარე ხეობაში.

ვინც ის გადაცემა ნახა, უთუოდ დაამახსოვრდებოდა „ბალალაიკაზე“ ნამღერი „მიყვარხარ, მიყვარხარ!“ სიმღერას თვითონ ასრულებდა ნაღვერდალივით მღვივანი ლექსისა და მელოდიის ავტორი გელა დაიაური.

აღსარების სიწრფოებით ნათქვამმა სიმღერამ ელვასავით გაანათა შეყვარებულ ქალ-ვაჟთა გულები, გაარღვია კუთხურ-კილოური კარჩაკეტილობა...

ესოდენ გაიშვიათებულ ლხინსა და მხიარულებაში, მთასა თუ მთიელებით დასახლებულ ბარის სოფლებში, ხშირად ისმის გელა დაიაურის სიმღერები, ცოტა არ იყოს, ხორკლიანი, კლასიკურ სინატიფესა და ხმის ხავერდოვნებას მოკლებული, სამაგიეროდ, მხურვალე და ხვაშიადის გარეთ გამომტანი, გამომმზეურებელი...

კვლავ ლექსებს დაგიწერ,<br>
მაინც ხომ ლექსით ავიცერ,<br>
თვალებს შეგიქებ ღამისფერს,<br>
გეტყვი, რაც ჩემს გულს სჭირს...

საოცრად უხდება და ეხამება კავკასიელთა მუსიკალური საკრავის მწკეპრ ხმიერებას სატრფიალო ლექსის თითოეული სიტყვა და ტაეპი.

* * *

მოულოდნელობათა ბადეში ახვევს ხოლმე ბედი ადამიანს!

გელა დაიაური ისე ამთავრებდა ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატს, ლექსის გაგონებაც აღიზიანებდა. კითხულობდა ძალიან ბევრს და მთიელ ჭაბუკს, რაოდენ არაბუნებრივადაც უნდა გეჩვენოთ, პოეზია არ აინტერესებდა... და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როცა გულის სიმები სხვარიგი ძალით შეათრთოლა თავნება სიყვარულის სახმილმა, წლების მანძილზე წვეთ-წვეთობით ნაგროვები და ნალოლიავები ფიქრი თუ სათქმელი სევდისა და სინანულის წვერწამახული ისრებით დაჭრეთილ ლექსებად ამოიღვარა.

1990 წელს კინოფილმ „ჩიორას“ შთაგონებით დაწერა ლექსი, რომელიც ამგვარად იწყებოდა:

ეს რა სიზმარი ვნახე წუხელის –<br>
შენ გიტაცებდი თეთრი რაშებით,<br>
ქვას ატირებდა შენი წუხილი,<br>
თრთოდნენ ვარსკვლავნი მოკაშკაშენი...“

მეთერთმეტე კლასში ყოფნისას უცხო სივრცე გაიხსნა მისთვის და იქიდან მოკიდებული დღემდე პოეზიის მწვერვალებიდან მონაბერ სუფთა ჰაერს სუნთქავს... ივსება, არსებობს.

გელა დაიაური ერთი იმათთაგანია, ვისი დაბადების ალაგსაც გამორჩეულად რომანტიკული ეთქმის: სამთო სადგომი, სახელად ტატაბარი, სადაც ზაფხულობით ცხვარ-ძროხა მიუდიოდათ ხოლმე მუცოელებს და საიდანაც რკინის

# სევდიანი სიმღერა...

და აქა-იქ რვალისფერი საჯიხვეები იწყება, 1973 წლის აგვისტოში ახალშობილის წამოტირებამ შეაკრთო.

აბულეთთა მამიშვილობას გვარის კიდევ ერთი გამგრძელებელი შეემატა!

უკაცრიელობის ფარულმა შიშმა, თვითგადარჩენის ინსტინქტმა თუ გვარ-მოდენილობის გამრავლების მძლე სურვილმა რაჟდენ და თინა დაიაურებს ცხრა შვილი გააზრდევინა! და არ იკითხავთ, სად და რანაირ პირობებში? – მუცოში, არღუნის პირას, იმ მთებში, სადაც მშიერი აფთარივით დაუნდობელი ზამთარი და სიზმრის ფერადი ნაფლეთივით ხანმოკლე, მალიმალ მოსანატრებელი ზაფხული იცის.

გელას ყველაზე დიდი უნჯი და სიამაყე მისი და-ძმებია, რომელთაგან ერთი მასზე უფროსია და შვიდი – მრწემი.

აი, ისინიც: ფიქრია, მამუკა, ხათუნა, ზვიადი, ალუდა, თორღვა, დაია, დათო...

დაიაურების შვილმრავალი ოჯახი დაუდეგარ ხკას მაშინ ემსგავსება, როცა ყველა შინ მოიყრის თავს. წაღმართ გზაზე დამდგარი შვილების მხარში დგომის და მათი ახალგაზრდული ჯან-ღონის მადლი განსაკუთრებული სიცხადით თიბათვეში ხდება საგრძნობი, მაშინ, როცა ყვავილიან მთაში გაფხავებული ცელი აჩქამდება და მარჯვედ წაღებული ნამხრევის ფოთლოვანი კიბე მზეწვერების ხანს ცის ტატნობთან მიაახლოვებს მკლავმაგარ მთიბლებს.

გელა დაიაურის ჯიშიანი ხელების და მკვრივი აღნაგობის შემხედვარეს საკეთილო ფიქრი გაგივლის გონებაში: ამ ბოლო წლების მღვრიე მოვლენებით მეტ-ნაკლებად შებარბაცებული მთის საძირკველი ჯერაც მყარი და შედარებით შეურყვნელია და სანამ ასეთი ვაჟკაცების მზერა დარაჯობს „სხვა ქვეყნის სამოთხეზე არგასაცვლელ „სამშობლო დედის ძუძუს," მემკვიდრეობითობის ჯაჭვს ჟანგის მოკიდების საშიშროება არ ემუქრება...

გელა დაიაურმა იცის, რომ მოუთმენლობას და სიჩქარეს შემოქმედისათვის წარმატება არ მოაქვს. ამიტომაც მიუყვება დინჯი ნაბიჯებით ამომავალი მზის სხივთა ციაგით დაფერილ ბილიკებს. ხოლო იმის უტყუარ ნიშნად, რომ მომავალს სასიკეთო პირი ესინჯება, მისი პოეტური შემოქმედების ეს ერთი ალიტერირებული ნიმუშიც გამოდგება:

*გახსოვს ის ცელქი ცქრიალი,*
*მუცოში მოცვზე ცილობა,*
*ცად ცისარტყელას ციალი*
*ან ცეკვა და სიცილობა.*

*კოცნა – დამქცევი სიცივის*
*ან ცვენა ცხელი ცრემლების*
*ან ცივი ცვარის ციმციმი,*
*ცერებზე ცეკვა ცელების.*

*კლდის ცქერით ზღვა გაოცება*
*ცად აცერილი ფიცარით*
*და საოცნებო ცხოვრება,*
*სიმტკიცით შენაფიცარი.*

*ან ციყვის მომცრო ცაცებით*
*ცირცელზე გადაცოცება,*
*ალიცლიცული ცაცხვები,*
*ცად ატყორცნილნი ლოცვებად.*

*ან ჯერაც გასაცივები*
*ცვრიანი ხორცი აცმული...*
*მეცხრე ცას ასაცილები*
*ცხელი კოცონის ტკაცუნი.*

*იმაზე ანცი ოცნება,*
*რაც არ იცი და რაც იცი,*
*ცისკარზე ცის დამორცხვება,*
*ცისფერ სივრცესთან ლაციცი.*

*ციცინათელას ციალი,*
*ოცნება და სიცილობა...*
*გახსოვს ის ცელქი ცქრიალი,*
*მუცოში მოცვზე ცილობა.*

* * *

ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილ „ძველი დიდების ნგრეულ ნაშთს" რომ დავყურებ და ვაკვირდები, შეიძლება პარადოქსად კი ჟღერს, მაგრამ ...სამყაროს მარადისობის ცოცხალი განცდა მეუფლება!

რძისფერი ნაკადულით ჩაჭრილ ბუღააზის ხევს, ზაფხულობით, გუმანი თუ არ მღალატობს, ფოფინა ყვავილთა ლაშქარში შერეული დიყი, შუპყა, დუცი და წერთხალა უნდა ამკობდეს... ხოლო აქეთ, წინა პლანზე წამოწეული ქავ-ქვითკირების ნაოხარ კედლებზე, ღამ-ღამობით, ბუს გულსაკლავი ქვითინი თუ ბუთუნი უნდა ისმოდეს...

* * *

ტყე-მონისლული.

გზა-ტალახიანი.

ორთა საიდუმლო სერობა და საუბარი...

ასკილისა და ნეკერჩხლის ალწაკიდებულ ფოთლებს ვერცხლის სამკაულივით ასხმია ნამის გუგუში...

გარშემოუწერელი მიწა-მყარის ამ ერთი ბეწო ნაწილიდან ცად ადის ამურის ამო ისრით დაკოდილი ნაღვლიანი გულის ღონება და ღაღადისი:

ღმერთო, რა სამოთხე დამასიზმრე:

მთებში მასთან ერთად დავდიოდი!..

**ამირან არაბული**







# „ოქროს ვერძის" მფლობელი

დიმიტრი უზნაძის სახელობის „ოქროს ვერძის" მფლობელი 22-ე საავტორო სკოლა, სამაგალითოა თბილისში მდიდარი ტრადიციით, დისციპლინით, კვალიფიციური პედაგოგებით. არის სახელმწიფო გრანტის მფლობელი და სასკოლო რეფორმის წარმატებით გამტარებელი.



**გულიკო ხორბალაძე**, სკოლის დირექტორი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი:

– რვა წელია ამ სკოლას ვხელმძღვანელობ. ჩვენს სკოლაში წინა პლანზეა დაყენებული მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბება. ამაზე დაუღალავად იღვწის სამოცდაათამდე კვალიფიციური პედაგოგი.

დიმიტრი უზნაძემ პირველმა შემოიღო მოსწავლეთა თვითმმართველობა, რაც ახლა ფართოდ ინერგება საყოველთაოდ. 1918 წელს იგი ქუთაისის ცნობილი სკოლის დირექტორი იყო. სკოლას „სინათლე" ერქვა. ამ პიროვნების პირადი გამოცდილებებითა და მისი მდიდარი ლიტერატურით ვსარგებლობთ დღესაც. მუდმივი დაძაბულობა არსებობდა იმთავითვე მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. დაპირისპირების აღმოსაფხვრელად დაამკვიდრა უნიშნო სწავლების სისტემა. I-III კლასებში ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია შეფასება, რადგან წახალისების სხვა ფორმებიც არსებობს.

... სკოლაში მოქმედებს „განვითარებისა და აღორძინების ფონდი", რომელიც მიზნად ისახავს სკოლის კეთილმოწყობას, სოციალურად დაუცველი მოსწავლისა და მასწავლებლის დახმარებას, სწავლაში წარჩინებულ მოსწავლეს ენიშნება დ. უზნაძის სახელობის ფულადი პრემია.

ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი სასწავლო კაბინეტები, გრიგოლ ხანძთელის სახელობის სამლოცველო და სამხატვრო სახელოსნო. მოქმედებს დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული მოსწავლეთა პარლამენტი, რომელსაც აქვს საკუთარი წესდება, კოდექსი, სიმბოლოები, გაზეთი. ექვსი პედაგოგით, ექვსი მშობლით და ერთი მოსწავლით არის დაკომპლექტებული ავტორიტეტული სამეთვალყურეო საბჭო.

სისტემატურად ვატარებთ საინტერესო ღონისძიებებს, კონკურსებს, გამოფენებს.

რაც შეეხება სასკოლო რეფორმას, უსათუოდ დადებითი და დროული მოვლენაა, იგი სწორ კალაპოტში მიედინება. ვესწრებით სემინარებს, ტრენინგებს. ჩვენი „განძია" ჩვენი ფსიქოლოგი თამარ ცერცვაძე, რომელმაც კვალიფიკაცია გერმანიაში აიმაღლა და სიახლეების დაძლევაში გვეხმარება.

შარშან განათლების სამინისტრომ გამოაცხადა საგრანტე პროგრამა – „ირმის ნახტომი". ორჯერ გავიმარჯვეთ. უცხო ენების პედაგოგთა ჯგუფმა იმუშავა პროექტზე. უახლესი სისტემის თხუთმეტი კომპიუტერი და 3 000 დოლარი დავიმსახურეთ. კომპიუტერს მე-7-10 კლასების ყველა მოსწავლე სწავლობს. სამაგალითოდ მოვაწყვეთ უცხო ენების კაბინეტი. გვყავს ინგლისური ენის უძლიერესი პედაგოგები: ლუარა გაბისონია, თინათინ ცერცვაძე, მარინა მგალობლიშვილი, ლალი ბახტაძე, მაკა ჭელიძე...

სკოლა, მოსწავლე ჩემი ცხოვრების აზრია, თუმცა სულაც არა აქვს მნიშვნელობა დირექტორი ვიქნები თუ რიგითი პედაგოგი; ენით აუწერელია ის განცდა, როცა ბავშვის გაბრწყინებული თვალები შემოგანათებს, მალამოსავით მედება გულზე, ყოველგვარ სატკივარს მავიწყებს.

მე თუ მკითხავთ, პედაგოგის და ექიმის ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. რა თქმა უნდა, დროის მოთხოვნების შესაბამისად კოლექტივმაც განიცადა ცვლილებები, საგრძნობლად გადახალისდა, შეგვემატა ღირსეული ახალგაზრდა კადრები. საშუალო თაობის პედაგოგები ჭარბობენ უფრო. ძნელია ყველას ჩამოთვლა, ჩემი სიტყვების დასტურად ერთ ფაქტს მოგიყვანთ. გიული ჩაგელიშვილზე ერთმა მოსწავლემ თავისუფალ თემაში ასეთი ფრაზა იხმარა: მე რომ მოქანდაკე ვიყო, გიული მასწავლებელს, მასწავლებლის ნიმუშად გამოვაქანდაკებდიო... დაბალი კატეგორიის პედაგოგი ჩვენთან ფეხს ვერ იკიდებს. რამდენიმეს გამოვარჩევ მათგან: მარინა ზაქარეიშვილი, ნანა კკაურიძე, თინა გიუნაშვილი, მზია აბულაძე, რუსუდან ლაშქარაშვილი, გიული ჩაგელიშვილი, გულჩორა ჭულუხაძე, მარინა მგალობლიშვილი.

მასწავლებელი ჯერ აღმზრდელი უნდა იყოს. აღმზრდელობითი მუშაობა კი მეცნიერებასთანაა წილნაყარი. მთავარ როლს ოჯახი, გარემო, სკოლა ასრულებს. უპირველესი მოვალეობა სკოლას აკისრია, სადაც ბავშვის ფაქიზი სული იწრთობა. გვქონდა ერთი საინტერესო ღონისძიება – „რუსთაველი ჩვენს სკოლაში". გაიმართა შეჯიბრი, ვინ უკეთ იცის „ვეფხისტყაოსანი". რაშიც დიდი ღვაწლი გაიღეს პოეტმა-პედაგოგებმა მედეა ნაცვალაძემ და ნესტან კუპრავამ.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ისტორიით, სამაგალითო პედაგოგებით. სხვადასხვა დროს სკოლას მართლაც ღირსეული დირექტორები ჰყავდა: ალექსანდრე კარტოზია, გრიგოლ ბერაია, ქსენია ჩაჩუა, ნუნუ ჯორბენაძე, სესილი გველესიანი, უშანგი რუხაძე, ვალერიან ლომსაძე, ლილი მგალობლიშვილი. გრიგოლ ბერაიას და მის მეუღლეს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ნელი კარტოზიას, ამ კედლებში დღესაც იხსენებენ. გვყავს სამი უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი – გიული ჩაგელიშვილი, ლუარა გაბისონია და თქვენი მონა-მორჩილი. წელს ჩვენი ორმოცდაცხრა კურსდამთავრებულიდან ოცდაცხრამეტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში, უმეტესობამ გრანტი დაიმსახურა.

სასკოლო რეფორმას ყოველმხრივ გამართლება აქვს. ჩაგვრთეს პროგრამაში – „იაკობ გოგებაშვილი", რომელიც სკოლის ორწლიან სრულყოფილ რეკონსტრუქციას ითვალისწინებს. შევცვალეთ ავეჯი, კარ-ფანჯრები. მომავალ წელს საბოლოოდ დამთავრდება კაპიტალური რემონტი. ჩართული ვართ კომპიუტერულ ქსელში. სასკოლო რეფორმა ჩვენს სკოლებს მალე ევროპულ სტანდარტებს დააახლოებს.



**ლუარა გაბისონია**, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში:

ეროვნული ბიბლიოთეკა





– დროს შესატყვისად უნდა ავუწყოთ ფეხი. თუმცა ერთი რამ უცვლელია – მარად, ბავშვი და მისი სულიერი სამყარო. ჩემი მოწოდება უპირველესად მოსწავლის სულიერი აღზრდაა, შემდეგ კი განათლება. მშვიდ ტონში ვაღწევ სასურველ შედეგს. ერთხელაც არ ამიწევია ხმისთვის, განა შეიძლება პედაგოგმა დისციპლინაზე დრო დაკარგოს? თუ რაიმე ჩემში კარგია, 29-ე სკოლის დირექტორის ნოე ბულისკირიას დამსახურებაა. მისი ნაწრთობი გზით მივდივართ დღესაც. სკოლის 50 წლის იუბილე დიდი ზეიმით აღვნიშნეთ, რასაც მე და ნესტან კუპრავამ წიგნი მივუძღვენით – „22-ე“.

ჩვენი სკოლა გერმანელ ტყვეებს აუშენებიათ. მშენებლობას იტალიელი ინჟინერი კარლო მორეტი ხელმძღვანელობდა, დიდ ხუროთმოძღვარს ძველი თბილისი უნიკალური შენობებით დაუმშვენებია. კარგად მახსოვს, მამას, რომელიც საფეიქრო მრეწველობის დამსახურებული მუშაკი იყო, ამ ადგილას, მაუდ-კამვოლის სიახლოვეს, ბოსტანი ჰქონდა გაშენებული; გერმანელი მუშები სულ სათამაშოებს გვჩუქნიდნენ. 1949 წლის სექტემბერში დაირეკა პირველი ზარი და სკოლას 43-ე ვაჟთა ეწოდა.

ჩვენმა პედაგოგებმა კარგად იციან თავიანთი მოვალეობა. ილიას დავესესხები – „ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული კი არ არის კაცისა, პირველი წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამქვეყნად არ შეუძლიან“. სკოლა ამ მოწოდებით საზრდოობს დღემდე.

ბედმა კიდევ ერთხელ გაუღიმა ოცდამეორეს, როცა დირექტორად დაინიშნა საქმიანი, პრინციპული, ქალბატონი გულიკო ხორბალაძე, რომელიც ახალი იდეებითა და ექსპერიმენტებით ამდიდრებს სკოლის ისტორიას. იგრძნობა თანამედროვეობის რიტმი. სწავლის ხარისხის ამაღლება, აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფა დირექტორის უშუალო ხელმძღვანელობით ხდება. საინიციატივო ჯგუფი, პედაგოგები დროდადრო მივლინებულები არიან შესაბამის საავტორო სკოლებში მათი მუშაობის გასაცნობად. სკოლაში დაინერგა ახალი საგნების სწავლება: სამოქალაქო აღზრდა, ეკონომიკის ანბანი, ეკოლოგია, საოჯახო ეთიკა, ხელოვნება, ქართული ფოლკლორი. დირექტორის უშუალო მოთხოვნით დაინერგა ცოდნის შემოწმების ისეთი ფორმები, როგორიცაა დიფერენციალური ჩათვლები, ტესტირებები, განმეორებითი და მოულოდნელი საკონტროლო წერები, კონკურსები, ვიქტორინები, კითხვა-პასუხის საღამოები, ინტელექტუალური თამაშები, ცოდნის აუქციონები. ქალბატონი გულიკოს მოწოდებაა– ცოდნა, პროფესიული გაწაფულობა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბება.

დრომ ვერაფერი დააკლო სასწავლო ტრადიციას. დღესაც სუფევს პატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული ჯანსაღი ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სწორად და ახლებურად წარმართვას.

**ნანული ბუჩია**

## საოჯახო რჩევები

– თეთრეულზე გაჩენილ ჟანგის ლაქებს ლიმონის წვენში ასველებენ, მარილის თხელ ფენას აყრიან და ერთი დღე-ღამით ტოვებენ, შემდეგ კი ნელთბილ წყალში რეცხავენ;

– სპილენძისა და თითბრის ნივთების გასაწმენდად აიღეთ სუფრის მარილისა და ფქვილის თანაბარი რაოდენობა, დაუმატეთ იმდენი ძმარი, რომ სქელი არაჟნის კონსისტენცია მიიღოთ. პასტა სქლად წაუსვით ნივთებს და გასაშრობად დატოვეთ, შემდეგ გარეცხეთ და კარგად გაამშრალეთ.

– წებოს ბოთლს საცობი რომ არ მიეკრას, თავსახური გამდნარ ცვილში მოათავსეთ, კარგად გააშრეთ და ბოთლს თავი დაუცეთ.

– წიგნის ფურცლებს ცხიმის ლაქების მოსაშორებლად კბილის ფხვნილი დააყარეთ, სუფთა ქაღალდი დააფარეთ და გააუთოეთ. საუკეთესო შედეგის მისაღებად პროცედურა ორ-სამჯერ გაიმეორეთ.

– ვიდრე ფანჯრის გაბზარულ მინას გამოცვლით, შეგიძლიათ იგი ფრჩხილების უფერო ლაქით დაფაროთ, ამით არც შესახედაობა გაფუჭდება და არც წყლით ჩამოირეცხება.

– ყვავილების ქოთნების სადგამი ძმრიანი თბილი წყლით გარეცხეთ (1 სუფრის კოვზი ძმარი 1/2 ლიტრ წყალზე);

– ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთები საუკეთესოდ იწმინდება ლობიოს ნახარშ წყალში დასველებული ჯაგრისით. შემდეგ გადაავლეთ სუფთა წყალი და კარგად გაამშრალეთ.

– სამზარეულოში მომრავლებული ჭიანჭველების მოსასპობად წყლისა და საფუარისაგან მოამზადეთ სქელი ფაფა, დაუმატეთ მურაბის წვენი და პატარა თეფშით მათი თავმოყრის ადგილას დადგით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევაზ ინანიშვილი

## დედა

– დედაზე მე ისეთი რა უნდა ვთქვა, მაგრამ ჩემი მოსაყოლი მაინც უნდა მოვყვე.

შარშან, გვიან შემოდგომაზე, ნოემბერში, ჩემს სოფელში ჩავედი. დამხვდა საცოდავი დედაჩემი – თითებდამჭკნარი, მაჯებდაწვრილებული, მაინც მიღიმოდა და ისევ მეუბნებოდა, – ხან ვწევარ, შვილო, ხან აი, ასე დავრაცრაცებო.

ვიყავი ერთ ღამეს და ერთ დღეს – თითქოს ეზო-ყორის მოწესრიგებით გართული, სინამდვილეში რაღაც ცოდვით შეწუხებული. მეორე საღამოს, უკვე შებინდებულზე წამოვედი.

ჩვენიდან რკინიგზის სადგურამდე ოთხ კილომეტრამდე გზა არის, სულ თავქვე-თავქვე, აქედან კიდევ – აღმართი, გამიმართა დედაჩემმა ძველებური ფარანი, ამინთო, – სადგურში რომ ჩახვალ, მორიგესთან დატოვე და ვინმეს ამოვატანინებ მერეო. დავიწყე მე სიცილი, – რა ფარანი მინდა, დედა, ორმოცი წელიწადია, ამ გზაზე დავდივარ, სულ ქვაქვა ვიცი-მეთქი ყველაფერი. – არაო, შვილო, ახლა სულ შეცვლილია, სად რას აკეთებენ, სად რასო, თან მოლინჭყულია, ფეხი ცურავსო. ბევრი მეხვეწა, მაგრამ არ წამოვიღე ის ფარანი. გამომაცილა კი კარგა მანძილზე, სანამ დიდი დაღმართი დაიწყებოდა. მომყვებოდა იმ წკვარამში, მინათებდა გზას და თან სულ მარიგებდა დედურად. დიდ დაღმართთან თვითონვე შეჩერდა, ასწია ფარანი ცოტაზე, – წაიღე, შვილოო, – შემეხვეწა ერთხელაც. მე გადავკოცნე ღიმილით – წადი-მეთქი ახლა! – მივაბრუნე, თითქოს გაბრუნდა, წავიდა კიდეც, მივიხედე და დგას ისევ, მაღლა უჭირავს ფარანი, მეორე ხელიც შეუშველებია. – წადი-მეთქი, წადი! გაბრუნდა, წავიდა. მე თავქვეზე დავეშვი, ზურგჩანთა მკიდია, თითქმის მივრბივარ, მივიხედავ უკან და, რამდენსაც მივიხედავ, იმ წკვარამში ის ფარნის შუქი ისევ ერთ ადგილას დგას, ალბათ მეჩვენება-მეთქი, გავჩერდები, ვაკვირდები, შუქი მაინც არ იძვრის.

– დე-დაა! დე-დაა!

არავითარი ჩქამი! ნიავი სახეში მცემს, ჩემი ხმა იქამდე ვერ აღწევს.

ისე ჩავედი სადგურში, ისე ავედი მატარებელში, ის შუქი მხოლოდ პატარავდებოდა და არ იძვროდა. ვუყურებდი ვაგონის ფანჯრიდანაც და ვწყრებოდი დედის სიჯიუტეზე.

ის კი იყო და ის – ცოცხალი აღარ მინახავს დედაჩემი. დეკემბრის თექვსმეტში, ღამით, თერთმეტ საათზე, უწვალებლივ დალეია სული და დამრჩა იმ ფარნის შუქი სამუდამო დარდად.

რატომ იდგა იქ, იმ აღმართის თავზე, სიბნელეში და სიცივეში იმდენ ხანს? ნუთუ მართლა იმას ფიქრობდა, რომ ცოტათი მაინც მინათებდა ფარნით გზას?! ნუთუ ეგონა, ცუდი რომ რამე მომწეოდა, უთუოდ მისწვდებოდა ქვემოდან ხმა?! თუ სულაც ცუდად გახდა, ჩაჯდა, ველარ წამოდგა და იყო ასე, – ფარანზე დაყრდნობილი?! კიდევ უარესი – სამუდამოდ ხომ არ მეთხოვებოდა იმ ფარნით?!

დავუნთებ ხოლმე სანთელს, დავიჩოქებ, მაგრამ ვერაფერს ვშველი ჩემს დარდს...



მხატვარი **ცინარა ტერელაძე**

## ზამთრის პატარა ილუზიები

სოფლის სკოლაში რომ ვსწავლობდი, ძალიან ადრე ვიღვიძებდი. ლოგინიდანვე მივწვდებოდი ფანჯარას, ფარდას გავწევდი და თუ ბნელოდა, წიგნს ავიღებდი, ისევ ჩავთბუნდებოდი და იმ წიგნის კითხვას ვიწყებდი.

ჩემს დედ-მამას და და-ძმებს სხვა ოთახებში ეძინათ. მარტო ბებიას ვერ ავასწრებდი ხოლმე ვერასოდეს. მე რომ გავიღვიძებდი, ბებია უკვე ფეხზეც იყო და ღუმელიც გაგუგუნებული ჰქონდა.

ძალიან კარგი იყო გათენების ხანის სიწყნარე, იმ სიწყნარეში მამლების ყივილი, ძაღლის ყეფა, ღუმელის გუგუნი და წიგნის კითხვა.

ერთხელ, ერთ კვირა დღეს, სკოლაში არ უნდა წავსულიყავი, მაგრამ მაინც ადრე გამეღვიძა, გავახილე თვალი: ლამპა ანთებულია, ღუმელი გუგუნებს, მაგრამ მომეჩვენა, რომ კიდევ ხდება რაღაც. გავწიე ფარდა, გავიხედე გარეთ და სიხარულით გადავკოტრიალდი ლოგინზე. თოვლი მოსულიყო, კვლავაც თოვდა.

ვიცმევ ტანსაცმელს და ისე მეჩვენება, რომ სხვა რაღაცაც ხდება. რა? რა? ვერა ვხვდები. მივედი ღუმელთან, დავჯექი დაბალ სკამზე, ფეხსაცმელი უნდა ჩავიცვა და ვხედავ: ღუმელქვეშ თეთრი ტილო აქვს გადაფარებული რაღაცას. ავწიე ის ტილო და თვალებს არ ვუჯერებ, – ჩურჩხელები! ბევრი, ბევრი, თეთრად დაშაქრულები! პირდაღებული ვარ, აღარ ვიცი, რა ვქნა. სწორედ ამ დროს შემოვიდა ბებია.

– რა ბედნიერი დღეა, ბებო! – შევძახე აღტაცებით, – გარეთ თოვლი, აქ კიდევ ამდენი ჩურჩხელა!

ბებიას გაეღიმა. ერთი ჩურჩხელა ამომირჩია, სხვებს ისევ ტილო წააფარა და დარიგებით მითხრა:

– ცოტა ჩანოტივებულა, შვილო, ნამდვილი ბედნიერი დღეებისთვის რომ არ დაგვიობდეს, უნდა გავაშროთო.

მე ფეხთ ჩავიცვი, ჩურჩხელა ჩავკბიჩე და გარეთ გავვარდი. გარეთ გათენებულია, მაინც მიბუნდოვანებულია ყველაფერი: ხეების ტოტები – შეფუმფული, დაბარდნილი, დაბლა დახრილი თოვლის სიმძიმისაგან. ჩუმად, ნელ-ნელა ჩამოდიან უამრავი ფიფქები, მოვხვეტე მოაჯირზე თოვლი, დავაგუნდავე და გავისროლე ბაღისკენ. არ ვიცი, ამ გუნდამ დააფრთხო, თუ თვითონ აფრინდა, – ჭახჭახით, შავად წავიდა შაშვი, ფრთის წვერებით თუ შეეხო ტოტებს, ჩამოიშალა, ჩამოშვავდა თოვლი. აფრინდა ლამაზი სკვინჩაც, შეჯდა ჭერმის ხმელ როზზე, მიბრუნდა, მობრუნდა და დაიძახა:

– სკვინჩ! სკვინჩ!

ჩავედი ძირს. ვიყურებოდი ცაში. მახარებდა, – როგორ ჩამოდიოდნენ, როგორ მოისწრაფოდნენ ჩემკენ ფიფქები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებული ვკბეჩდი ტკბილ ჩურჩხელასაც. ჩემს თვალწინ, თითქოსდა მხოლოდ ჩემთვის დგებოდა საყვარელი ზამთარი. მაგრამ ვიგრძენი, რომ კიდევ ხდებოდა სხვა რაღაცა. ვიდექი, ვიყურებოდი ხან მაღლა, ხან აქეთ-იქით, ვფიქრობდი.

ბოლოს მივხვდი, – უცებ გავზრდილიყავი მთელი ერთი წლითაც. მაგრამ ცოტა ხანში ისევ მომეჩვენა, რომ კიდევ ხდებოდა სხვა რაღაცა, თანაც კარგი რაღაც. რა? რა? ამაზე ფიქრით გავატარე ის დღე, ნაფიქრი მაქვს შემდეგაც, სხვა თოვლობას. ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ დღესაც. ვდგავარ ხოლმე თოვაში, ვგრძნობ, რომ რაღაცაც ხდება, გარდა ხილულისა და შეგრძნობილისა, თანაც კარგი რაღაც, მაგრამ რა– არსაიდან არ არის პასუხი.

## II

ზამთრის ღამე იყო. მარტო ვიყავი. შეუცნობელი განგაში მაშინებდა. გული ველარ უძლებდა ამ შიშს. მეჩვენებოდა, რომ ჩემთვის აღარ გათენდებოდა ის ღამე, მაგრამ გათენდა. ფანჯარაში დავინახე, თოვდა, ბარდნიდა. ავდექი. ნელ-ნელა ჩავიცვი. ქუდი დავიხურე, პალტოს საყელო წამოვიწიე და გარეთ გაველი. ჰაერი სიცივითა და თოვლის სუნით იყო გაჟღენთილი; ჩაველი ბაღში. ვჩერდებოდი და ხარბად ვსუნთქავდი, გავუყევი თოვლით გადასპეტაკებულ ბილიკს, მინდოდა, ბაღის ბოლოში გავსულიყავი და იქიდან ერთხელ კიდევ, იქნებ უკანასკნელად, გადამეხედა ხეობისათვის.

ბაღის ბოლოდან გვერდი იწყებოდა; გადავადექი იმ გვერდს. მთელი ხეობა ნისლითა და ჩამომავალი ფანტელებით იყო ამოვსებული. თან ფანტელები ჩამოდიოდნენ შავად. იმ სიშავეში და ფანტელების ჩემს ქვემოთ სვლაშიც იყო რაღაც შემაშფოთებელი; თითქოს საბოლოო თავგანწირვით ვუშვერდი თოვლს სახეს. მალე აღარც ვიცოდი, ცრემლებს ვიწმენდდი, თუ თოვლის ნადნობს. გადაველი ჩამტვრეულ ღობეზე. წაველი გვერდის თავთავ, მივუახლოვდი დიდ, ბებერ ვაშლს. ის ვაშლი ხეობისკენ არის წახრილი, თითქოს ჰაერში ძლივს გაჩერებული. ტოტები თოვლით აქვს დამსხვილებული, დამძიმებული, მის ძირში შავად მოჩანს საცრისოდენა მიწა, მიწაც არა, სველი შავი ფოთლები, იმ შავ ფოთლებში კი – ორი ლამაზი ჩიტბატონა. ოდნავ გაფუყულან. გახედავენ ცას, უყურებენ ფიფქების მირიადებს, მერე დაიწყებენ ფოთლების ქექვას, რაღაცეების კენკვას, ყრუდ მესმის: კურკურებენ, ერუკრუკებიან ერთმანეთს.

თითქოს ხელახლა დავინახე ყველაფერი.

ქვეყნიერება არის დიდი, თოვლის ფიფქების მთელი ოკეანე ჩამოდის მაღლიდან, ოკეანესავით გაწოლია ნისლი დედამიწას. ხეებიც არიან რაღაცნაირად დიდები, ჯერ ცისკენ წასულნი, მერე დაღუნულები, მეცა ვარ დიდი. ყველანი ერთად ავად დავდგომივართ ორ პაწაწინა ჩიტბატონას, ჩიტბატონები კი, ჭრელები, წითლად ციმციმანი, წყნარად, აუღელვებლად ეძებენ რაღაცეებს შავ ფოთლებში, არად აგდებენ ქვეყნიერების სიდიდეს და სიმკაცრეს.

გავბრაზდი ჩემს თავზე. ვუწოდე ლაჩარი, გულდედალი, თანაც ხმამაღლა – მოკვდი, თუ სასიკვდილე ხარ, შე...

ჩიტბატონები გაჩერდნენ. ჭკვიანი თვალებით მომაშტერდნენ. ვუყურე, ვუყურე და გავუღიმე. ეს იყო ჩემს გადასარჩენად მოვლენილი ღიმილი ქვეყანაზე. ჩიტბატონებმა კმაყოფილებით თქვეს:

– აბა, როგორ! აბა, როგორ!

და კვლავ შეუშფოთებლად განაგრძეს შავი ფოთლების ქექვა.

## შუქია

გაჩნდა შუქია და მაშინვე დაიძახა ბებია ქალმა – შეხედეთ, გოგოებო, რა თვალები აქვსო. ათიოდე დღისა ისე იყურებოდა, თითქოს ყველას და ყველაფერს იმახსოვრებდა. სამი წლისა მსახიობობდა. ბოშა ქალივით გაეხვეოდა დიდედას ყვავილებიან შალში, მიმოდიოდა წელის რხევით და ხან აჩქარებით აფახულებდა ხშირსა და გრძელ წამწამებს, ხან ქვეშ-ქვეშ იყურებოდა ეშმაკურად. ხან აელმებდა თვალებს, ხან კი ისე აჭყეტდა და აგიზგიზებდა, მაყურებლები ველარ უძლებდნენ ამის მზერას და პირს აბრუნებდნენ, – კარგი, გოგო, ნუ შვრები ეგეთ რამეებსო! დიდი ხნის ჩანასუნთქს უცებ ამოისუნთქებდა, აკისკისდებოდა და, „კულისებისკენ“ წასული, ნამდვილი მსახიობივით იქნევდა გამოსამშვიდობებლად ხელს.

სკოლაში რომ მიიყვანეს, მორცხვობა დაიწყო. იშვიათად, რომ თვალი ვინმესთვის გაესწორებინა. იდგა თუ მიდიოდა, ძირს იყურებოდა ან არადა გვერდზე გაიხედავდა ფრთხილად. თუნდაც შემოეხედა, თვალის სიღრმეებით სადღაც თავისთვის იყო. თუ მაინც გაბედავდა და თვალს თვალში გაგიყრიდა, ერთი დახამხამებით იმდენ კითხვას მოგაყრიდა, ბრძენიც რომ ყოფილიყო, დაიბნეოდა. ამიტომ იყო, რომ თავისებური რიდით ექცეოდნენ დიდები.

ქალიშვილობაში თითქოს მკერდმა ააწევინა თავი. ნაღმისმძებნელის დაყურადებით ათვალიერებდა ყველაფერს, მზის ათინათივით თბილად გაატარებდა მზერას ერთი მხრიდან მეორისკენ. გვეჩვენებოდა, რომ ის თუ რამეს დააცქერდებოდა, გამადიდებელ შუშასავით ამოსწვავდა.

იმავე ხანებში თითქოს ღელვა დაუწყო ჰაეროვანმა ზღვამ, მალ-მალევე ენაცვლებოდა თვალებში შუქი და ჩრდილი ერთმანეთს. გამოიკვესებოდა ხოლმე მრავალტოტი ელვაც. ბევრ ბიჭს წაუღია უმწეოდ ხელი მკერდისაკენ. წაბარბაცებულა ვითომც დამეხილი. შუქიას მქრქალად ეღიმებოდა. გათხოვდა. თვალებში ჩამოეშვა ერთიანი, სადა, ნათელი და ალერსიანი ფარდა. მშვიდი კმაყოფილებით უჩერდებოდა მზერა. მისი სხეულიც კმაყოფილებას მიეცა. მშვიდი და მომზომველი, რბილი სიმტკიცით იდგა სივრცეში.

მერე ზღვამ ისევ დაიწყო ღელვა, თანაც გამძაფრებით. თითქოს აღარ იცოდა, ვისთვის ან რისთვის უნდა შეეხედა. ქმარმა, არამზადამ, ვიღაც სცენის ბაირაღში გაცვალა. დადიოდნენ ისა და ის სცენის ბაირაღი ქალაქიდან ქალაქში და იცინოდნენ. შუქიას თვალები გაეყინა, ისევე – იმ ღელვისას. ეყოლა ვაჟი. ნელ-ნელა დადაბლდნენ და გადნენ ყინულადქცეული ტალღები. ახლა უკვე თითქოს სულ ალერსის ცრემლში უტივტივებდა ფიქრები. ასე გაგრძელდა მთელი ორი ათეული წელი. სამსახურში აღმერთებდნენ. შუქიასნაირი ტაქტით არავინ ღებულობდა და ისტუმრებდა მთხოვნელებს.

მერე ვაჟმა ცოლი მოიყვანა, ცოტა ხანს გამდნარი ოქროს შუქითაც კი უბრწყინავდა ალერსის ცრემლი შუქიას. მერე თანდათან დაკარგა ბრწყინვალება ამ ოქრომ. თითქოს მოჰპარეს თუ წაართვეს ყოველივე ძვირფასი, რასაც კი კეთილი გამოსხივება შეეძლო. თითქოს ერთი დახამხამებაღა და, ჩამოსკდებოდა მღვრიე ღვარები.

მერე გამოეხატა ყველას და ყველაფრის მიმართ გულგრილობა. აღარ მალავდა აღარც შემჭკნარ ყელს, აღარ აძლევდა ხელებს მიმზიდველ ფორმებს. დაძარღვული ხელები ხშირად გაფარჩხული ეწყო მაგიდაზე. კი არ დაჰყურებდა, ისე. აღარავის არაფრის ამოკითხვა აღარ შეეძლო მისი თვალებიდან.

შვილი სად ჰყავდა? მშვიდად იჩეჩდა მხარს. ასწევდა თავს მაღლა, თვალები თითქოს რაღაცას დააპირებდნენ, მაგრამ არაფერი! ერთხელ ერთმა მთვრალმა ქუჩაში იყვირა: ამასაც მთლად გაუცივდა თვალები, ახლა ნამდვილად დაინგრევა ქვეყანა! – საღამოს შუქია სარკესთან მივიდა. იყურებოდა შიგ და ეღიმებოდა, ისევ შუქია რომ ერქვა და კიდევ იმაზე – ვითომ რაღაც ურთიერთობა რომ ჰქონდათ მის თვალებსა და ქვეყანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძვირფასი საჩუქარი




სახლიდან შებინდებისას გამოვიდა. შიმშილისაგან მისავათებული ფეხარეული მიდიოდა. მეორე დღე იწურებოდა, ლუკმა არ გადასვლოდა პირში. თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა – სად ეშოვა საჭმელი. ამ გაუსაძლის გრძნობას ყველა სხვა, ადამიანური ვნებები დაეჩლუნგა. არაფერი აინტერესებდა. ის ემოციებიც რაც გუშინ მოეძალა, სადღაც გამქრალიყო. გამოუვალობის გრძნობა სინანულის გრძნობამ შეცვალა, მძლავრადაც შემოუტია. უკვე გუშინ მწარედ ნანობდა იმ უაზრო ჯანყს, სერიალების გმირების ბედ-იღბლისაგან „შეგულიანებულმა“, მირაჟს ადევნებულმა, რომ ჩაიდინა. ახლა „უტბო მყვარივით“ დარჩენილი მწარედ ფიქრობდა:

ნუთუ ამას ეძებდა, რაც მიიღო?

კვლავ უფანჯრო სარდაფში ჩარჩა, სადაც სიძველისა და რღვევის სუნი ისევე ტრიალებდა, როგორც ხუთი წლის წინათ, როცა სიხარულით, თითქოს უკანმოუხედავადაც, დატოვა იქაურობა. საუბედუროდ, მხოლოდ გუშინ გააცნობიერა, სადამდე მიიყვანა მის მიერ შეთხზულმა „სისულელის ისტორიამ“. დეიდის ნაანდერძევი „ძვირფასი“ მზითევის ფასი სწორედ გუშინ გაუტოლა უზარმაზარ ნულს. თურმე შიმშილის წინაშე მართლაც უფასურდება ყველა სხვა ფასეულობა – სიყვარულის, სიამაყისა და ღირსების ჩათვლით. უფრო მეტიც, შიმშილი მორალსაც პრობლემებს უქმნის.

თითქოს სულ ახლახან იყო, დედ-მამით ობოლი გოგო, მისმა თანასოფლელმა ტლუ და ჯანმაგარმა მიხომ უპოვარ დეიდას რომ მოაშორა და ცოლად შეირთო. თან შეჰპირდა – დედისერთა ვარ, მაძღარი ოჯახი გვაქვს და არაფერს მოგაკლებთო. ბავშვობიდანვე მოსწონდა წითელტუჩება, მწყერივით გათქვირული თეთრი გოგო. ამიტომაც არად ჩააგდო მისი სიღარიბე, თუმცა იცოდა, უპატრონო გოგოს შერთვას დედამისი არასოდეს აპატიებდა.

დღიდან გათხოვებისა უამრავი დამცირების გადატანა მოუხდა მაყვალას. ჯერ იყო და დედამთილმა ამოართვა სული „უნიფხვოს“ ძახილით. უცრემლოდ და დაუმადლებლად ლუკმაც არ გადასვლია პირში. მერე, მეორე უბედურებაც ზედ დაერთო. ვერ იქნა და ვერ დაორსულდა. რა წამალი, ბალახ-ბულახი არ მიიღო, არაფერი ეშველა. მართალია, ქალაქელმა ექიმებმა უთხრეს, ჯანმრთელი ხარ, შენი ქმარი უნდა გამოვიკვლიოთო, მაგრამ ამის თქმას როგორ გაუბედავდა ბუღასავით ძლიერ მიხოს. პირში წყალი ჩაიგუბა, თავი ჩაღუნა და შრომასა და ტირილში ათენ-აღამებდა გაუხარელ დღეებს.

რაც დრო გადიოდა, ქმარი სულ უფრო და უფრო უგდებდა ყურს დედის ბუზღუნს. ხშირად აგინებდა, ცემდა კიდეც ცოლს. მერე გამოაცხადა: მეზობელ სოფელში საყვარელი გავიჩინე, თუ ბიჭი გამიჩინა, ცოლად მოვიყვანო. დედამისმაც რძლის ჯინაზე კვერი დაუკრა. მეზობლებისაგან შეიტყო, ქვრივ, მასზე უფროს ნუცას რომ ჰყვარობდა მისი ქმარი. ისიც შეიტყო ორსულად არისო ნუცა. სოფლის ენაჭარტალებმა უმალ მოურბენინენს მეტოქის დანაქადნებიც: – ნახეთ, სულ მალე გავაგდებინებ მიხოს იმ ახალგაზრდა გომბიოს და მე დავუჯდები პატრონად მის ბაღ-ვენახებსა და ცხვარ-ძროხასო.

საღამოობით, როცა მათ სახლში სერიალის საყურებლად შეიყრებოდნენ მეზობლები, მაყვალაც იქვე იჯდა და რომელიმე გმირის – დონა როსას, გვადალუპეს, თუ საბრალო მარიას ბედით აღფრთოვანებული ძილის წინ ოცნებებში აგრძელებდა შეწყვეტილ სერიალს, ხშირად მთავარი გმირი თვითონ იყო და, მისი განწყობის მიხედვით ხშირად იცვლებოდა ფილმის შინაარსი, ზოგჯერ შვილის ყოლით გალაღებული სიამოვნებით დაჰყურებდა მის წინ დაჩოქილ ქმარსა და დედამთილს და სულგრძელად პატიობდა ყოველივეს. ზოგჯერ კი, ამაყად იცილებდა თავიდან, წყვეტდა მათთან ყოველგვარ კავშირს და თავის ახალ მდიდარ და კეთილ ქმართან ერთად სამუდამოდ ტოვებდა იქაურობას. ერთი კია, შვილი აუცილებლად მიხოსგან უნდა ჰყოლოდა.

მოკლედ, ყოველი სერიალის მერე მაყვალა ახალ ცხოვრებას იწყებდა, მაგრამ თენდებოდა და ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა. ის კი მაინც ელოდა, ელოდა სასწაულს.

ერთხელაც მართლაც გაწყვიტა ამ ოჯახთან დამაკავშირებელი მძიმე ჯაჭვი... იმ ღამით მთვრალი მიხო გინებით და მუქარით შემოიჭრა სახლში. ჯერ იყო და ცილი დასწამა – ჩემს საყვარელს ჯადო გაუკეთე და მუცელი მოუშალეო. მერე გააფრთხილა: – უნაყოფო ხეს ძირშივე ჭრიან და შენი მოკვეთის დრო დადგაო. „უნიფხვობაც“ შეახსენა, მკვდარი დედ-მამის სულიც უგინა. მაყვალამ ესღა წაილუღლუღა: იქნებ, სულაც არ ყოფილა შენი ნუციკო ორსულად და გატყუებდაო, მაგრამ უეცრად მიხომ ისეთი სილა გააწნა, საბრალო იქვე მდგარმა საწოლმა ძლივს შეამაგრა. კაბა საწოლის თავს ჩამოახია.

მოშიშვლებულ სავსე მკერდზე შიშით აიფარა ხელები. თმაჩამოშლილი, აწითლებული, აცახცახებული, თვალცრემლიანი ნახევრად შიშველი ქალი თავისი უმწეობითაც ისეთი მომხიბვლელი იყო, რომ მის ქმარს ჰაერში შერჩა ზეაღმართული ხელი, გააშეშა ამ სილამაზემ. მერე რაღაც გაუგებრად დაიღმუვლა და ცხოველივით ეძგერა ქალს. მაყვალამ ყვირილი ატეხა მიშველეთო, მერე ხმა ჩაიკმინდა და დამორჩილდა მოძალადედ ქცეულ ქმარს. მეზობელ ოთახში კი, მისი დედამთილი ტელევიზორს ხმას უწევდა და გულში ზეიმობდა... რადგან ყოველივე, მიხოს სიძულვილის გამოვლინებად მიიჩნია. მაყვალამ ძლივს აითრია სხეული. თუ წასვლაა, ახლა უნდა წასულიყო. მაგიდას მიუჯდა და ძალიან მოკლე, გამოსათხოვარი წერილი დაწერა: – „მე ასე ცხოვრება არ შემიძლია, მივდივარ... დრომ და უფალმა გაგვასამართლოს!“ ეს სიტყვებიც რომელიღაც სერიალის გმირისაგან ჰქონდა მოსმენილი. თავისი მწირი ნივთები ჩაალაგა, რაღაც სასწაულად გადანახული 30 ლარიც ჯიბეში ჩაიდო. სკამის კიდეზე ჩამომჯდარი გათენებას დაელოდა. მიხოს კვლავ ეძინა. ქალი დარჩენილ დროშიც ოცნებას მიეცა. ღრმად სწამდა, რომ ბედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმართლებდა. მისი ოცნებების კალეიდესკოპში სანუკვარი სურათები ცვლიდა ერთმანეთს. დაბნეულ, მომნანიე და დაჩოქილ მიხოსა და ატირებული, აცახცახებული დედამთილის სახეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თავად მაყვალა კი, რომელიღაც უცხოური მანქანის საჭესთან მჯდარი, თავისი ულამაზესი შეილითურთ მანქანის ფანჯრიდან უყურებდა, როგორ ფარავდა გზაზე ავარდნილი მტვერი მის მტანჯველებს.

ამასობაში ირიჟრაჟა. ქალმა ფრთხილად გამოიხურა კარები, რომლის მიღმაც დატოვა გაუხარელი ქალობა და უვადო მონობის სიმწარე... რას იზამთ. იმედი უბედურთათვის მეორე სულია, მაყვალაც უბედური იყო და რასაკვირველია, ამ გადასახედიდან არც კი უფიქრია, რაოდენ სახიფათოა ზღვარდაუდებელი იმედიც კი. თბილისში ისე ჩამოვიდა, სასწაული არ მომხდარა. დეიდამისის უბადრუკი ბინა ადგილზე დახვდა. მეზობლებიდან ორიოდე ოჯახიღა შერჩენოდა ძველ საბუდარს. მაყვალამ, რასაკვირველია არავის უთხრა თავისი ჩამოსვლის მიზეზი. ან კი რა უნდა ეთქვა – კომფორტული ბედნიერების საძებნელად ჩამოვედი და ხომ ვერ მიმასწავლით, სად ვეძებოო? ფული რამდენიმე დღეში შემოეხარჯა. დაიწყო ჯერ ნახევრად შიმშილობის, ბოლოს კი შიმშილობის დღეები, რამაც სანაგვე ბუნკერთანაც კი მიიყვანა, მაგრამ „ობიექტი“ დაკავებული აღმოჩნდა. მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. ხიდი გადმოიარა. გმირთა მოედნისაკენ აუყვა გზას. გარშემო ვერავის ამჩნევდა. ვინმეს რომ ეკითხა, სად მიდიხარო, ვერაფერს უპასუხებდა... მისი გონების თვალსაწიერი მხოლოდ „არსობის პურს“ უტრიალებდა. ყველგან საჭმელი ელანდებოდა. მექანიკურად, უმიზნოდ მიდიოდა, ან იქნებ ინსტინქტს დამორჩილებულ შინაგან ხმას მიჰყავდა. ცირკთან არმისულმა დაინახა, მის ფეხებთან როგორ დაამუხრუჭა მანქანამ. მძღოლმა ბახუსისაგან დაბოხებული ხმითა და შეწუხებული სახით უბრძანა – ჩაჯექი! მაყვალაც ჩაჯდა. ნამდვილად არ იცოდა, რატომ, უთხრეს და ჩაჯდა. მისი საკუთარი „მე“ სადღაც მიმალულიყო, ახლა მხოლოდ შიმშილს დამორჩილებული ინსტინქტი ამოქმედებდა.

კაცმა თავისი სახელი უთხრა. ქალს პასუხი არ გაუცია. კაცმა კიდევ რაღაც ჰკითხა, თუმცა მაყვალას ფსიქიკა სიტყვა გაუმტარი აღმოჩნდა. გაღიზიანებულმა კაცმა კითხვა საკმაოდ ხმამაღლა გაუმეორა, მაყვალა ოდნავ გამოფხიზლდა.

– რამდენი?

– რა რამდენი? – კითხვა შეუბრუნა ქალმა.

– რამდენი უნდა მოგცე?

გაიგონა, რა უნდა მოგცეო და უთხრა ის, რასაც მთელი დღე იმეორებდა.

– მშია!

– გშია?! – კარგი გაჭმევ, მაგრამ მაინტერესებს, რამდენი უნდა გადაგიხადო... თუმცა კარგი, ტაქსა ტაქსაა – წავიდეთ. ანგარიშმიუცემლად გაყვა... კაცს კი არა, სიტყვას – „გაჭმევ!“ აუტანლად ცხელოდა. სადღაც, რომელიღაც კორპუსთან გაჩერდნენ. კაცმა გადმოსვლა უბრძანა. შეყოვნდა. კაცმა უხეშად უბიძგა და მე-7 სართულზე ასვლა უბრძანა. მაყვალა ლიფტთან იდგა და ელოდა... საჭმელს. კაცი აგვიანებდა. მშიერს ყოველი წუთი საუკუნოდ ეჩვენებოდა. როგორც იქნა, ისიც მობრძანდა, პარკებით დახუნძლული. – ყველაფერი ხელში შეაჩეჩა და ათასი გასაღებით დაკეტილი კარი გააღო. მაყვალა დაძაბული უყურებდა, იფიქრა გასაღებები აერევა და, ვაი თუ ვეღარ გააღოსო. კაცმა სამზარეულო უჩვენა და უთხრა პარკები იქ დააწყვეო. მაყვალამ თავდაპირველად ვერც კი შენიშნა, რა ხდებოდა სამზარეულოში. ჭუჭყიანი თეფშები, ქვაბები, საჭმლის ნარჩენები მაგიდაზე გროვად ეყარა. მაგიდას არც მიჯდომია, ისე დაიწყო ჭამა. კაცი კარებში იდგა და გაკვირვებული მისჩერებოდა ამ უცნაურ „მეძავს“. მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რამდენი ხანია არ გიჭამია?

– სამი დღეა...

– არაფერი? – არ ეშვებოდა კაცი.

– არაფერი! – ზურგშექცეულს არც კი მოუხედავს, ისე განაგრძობდა ჭამას.

– დიდი ხანია ცირკთან მუშაობ? არ მითხრა ახლა, შემთხვევით მოვხვდი იქო.

– სად?

– ცირკთან – კაცს გაღიზიანება დაეტყო.

– არასოდეს ვყოფილვარ ცირკში, არავის წავუყვანივარ, მხოლოდ ტელევიზორში მინახავს.

– გადამრევს ეს ქალი. კაცმა ძალით შემოატრიალა. მაღადავებ თუ რაა? იქნებ თქვენი მეთოდია, თავი მოისულელოთ. ისე ცნობისათვის, მეც პირველად ვსარგებლობ თქვენი სამსახურით. რა ვქნა, ჩემი ქალები დასასვენებლად წავიდნენ... ცხელა, ყველა გაიკრიფა ქალაქიდან.

მაყვალა დანაყრდა, უხერხულობა იგრძნო.

– სახლის დასალაგებლად მომიყვანეთ? – როგორღაც გაუბედავად ჰკითხა.

– თუ დაალაგებ, ფულს დაგიმატებ. ახლა კი მორჩი ლაპარაკს. აბაზანაში, შედი, ვკვდები ისე მისკდება თავი. სამი დღე არ გამოვფხიზლებულვარ... ძლივს გავყარე ბიჭები...

ქალი გავიდა. ასეთი ლამაზი აბაზანა სერიალებშიც არ უნახავს... სიმაძღრემ, ხორცის ტკივილის დაამებამ რაღაცნაირი, თვლემანარევი სიმშვიდე მოჰგვარა. ოცნებაც კი დაეზარა... შხაპის ქვეშ მდგარმა მხოლოდ გაიფიქრა – საბრალო მარიამაც ხომ მოსამსახურეობით დაიწყო საოცნებო ცხოვრებაო.

დიდხანს არ გამოვიდა აბაზანიდან. ჯერ იყო და თავისი ჭუჭყიანი ტანსაცმელი გარეცხა, მერე მაგრად გაწურა და ისევე, სველი ჩაიცვა.

კაცმა დაუძახა:

– რას ზოზინობ, სადა ხარ აქამდე... მივიდა და დავალების მოლოდინში გაისუსა, კაცი ლოგინში იწვა. ქალს შეეშინდა.. მან კი ხილის წვენით სავსე ჭიქა გაუწოდა – გამომართვიო, თან გაბრაზებით უთხრა.

– ისევ ჩაცმული ხარ, თან სველი გაცვია, შენ ხომ არ აფრენ... მერე წამოჯდა. შუბლზე ხელი დაირტყა – ეს ვის გადავეყარე, რა, გეხვეწო თუ რა ვქნა? იცოდე, არ ამაყენო, თორემ... დაეჭვებით გახედა:

– მართლა პირველადა ხარ?

– თქვენს სახლში? – კითხვა შეუბრუნა არანაკლებ გაკვირვებულმა ქალმა.

– რაო, შენთან უნდა წამოვსულიყავი?

– არა, მე საჭმელი არა მაქვს.

კაცი მიხვდა, ეს მოსულელო, თუ დაბნეული ქალი არ ტყუოდა, მართლაც შემთხვევით მოხვდა ამ გაუგებრობაში. ამ მიხვედრამ გააბრაზა, მას ქალი სჭირდებოდა... ნაბახუსევზე ქალი მისთვის ყველზე საუკეთესო წამალი იყო... მამრის ინსტინქტმა უკან დახევის უფლება არ მისცა. თანაც ქალს შესახედავად არაფერი უჭირდა, პირიქით, კარგიც კი იყო.

– შემთხვევით ქალიშვილი ხომ არა ხარ – დამცინავი კილოთი შეეკითხა კაცი..

– არა, გათხოვილი ვარ.

– ქმარი გყავს?

მაყვალა შეყოვნდა, მერე ენის ბორძიკით უთხრა: ათი დღეა რაც დავშორდი.

– და ახლა ფული გჭირდება ხომ? კარგი 100 ლარს მოგცემ, თუ ჩემს სურვილებს შეასრულებ.

– სახლი დავალაგო?

– ჰო, დაალაგებ, ახლა კი ეს სველი კაბა გაიხადე და დაწექი.

– მე? მე, მე არ შემიძლია...

– მაშინ, ახლა ამ შუაღამისას აქედან გაგაგდებ და იცოდე, ქუჩაში უარესი გელის, თანაც ამ ქალაქში არავინ, არაფერს მოგცემს...შიმშილით ამოგხდება სული... გაიგე!? მაყვალა ერთხანს გაუნძრევლად იდგა. მხოლოდ თვალების მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ გამოსავალს ეძებდა. მერე თვალები დახუჭა, მაგრად, მაგრად, თითქოს იმის დანახვა, რაც ახლა უნდა მომხდარიყო, არ უნდოდა. ყველაფერი ისე მოხდა, ნაკოტირებული პაციენტივით მას არაფერი უგრძვნია. თითქოს ამას ყველაფერს გარიდებულმა, თავისი სხეული დროებით ათხოვა ვიღაცას. კაცმა დაიძინა. მაყვალა ფეხაკრეფით ადგა სამზარეულოში გავიდა და კვლავ ჭამა დაიწყო. ჭამდა ნელა,

სვენებ-სვენებით. თავიდან ვერ მიხვდა, რატომ იყო ყველაფერი სველი და მლაშე, ნამცხვარიც კი, მერე როცა მხედველობა ისე დაებინდა, რომ ვერაფერი დაინახა, მიხვდა, ტიროდა... წყნარად, უხმოდ, აფრქვევდა ცრემლებს, როცა ტირილი შეწყვიტა – სამზარეულოს დალაგებას მიჰყო ხელი. უხმაუროდ, სწრაფად და ხარისხიანად აკეთებდა საქმეს. მერე აქა-იქ მიყრილ-მოყრილ ტანსაცმელსაც მიუჩინა ადგილი. გასარეცხი გარეცხა... ნაგავი აივანზე გაიტანა. როცა კაცმა გაიღვიძა, უკვე შუადღე იყო გადასული. თბილი შემოდგომა იდგა... მაყვალა ფანჯარასთან იჯდა და ელოდა ბატონის გაღვიძებას...

კაცმა შეხედა, რაღაცის თქმა დააპირა, მერე გადაიფიქრა და სამზარეულოსკენ გაემართა. მაცივრიდან ბორჯომი გამოიღო და აი, სწორედ მაშინ დაინახა, როგორ კრიალებდა იქაურობა.

– ეი, შენ რა გქვია?

– მაყვალა, – წყნარად მიუგო ქალმა, ისე რომ ფანჯრისთვის თვალი არ მოუშორებია.

– ყოჩაღი ქალი ყოფილხარ, მაყვალ! – უთხრა კაცმა და ჩაცმა დაიწყო.

– მომისმინე, ახლა უნდა გავიდე. გარედან ჩაგკეტავ, კარს უჩემოდ ვერ გააღებ... პატარა საქმე მაქვს, მალევე დავბრუნდები... მაცივარში მგონი ყველაფერია... სადილი გააკეთე...

მაყვალამ მორჩილად დაუქნია თავი.

კაცი საღამოს მოვიდა. მაყვალას უგემრიელესი საჭმელი დაემზადებინა. კაცმა ისადილა. მერე ქალს პარკით რაღაც გაუწოდა და ღიმილით უთხრა:

- აიღე, კაბა გიყიდე, მგონი შენი ზომაა. მერე თითქოს თავისი საქციელი ეუხერხულაო, დააყოლა: – რა ვქნა, მეცოდები, ტო... თუმცა საკმაოდ ჩქარა მოერია სენტიმენტალობის უნებლიე გამოვლენას და ერთგვარი სიმკაცრითაც უბრძანა:

- ახლავე ჩაიცვი, ეს ჯღანები კი მოისროლე.

მართლაც ლამაზი კაბა იყო. მაყვალამ ერთგვარი კეკლუცობითაც ჩამოისვა თეძოებზე ხელი.

კაცმა ნაზად მიიზიდა... მიუალერსა. მაყვალას წინააღმდეგობა არ გაუწევია, არც თვალი დაუხუჭავს. კაცის ალერსს ისე პასუხობდა, როგორც კინოებშია. ასეთი ნეტარება პირველად იგრძნო. ქმრის უხეში, უალერსო სიყვარულის შემდეგ უცხო კაცის სინაზემ, ლამაზმა სიტყვებმა ქალობა აგრძნობინა. ერთად ისაუზმეს. კაცმა გამოკითხა, ვინ იყო და რამ მიიყვანა იმ ღამით ცირკთან. ყველაფერი უამბო, კაცმა გულწრფელად უთანაგრძნო, შემდეგ, ამოიოხრა და უთხრა:

– რა გიყო, ხვალ ჩემი ცოლ-შვილი ჩამოდის. ჩემი საყვარელი კი – ზეგ. კიდევ ერთი ქალის დამატება არც მინდა და არც შემიძლია. ასე რომ, ჩემო კარგო, დღესვე უნდა წაგიყვანო შინ... თითქმის ქვადქცეულ ქალს ხელში ჩაუდო ასი ლარი და ბედნიერება უსურვა.

ზღაპარი, სიზმარი თუ მორიგი სერიალი დამთავრდა. მაყვალა ასი ლარით, ახალი კაბითა და შელახული სინდისით შინ დაბრუნდა. მისი ქალაქური ოდისეა, უკეთეს შემთხვევაში, ასე უნდა დამთავრებულიყო, რომ არა...

პირველი კვირა დარდობდა ოცნების მამაკაცთან განშორებას. ეგონა შემიყვარდაო, ისიც კი იფიქრა, მოდი, მივალ იმ ადგილას, იქნებ კვლავ სადმე გადავეყაროო... მაგრამ თავადვე მიხვდა, რომ მასთან შეხვედრის ალბათობა ნულთან ახლოს იდგა. და გადაწყვიტა, კვლავ ბედს დამორჩილებოდა.

ორი კვირა გავიდა... ფული ჯერ კიდევ ჰქონდა. ძალიან მომჭირნედ ხარჯავდა. ერთ დილით კი ცუდად იგრძნო თავი, თავბრუ დაეხვა, გულიც აერია. ჯერ იფიქრა, რაღაცამ მაწყინაო, მერე როცა ეს შეგრძნება რამდენჯერმე გაუმეორდა მიხვდა, რაც ჭირდა... ფეხმძიმედ იყო. ამ ამბავმა ერთდროულად გააკვირვა, შეაშინა, გაახარა და დაფრთხო კიდეც. გრძნობების ამ უცნაურმა ნაზავმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ერთი კი რაც იმთავითვე გადაწყვიტა, ნანატრი ბავშვის შენარჩუნება იყო. მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამ სიტუაციაში ვერც თავს და ვერც ბავშვს შიმშილისაგან ვერ იხსნიდა. ბავშვის მამის არც გვარი იცოდა, არც – მისამართი. კიდეც რომ სცოდნოდა, იმ კაცმა ნათლად უთხრა – გაქრი ჩემი ცხოვრებიდანო.

შანტაჟსა და დევნას არავითარი აზრი არ ჰქონდა. მიხოსთან დასაბრუნებელი გზაც მოჭრილი იყო. სასოწარკვეთილებამ მოიცვა. დღეში სამჯერ-ოთხჯერ დარბოდა დიდუბის ეკლესიაში და ღვთისმშობელს შემწეობას სთხოვდა – უკან, ქმართან დასაბრუნებელი გზა მაპოვნინეო. სულ მცირე ხნის წინ, ვინმეს რომ ეთქვა, დაბრუნდებიო, მწარედ გაეღიმებოდა, ახლა კი ყველაფრისთვის იყო მზად. დრო გადიოდა... პირველმა ელდამ გაუარა, უფრო მშვიდად ეძებდა გამოსავალს. ფიქრებიც თანდათან ეწმინდებოდა, გონი მოერია ემოციას. სასოწარკვეთა ჯანსაღმა აზრმა შეცვალა. თუმცა იმ მზაკვრობას, რაც მაყვალამ მოიფიქრა, „ჯანსაღს“ ვერ უწოდებდით.

რა ექნა, სერიალის დადებითი გმირივით პატიოსანი გზით მიზნის მიღწევა არ გამოუვიდა, ახლა უარყოფითი გმირებისთვის უნდა მიებაძა. მოკლედ, მიხო, უნდა მოეტყუებინა. ქმარმაც ხომ უღალატა... თუკი მას იმ ქვრივთან შვილის ყოლის ბედნიერება ჩაეშალა, რა მოხდებოდა, კანონიერი ცოლისაგან მიეღო ეს საჩუქარი.

გეგმის განხორციელება აღარ გადადო. მეორე დღესვე დაიარა დეზერტირის ბაზრის ყველა კუთხე-კუნჭული. იცოდა, თანასოფლელ ქალებს სოკო და კენკრა ექნებოდათ გასაყიდად ჩამოტანილი. ბაზრის ალაყაფის კარის უკან მდგარ ნინიკოს, მიხოს ბიძაშვილსა და მის საუკუთესო მეგობარს რომ მოჰკრა თვალი, სიხარულით ლამის შეკივლა. ეს შეხვედრა ბედის ნიშნად მიიღო და სანამ ნინიკო გონს მოეგებოდა, გულში ჩაიკრა დაქალი. ნინო გაოცებული შეჰყურებდა ქალაქურად, კოხტად ჩაცმულ, გალამაზებულ მაყვალას. და ტკბებოდა დაქალის უცხო სურნელით მაყვალა კი ამ დროს ხარბად ისრუტავდა მისი მშობლიური კერიდან წამოყოლილ სოფლის სურნელს.

– რა ლამაზი ხარ გოგო, როგორ მოგხდომია ქალაქი. აი, დაუდგეს თვალები მიხოს, რა ცოლი დაკარგა... – ტიკტიკებდა მასთან შეხვედრით გახარებული. მაყვალა ატირდა, ნინომ ქალური გუმანით იგრძნო, მთლად კარგად არ უნდა ყოფილიყო მეგობრის საქმე და ტექსტი შეცვალა:

– მაყვალ, ნეტა იცოდე, რა ხდება მამიდაჩემის სახლში. მიხო და დედამისი ხოცავენ ერთმანეთს. რაც შენ დაგაკლო, არა, სულ დედამისზე გადაიტანა. მამიდაჩემი, შენ რომ წახვედი, სულ იმას გაიძახოდა – იმ ბერწ „უნიფხვოს“ მიხო თუ უკან დააბრუნებს, სახლს დავწვავო... ახლა ჩუმადაა. მიხო სულ სვამს, გოგო... კი, ჩემი მამიდაშვილი ვირია, მხეცია, ბრიყვია, მაგრამ მგონი უყვარხარ, გოგო... ისე დარდობს, წვერგაუპარსავი დადის, სულ მოღუშული.

– მერე, თუ ასეა, განა არ იცის, სად მიპოვოს. ან კი როგორღა არ ფიქრობს, უფულო, უსახსრო, გაგიჟებელი ქალი როგორ ვძლებ ქალაქში, იქნებ რა მომივიდა, იქნებ მოვკვდი – და მაყვალამ ისეთი ბღავილი მორთო, ხალხის ყურადღება მიიქცია.

– უი, მაყვალ, შენცა გყვარებია, გოგო – შეიცხადა ნინიკომ. მერე მიხოს გამართლება სცადა:

– იცის, მეზობლები, ნათესავები რომ გყავს, ან იქნებ იმას ფიქრობს, გაწვალდება და მერე თავისი ფეხით დაბრუნდება შინო. ხომ იცი, ვირივით ჯიუტია, თავნება...

– ეჰ, ჩემო ნინო, აქ ყველას თავისი გასჭირვებია, ყველას ფეხებზე ჰკიდიხარ.

– ჰო, მართლა, როგორღა ძლებ, ან ეს კაბა ვინ გიყიდა, სამუშაო ხომ არ გიშოვნია?

– რას ამბობ, ნინუცი, აქ სამუშაოს როგორღა იშოვი. ცოდნა მაქვს, თუ განათლება. ეს კაბა დეიდაჩემის მეგობარმა მაჩუქა, მის შვილს არ ჩაეტია. ნინო, ჩემო მეგობარო, კარგო, ერთი რამ უნდა გთხოვო... იცი, რა მოხდა? იცი? მაყვალა ცახცახებდა.

– დამშვიდდი, მაყვალ, მიამბე რა მოხდა.

– წამოსვლის წინა ღამეს მიხომ ჯერ მცემა, მერე კი ძალა იხმარა... გავმწარდი, რას ვიფიქრებდი, რომ ეს უბედურება ბედნიერებას მომიტანდა. ხუთი წელი არაფერი მომხდარა და ახლა...

– დაფეხმძიმდი?!

**[დასასრული იხილეთ 37-ე გვერდზე]**



## არჩილ მაღლაფერიძე

ქიმიკოსი, მეცნიერი. მისმა დიდმა ნათლიამ, მერაბ კოსტავამ სიყვარულის ნიჭი უხვად დაანათლა. პირველი ლექსი სიყვარულმა დააწერინა. დრო გადიოდა და სიყვარულიც ემატებოდა. გამოქვეყნებაზე არც უფიქრია. მისი ლექსები რედაქციაში მისმა მეუღლემ ქ-მა მანანა კეიდიამ მოიტანა. მე მომწონს, იქნებ თქვენც მოგეწონოთო. მოგვეწონა და ახლა თქვენც გთავაზობთ.

### ჩემს მანანას!

ბრწყინავს მანანა ციური ნამი,
ყვავილთ ფურცლებზე დანაფერები,
მზეს სურს ამბორით დაადნოს ცვარი,
ქარმა შეუშროს ცრემლი ფერებით.
როცა ოცნებით წლებს მოვიგონებთ,
განვლილს ცხოვრების ოაზისებით,
სულიერების ნაზო ფერიავ,
მუდამ გფარავდნენ ანგელოზები;
იდუმალება არის ბუნების,
დღე სევდიანი ჩვენი წამების,
დანიშნულ გზებზე მუდამ გაისმის,
გედის სიმღერა ფერისცვალების;
ვინ დაგვიბრუნებს ყრმობას, გაზაფხულს,
ცვარით დანამულ ლურჯთვალა იებს,
ბედი გვიმეტებს წლებით დაღარულს,
ვემშვიდობებით რიჟრაჟზე მთიებს.
როცა ღრუბელი ზეცას დაბინდავს,
თვალცრემლიანი ბუნება სტირის,
როგორ გაუძლოს პატარა გულმა,
შემოდგომის მწუხრს და სულის ტკივილს.
თუ შემოდგომა, უფლის წყალობას,
სიცოცხლეს ძარცვავს ქარის სიავით,
არ დაიჯერო წარმავალობა,
ფერისცვალებით დააჭკნობს ყვავილს,
წარმავლობას მიჰყვება ბინდი,
რადგან სიცოცხლე წარსულის მკვიდრი,
ისევ მშვენებით ლამაზი მოდის,
ვით გაზაფხულზე ყვავილის კვირტი,
ბრწყინავს მანანა ციური ნამი,
ყვავილთ ფურცლებზე დანაფერები,
მზეს სურს ამბორით დაადნოს ცვარი,
ქარმა შეუშროს ცრემლი ფერებით.

### ქუჩა

წლებს გაედევნა ბავშვობა ქუჩის,
წარსულს ვიხსენებ ცაცხვების ძირში,
დრო შეუმჩნევლად, რომ გადიოდა,
გაჩხერილიყო მზე თითქოს ჩრდილში;

ისევ ამ ქუჩის კუთხეში ვდგავარ,
შეყვარებული პატარა ბიჭი,
ისევ მომყვება ის სიყვარული,
დიდი ქუჩის და პატარა ჩიხის,

რამდენი გრძნობა გაზიდა წლებმა,
არ დამიკარგავს კაცობის ნიჭი,
ისევ ამ ქუჩის კუთხეში ვდგავარ,
შეყვარებული პატარა ბიჭი;

### ბუხარი

გამოატარეს მანძილი შორით,
ბუხარში იწვა დაჭრილი მორი,
ეკიდებოდა დარდისფრად ალი,
გახვეულიყო ფიქრებში ბოლი.
ზოგჯერ ისმოდა ტკაცუნი ალის,
იფერფლებოდა ნაცრისფრად მორი,
ბუხართან თვლემდა დაღლილი თვალი,
შორეთს მიჰქროდნენ ღრუბლები ბოლის;

ცას ვარსკვლავები დაუპნევია,
წუთისოფელი მთვარემ გალია,
დილა მთქნარებით წამოიწია
და მზემ სხივები დღეს შეაფრქვია;
ხელებგაწვდილი ვიდექი მზისკენ,
ალს მიკიდებდა სხივთა მთოვარი,
არც მწირი ვიყავ, არც მათხოვარი,
უფლისგან მქონდა მზე ნათხოვარი;

### ორი მოხუცი

*ვუძღვნი ჩემს ძვირფას მეგობრებს*
*ნუნუ და თენგიზ ჭუმბურიძეებს!*

ორი მოხუცი მოდის მოხრილი,
ებჯინებიან მიწაზე ჯოხით,
სახეზე სიმწრის ჩამოსდის ოფლი,
თითქოს მოთოხნეს აჩრდილი თოხით.
გვერდიგვერდ ერთად არწევდნენ სხეულს,
გზას ანიშნებდა ჯოხების ჩრდილი,
ყოველ ნაბიჯზე ოხრავდა მიწა,
ნაბიჯი ჰქონდათ მოკლე და ფრთხილი.
ხელის კანკალით მიჰქონდათ დარდი,
გზა გასავლელი ჯერ კიდევ იყო,
თვალსაწიერზე ისევ მოსჩანდნენ,
ორი აჩრდილი არ გამქრალიყო,
როგორ გასმინოთ, შენ ერთადერთო,
ამონაკვნესი მაღლა ხარ, ღმერთო,
ნუთუ სიცოცხლეს არასდროს წყალობ,
მიწავ, გვიხსენი შენთან ვართ ახლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა ჭკადუა

# ბოდვა

პატარა ბიჭი ნაგვის ურნასთან ბოთლებს აგროვებს. კოტიტა თითებით ხუთ ცალს ძლივს იჭერს. იქვე მარკეტში აბარებს. გამყიდველი ხურდას ღიმილით უბრუნებს.

– აუჰ, რამდენია! – გაიკვირვებს ის და მარწყვის ნაყინს ყიდულობს. ფული არ ყოფნის, მაგრამ კეთილი გამყიდველი თხოვნას უსრულებს. პატარა ბიჭი ეხოსკენ თავქუდმოგლეჯილი გარბის. პატარა გოგონას დედის კალთაში თავი ჩაურგავს და ძინავს. სახეზე ღიმილი დასთამაშებს.

პატარა გოგოს სიზმარი: პატარა ბიჭი ენახე.

წლები გაირბენს...

იმ ღამეს ჩემთან დრო მოვიდა. ზღაპრულ ბედაურად გადაიქცა, ზურგზე შემისვა და...

დიდი კოცონი დაანთეს.

ყველას ერთ ქვაბში ხარშავენ – დიდს, პატარას, ჭკვიანს, სულელს, ბოროტს, კეთილს, შეშლილს, განდეგილს.

დედამიწა ისევ ბრუნავს. დრო კარგავს დროის შეგრძნებას. მას არ ეშინია ამის. მაინც ყოველთვის და ყველგან არის. უბრალოდ, უნდა გაახილო თვალი.

თუმცა, ვიღაცამ მაინც დახუჭა თვალი. ხელები გულზე დაიწყო. კაც ზვამბაიასთან ერთად მიქელგაბრიელის სიმღერა იმღერა. პირი გაუშრა, სუნთქვა შეეკრა, გული გაუჩერდა. მაგრამ ის მოვიდა და ტუჩები დაუსველა, მკვდარ თვალებზე ცრემლი მოადინა, სახეზე ღიმილი გადაჰფინა და ისევ წავიდა. ის ვიღაც კი მთელი ცხოვრება ამ წუთს ელოდა...

ღამე გაილია, დღე მოვიდა. ვარდმა დედოფლობა ისურვა, მცველებად ეკლები დაიყენა. ბალახებში ჩამალულმა იამ ცვარი დაიბერტყა და მხარზე დასკუპებულ პეპელას გადაუჩურჩულა: ვარდი ლამაზია, სილამაზე დედოფალია, მაგრამ დიდხანს ბატონობა არ შეუძლია.

„მოფრინდა უცხო ფრინველი...“

მერე დღე ისევ ღამემ შეცვალა. როგორმა ღამემ? სამოთხის მთვარით დამშვენებულმა ნეტარმა ღამემ. იდუმალებით და ოცნებებით დახუნძლულმა ლამაზმა ღამემ...

და იმ ღამეს არ მეძინა მე. არ ეძინა მას. არ ეძინა ევას, არ ეძინა ადამს. შემდეგ დედას, მამას, დას, ძმას, ბებიას, ბაბუას. არ ეძინათ მეგობრებს. წარმოიდგინეთ, არ ეძინა ილიკოს, ილარიონს, ზურიკელას, სოსოიას რუსს, და ვინ მოსთვლის, კიდევ ვის. შემდეგ თუ მანამდე, არ ეძინა წუთს, წამს, ოჯახს, სახელმწიფოს, სიკეთეს, სიძულვილს, მტრობას, სათნოებას... არ ეძინა მდიდარს, ღარიბს, მეფეს, დედოფალს, მოახლეს, მიუსაფარს, ბოროტს, კეთილს, მინისტრს, პრეზიდენს.

დროის შეჩერება მინდოდა, მაგრამ არ დამემორჩილა. ის ღამე კი მანამდეც იყო და მერეც...

იმ ღამეს ყველაზე მეტად უნდოდათ ვაშლი, შვილი, ფული, ხაჭაპური, ჭაჭა, თოფი, სითბო, ჭყინტი ყველი. შემდეგ თვალის ჩაპაჭუნება, შვილის თუ შვილიშვილის ბედნიერება, სინათლის ხილვა, შეშლილის კარგად ყოფნა, თავისუფლება, წამლით განკურნება, ლექსის თქმა, ჯადოქრობა, ბრძოლა, ცეკვა, სიმღერა, ჯანზე ყოფნა. შემდეგ სიმდიდრე, განძი, ოცნება, ფრთები, ფრენა, ქადაგად გავარდნა, დიდება, ქება, იმედი, რწმენა... და აღარ უნდოდათ ტირილი, გლოვა, დაცემა, ძრწოლვა, კვნესა, ოხვრა, გმინვა, გოდება. შემდეგ ღალატი, ჭრილობა, ბნედა, განგმირვა, შიში, ცოდვა, აღრევა, სისხლი, ნისლი, გაურკვევლობა.

თეთრი გედი სადღაც პირველად და უკანასკნელად ამღერდა.

ვიღაცა ცოდვებს ინანიებდა – სველ სილაზე ბავშვის ნაფეხურები გაჩნდა – მთვარემ გაიღიმა – ზღვა დაწყნარდა – სიომ იავნანა იმღერა – მოუსვენარი ტალღა მიჩუმდა – ადამიანმა შვებით ამოისუნთქა – სუფთა ჰაერს ხარბად დაეწაფა – ხელში ჯადოსნური ჯოხით სილაზე სიტყვები გამოსახა:

„აღარ ველოდები ლოდინს,
აღარ მელოდება სხვა გზა“...

– ღამე უფრო იდუმალი გახდა – იმედი ჩაისახა – რწმენა დაბრუნდა – თავისუფლებამ გაინავარდა – ნაღველი გაილია – სევდა გაქარწყლდა – სუნთქვა გახშირდა – ცრემლი ჩამოდინდა და ის ვიღაც ხელმეორედ დაიბადა.

მინდოდა გამეგო შემდეგ რა მოხდა, მაგრამ დრომ სხვაგან წამიყვანა...

მის დანახვაზე ქუჩა დადუმდა.

იყო ერთი ასეთი ქალი, ქედმაღალი და ამპარტავანი, თანაც მორჩილი და ღრმადმორწმუნე სალომე – ქალი. თითქოს საკმევლის სურნელს აფრქვევდა ავდარში, დარში. ხანდაზმული, მაგრამ ჯერ კიდევ ლამაზი ქალი. ანდერძად მერგო მისგან ამბავი, ცხოვრების ერთი ლამაზი ბწკარი. ტვირთი, საზიდი სიცოცხლის დარი, ვისთვის მძიმე და ვისთვის მსუბუქი...

ქიმიის პრაქტიკულს შვიდნი ესწრებიან – ერთი გოგო და ექვსი ბიჭი. კოლბაში თითოეულმა რაღაც ეთერზეთის თითო წვეთი უნდა ჩაასხას. – გრძნობთ რამეს? – ექვსჯერ ეკითხავს ლექტორი. არა – იქნება ექვსჯერვე პასუხი. დადგა პატარა გოგონას ჯერი. მოხდა სასწაული: – სასიამოვნო სურნელმა შთანთქა მთელი ოთახი. მარტო ოთახი?.. მესმის სახელები – სალომე, ირაკლი, ნოდარი, ლერი, უჩა, ესტატე, ბოლოს რევაზი... თავიდან ვიწყებ: სალომე, ესტატე, ირაკლი, რევაზი, ნოდარი, უჩა და ბოლოს ლერი... არ მომწონს, ისევ თავიდან ვიწყებ, ვგრძობ, რომ ირღვევა რაღაცა კარგი – ს(ალომე), უ(ჩა), რ(ეზო), ნ(ოდარი), ე(სტატე), ლ(ერი), ბოლოს ი(რაკლი). შემდეგ სათითაოდ გამოაკლდათ: ჯერ რეზო, მერე ნოდარი, შემდეგ უჩა, შემდეგ ირაკლი, ესტატე, ბოლოს კი ქალი... აუ, რა ქალი... ბოლომდე ტვირთის მზიდავი ქალი, ფარატინა და ლამაზი ქალი, კერპი, ღვთაება, მიწის ღმერთქალი, სალომე – ქალი. სიყვარულისთვის შექმნილი ქალი – ერთგული, ამპარტავანი, ბოლოს მარტოსული, და მაინც იღბლიანი ქალი... ეჰ, ბევრს უნატრია ასეთი ქალი...

ზღაპრული რაში წინ მიიწევს, როგორც ისარი. სივრცე ნისლშია ჩაძირული. ნაცრისფერი ხალხით არის სავსე ნაცრისფერი ქალაქი. ძლივს ჩანს მათი ნაცრისფერი სილუეტები. ასე მგონია, ვარ „ნებაყოფლობით მგლოვიარეების სამფლობელოში, სადაც ვერ გრძნობენ ძრწოლას, ვერც მოწყენას, რადგან მათთვის უცნობია დიდი სიხარული“. მეც გავერიე მათში. ძალიან მინდა დავინახო, მესმოდეს, სიტყვით გამოვხატო, მაგრამ ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის, ვერაფერს ვამბობ. ნეტავ რაში დასჭირდა დროს ამის ჩვენება ჩემთვის?.. და უცებ ვხვდები, ის ყველგან არის. ბრმა უკეთ ხედავს, ყრუს უკეთ ესმის, მუნჯის სიჩუმეს შეუძლია თქვას ყველაფერი.

ბედაური ისევ მიფრინავს წინ. სივრცეს ციცინათელები ანათებენ – წითელი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი ციმციმებით. მსგავსი მსგავს ეძებს და ისინიც წყვილ-წყვილად გვინათებენ გზას. ერთია მხოლოდ მოწყენილი, ვარდისფერი და ეულად მყოფი. ვერსად ვერ ნახა თავისი სწორი:

– თან წამიყვანეთ. – გაბედა ვარდისფერმა ციცინათელამ და ბედაურის გაშლილ ფრთაზე ჰპოვა ადგილი.

„მიჰქრის, მიმაფრენს, უგზოუკვლოდ ჩემი მერანი“...

გემბანზე დგას ცეცხლისფერთმიანი ლამაზი ქალი, თმას უწეწავს ქარი. შეამჩნევს ამას ათლეტი კაცი, ახლოს მივა და ვნებიან ტუჩებს შეახებს მხარზე. ქალი მიიღებს უჩვეულო ამბორს. ღამე ფეხქვეშ გაეგება უცნაურ წყვილს... დილით გემი ჩერდება და ცეცხლისფერთმიანი აღარსად არის. კაცი მიხვდება – რაღაც მოჰპარეს, ქარმა წაიღო ლამაზი წამი.

ოცი წლის შემდეგ...

გემბანზე ისევ დგას ცეცხლისფერთმიანი ლამაზი ქალი, თმას

უწეწავს ქარი. შეამჩნევს ამას, უკვე ჭაღარა, ათლეტი კაცი... ქალმა მამა იპოვა. კაცმა – მოპარული წამი.

ბედაურს წყალი მოსწყურდა. ნაკადულს დაეწაფა. ანცობა მოუნდა, გახტა-გამოხტა, ანკარა წყალი შხეფებად გაფანტა.

ბავშვობა ამოტივტივდა...

ბაბუს კალთაში ვზივარ და ,პაწაწუნა თითებით ულვაშებს ვწიწკნი. ბაბუს არ ტკივა, ეღიტინება და ხელებს მიკოცნის. შემდეგ მაჯაში მკიდებს ხელს, თითებს მიშლის და ცერა თითიდან იწყებს: ამან თქვა მშიაო, ამან – რომ არა გვაქვსო? ამან თქვა ღმერთი მოგვცემსო, ამან – რომ არ მოგვცესო, ამან თქვა მოვიპაროთო.

– რომ მოიპარა, იმიტომ დარჩა პატარა? – ვკითხულობ გაკვირვებული.

– ჰო, ბაბუ, იმიტომ დარჩა პატარა.

– მე რატომ ვარ პატარა. მე ხომ არაფერი მომიპარავს?..

ბაბუ აღარ მპასუხობს.

ვტოვებ ბავშვობას...

მერანს მივყავარ, არ ვიცი საით. მართლა მეგონა, რომ არასდროს მოვიპარავდი.

ახლა ვიცი, რომ ჯერ სამყაროს მოვპარე წამი, შემდეგ დედ-მამას სისხლი და ხორცი, და-ძმას მოფერება, განთიადს ნამი, საღამოს ჟამი, მზეს სითბო, მთვარეს ოცნება და სიზმრები, ვარსკვლავებს სიკაშკაშე და ციმციმი, სიკეთეს სათნოება. გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას, ზამთარს – ყვავილი, ზღვა, წვიმა, თოვლი; მთას სიმაღლე, ვაკეს დაბლობი, ჩიტებს ჭიკჭიკი, ფოთლებს შრიალი...

შემდეგ სიძულვილს ზიზღი, ავდარს სიშმაგე, ბოროტებას შავი თესლები, ჭექა-ქუხილს ცეცხლი, ზღვას წვეთი, თოვლს სისპეტაკე, წვიმას სისველე, ყვავილს სურნელი, დღეს ნათელი, ღამეს წყვდიადი, ცისარტყელას ფერი, ქარს ნიავი, სიცოცხლეს წყალი, სიკვდილს უკვდავების მარცვალი, ლოცვას მრწამსი, სანთელს იდუმალი წამი, გენიოსს აზრი...

ვიღაცა მღერის. ვინ უნდა იყოს თუ არა ლოთი, სიყვარულით მთვრალი?!

– „არ მომიპარავს, მიპოვნია, ახლა ჩემია...“

ეეჰ, მას მართლა ასე ჰგონია, კარგია თუ ჰგონია, ხანდახან ყველას ასე ჰგონია, ასე მგონია. ვპარავთ ვაზს დალოცვილ სისხლს, ვუერთებთ ჩვენსას და მერე... მერე გვგონია, რომ არ მოგვიპარავს, გვიპოვნია...

„მიჰქრის, მიმაფრენს უგზოუკვლოდ ჩემი მერანი“...

ვპარავთ ერთმანეთს ოცნებებს და არ გვრცხვენია. ვპარავთ ფიქრებს და არ გვრცხვენია, ვპარავთ სიტყვებს, ჩვენი გვგონია და მერე სულ აღარ გვრცხვენია. დავდივართ ასე უსირცხვილოდ დედამიწის ზურგზე და მაინც გვიხარია, რადგან ჩვენ სიშიშვლეს ლამაზი საფარველი აქვს და ის ვერტიკალური და თანაც ბრუნვადია.

რა ხდება. სად ვარ. სიზმარია? არა... ბოდვაა, ჩემი ბოდვა თუ...

მე კიდევ ვბოდავ?!..

* * *

თერმომეტრი 40-ს უჩვენებს.

– აბა, გენაცვალე,.. ჩაისუნთქე... ასე... ისუნთქე... არ ისუნთქო... ისუნთქე...

თეთრხალათიანების სიჭარბე მაოცებს. ჩემი ბედაური არსად ჩანს. გაყვითლებული კედლის ნაწილი დაძველებულ შპალერს დაუფარავს. თვალებს ვხუჭავ. წუთით კედელზე შერჩენილი ფიგურები ისევ ცოცხლდებიან. მაგრამ მხოლოდ წუთით. შემდეგ მესმის ხმა. ვიღაც სანდომიანი ქალი წამლის გადაყლაპვას მთხოვს. უსიტყვოდ ვემორჩილები. გადის წუთი, შემდეგ ორი, სამი... ღობეზე ცხვრები ერთი მეორის მიყოლებით ხტებიან. ნეტავ, სად წავიდა დრო? ან რატომ წავიდა?

ძილი მომერია.

ღამე – სასწაულს, დღე – სასწაული ცვლიდა...

[დასასრული. დასაწყისი იხილეთ 32-ე გვერდზე]

– ჰო, ნამდვილად ორსულადა ვარ, არ მეჩვენება. რა გზას დავადგე. ნანინანატრ შვილს ხომ არ მოვიცილებ. რა ვქნა, ბავშვიანად ამ უპატრონო, ცივ ქალაქში, ვინ შემიცოდებს, მათხოვრობაც გამიჭირდება... – მაყვალა კვლავ ხმამაღლა ატირდა, – ნინო, უთხარი მიხოს, გაახსენე ყველაფერი თუ არაფერს იღონებს თავს მოვიკლავ, სხვა გზა არ დამრჩენია.

– რას ჰქვია, თავს მოიკლავ – ნინომ მუშტებიც კი შეკრა.

– ვეტყვი კი არა, აქ ჩამოვათრევ. დამაცადონ, დამაცადონ...

მეორე დღიდან ელოდა მაყვალა მიხოს. მოუთმენლად ელოდა თავის უხეშ, ღონიერ, ხეპრე, მაგრამ... მისთვის ყველაზე ახლობელს, მის პატრონსა და დამცველს. უჩვეულოდ დაგრძელებული დღე ისე დაღამდა, კარზე არავის მოუკაკუნებია. მარტოობამ, მონატრებამ, შიმშილმა, ტკივილმა, უიმედობამ, თანდათან მოკუნტა, დააპატარავა... ისე მიეგდო ლოგინის კუთხეში, როგორც, დამტვრეულ სათამაშოს მიაგდებენ ხოლმე ბავშვები. შუაღამე კარგა გადასულიყო, რომ ჩაეძინა. დილით მიხომ ლამის შემოამტვრია კარები. შუბლშეკრულმა ყოველგვარი ბოდიშის, კოცნისა და მოკითხვის გარეშე უთხრა უცებ გამოფხიზლებულ და სიყვარულით მზირალ ცოლს:

– გუშინ მანქანა ვერ ვიშოვე. ახლა ნოდარას ჩამოვყევი, ჩაიცვი, მივდივართ!

მაყვალამ თავისი ძველი კაბა ჩაიცვა, თავშალიც ძველებურად მოიხვია. მიხო თადახრილი იჯდა. თავი არ აუწევია, ისე ჰკითხა:

– რაც ნინომ მითხრა ის, მართალია, თუ მოიტყუე და ასე გინდა დაბრუნება!

– მართალია! – მოკლედ მიუგო მაყვალამ.

მიხომ თავისებურად ჩაიღიმა. მერე ადგა და გარეთ გავიდა. პატარა კალათით ხილი, ქადები და ხაჭაპურები შემოიტანა. მაყვალას წინ დაუდო და სითბოგარეული ხმით უთხრა:

– ჭამე, შენთვის შიმშილი არ შეიძლება.

მაყვალამ ჭამა დაწყო, გემრიელად ილუკმებოდა. ქმარი სიყვარულით მისჩერებოდა.

– ვინ გამოაცხო, – ქადაზე და ხაჭაპურზე მიუთითა.

– დედაჩემმა.

– დედაშენმა? მე გამომიცხო? რაღაც არ მჯერა.

– არ იზამდა და მისი აჯობებდა, – რაღაცნაირი მამლაყინწური მუქარით თქვა მიხომ. მერე საუკეთესო ვაშლი ამოარჩია და წინ დაუდო.

მაყვალამ ახალი კაბა არ წაღო. ქალაქში დატოვა, როგორც უტყვი მოწმე იმისა, რაც თავად უნდა დაევიწყებინა.

მზე ჯერ კიდევ მცხუნვარედ ანათებდა, როცა სოფელში შევიდნენ. სერიალი იქით იყოს და, ოჯახიდან მოკვეთილი მაყვალა მართლაც გამარჯვებული ბრუნდებოდა შინ. მართალია, „მერსედესის“ ნაცვლად ნოდარას დანჯღრეულ „ჟიგულში“ იჯდა, მაგრამ ისეთი საჩუქარი მოჰქონდა, ისეთი, რომელზე ძვირფასიც მთელ დუნიაზე არაფერი მოეპოვებოდა. გულის კუნჭულში სინდისი ხმაურობდა, ქენჯნიდა... ასეა, რასაც გადაიტანს ტვინი, იმას ნაკლებად გადაიტანს გული. მაგრამ ისიც იცოდა, ამიერიდან ყველა ახლომახლო სალოცავს სულ მუხლებზე ხოხვით მოივლიდა და უთუოდ გამოთხოვდა უფალს შენდობას. ისევ უფლის მადლს უნდა ექცია ეს ცოდვის შვილი ღვთის შვილად... მას უნდა დაეცვა მისი ოჯახი. მაყვალას უხაროდა შინ დაბრუნება. იცოდა, რომ ამიერიდან არასოდეს ინატრებდა დონა როზას, გვადალუპესა თუ მარიას ბედს, ოღონდაც თავისი ქმარ-შვილი ჰყოლოდა კარგად. მზად იყო უდრტვინველად, უსაყვედუროდ აეტანა ცხოვრებისეული სიძნელეები, მოკლედ ყველაფერი, რასაც კი ღმერთი მოუვლენდა. უფრო მეტიც, მზად იყო ჰყვარებოდა ის კუდიანი დედამთილიც, რომელსაც ამიერიდან მისი ბავშვის საყვარელი ბებია ერქმეოდა სახელად.

p.s. ეს ამბავი არც კომედიაა და არც ტრაგედია, ეს უბრალოდ დღევანდელი დღის, ცხოვრებისეული ფაქტია, რომელიც თქვენთვის ჩავიწერე...

**მანანა კელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ წერილის მომზადება ერთი ახალგაზრდა მანდილოსნის გულწრფელობამ და სრული სერიოზულობით ნათქვამმა სიტყვებმა გადამაწყვეტინა. იგი ოცდაათი წლისაა, საკმაოდ ჭკვიანი და განათლებული. კარგი სამსახურიც აქვს და თქვენ წარმოიდგინეთ, არც თაყვანისმცემლები აკლია... მაგრამ, რატომღაც დღემდე ვერ გათხოვდა... „თქვენს ჟურნალში ბევრ საინტერესო თემას ეხებით, მაგრამ იქნებ იმაზეც დაგვეწერათ, ოცდაათი წლის შემდეგ როგორ გავთხოვდეთ“ – გვითხრა და იქვე დასძინა: თუმცა, ალბათ, ყველაფერი ბედიაო...

აღნიშნული პრობლემა რომ ნამდვილად დგას ჩვენს რეალობაში (და არა მარტო ოცდაათი წლის ქალბატონების წინაშე), ალბათ, თქვენც დაგვეთანხმებით, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ, მოდით, მიზეზების ძიებას სადმე სხვაგან ნუ დავიწყებთ, და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ „ბედმა თქვა, ვინც მოგიხმარს, წელიწადში ერთხელ ყველას კარზე შემოვადგებიო...“ ვფიქრობთ, ბედი ჩვენივე ხასიათია და პრობლემის სათავეც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ.

## გააჩნია, ვის გაჰყვები

გათხოვების პრობლემა (გააჩნია, ვის გაჰყვები, თორემ ისე, გათხოვებას რა უნდა?!) ფსიქოლოგების აზრით, განსაკუთრებით ენერგიული, საკუთარ თავში დარწმუნებული და ძლიერი ხასიათის ქალების წინაშე დგას. ასეთ ქალებს ძალიან უფრთხიან მამაკაცები და არაფრის გულისთვის არ სურთ მათთან ურთიერთობა. მეტიც, ეშინიათ კიდეც მათთან სიახლოვის. რატომ?! ალბათ, იმიტომ, რომ მამაკაცის ცნობიერებაში დევს პირველყოფილი, ზოგჯერ გაუთვითცნობიერებელი შიში ინტელექტის მქონე, ფინანსურად დამოუკიდებელი ქალებისადმი.

რაც უფრო ჭკვიანია ქალი, მით უფრო მეტად სჭირდება მას იმის მტკიცება, რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანია, აქვს ასევე ჩვეულებრივი მოთხოვნები და შეუძლია იყოს წყნარი, მორჩილი მეუღლე.

საოცარია, ქალი, რომელსაც ყველაფერი აქვს (მატერიალურს ვგულისხმობთ) და არც გარეგნული და სულიერი სილამაზე აკლია, მაინც მარტოა. რატომ, რა დააშავა?! ნუთუ ის, რომ სხვებზე ჭკვიანი და მოხერხებულია (ოღონდ არა სასიყვარულო საქმეებში, რა თქმა უნდა)?

სამწუხაროდ, ასეთი ტიპის ქალებს დამოუკიდებლობასთან ერთად ხასიათის ისეთი შტრიხები უყალიბდებათ, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, მამაკაცებს (ამ თემაზე საკმაოდ ბევრ მათგანთან მოგვიწია საუბარი) არ მოსწონთ. თუმცა, თუ ასეთი ქალები გათხოვებას გადაწყვეტენ, ამაში შეუძლებელი არაფერია, მხოლოდ ეგაა, რომ თავიანთი ჩვევებისა და დამოკიდებულების შეცვლა მოუწევთ ბევრი საგნისა თუ მოვლენის მიმართ. უპირველეს ყოვლისა კი, საჭიროა, მიეჩვიონ ნაცვალსახელების „შენ“ და „ჩვენ“ ხმარებას „მეს“ ნაცვლად. ეცადონ ყურადღება საკუთარი პერსონიდან სხვებზეც გადაიტანონ.

გახსოვდეთ: მამაკაცი მიიღეთ როგორც პარტნიორი და არა, როგორც კერძო საკუთრება.

## საქმიანი ქალები

საქმიანი ქალები შეიძლება კარგი პარტნიორები იყვნენ ბიზნესის სფეროში, სხვა შემთხვევაში თანასწორუფლებიანობის საწყისზე მამაკაცთან ურთიერთობა ცოტა ძნელად ეჩვენებათ.

თუ თქვენ საქმიან ქალთა კატეგორიას მიეკუთვნებით და ოჯახის შექმნა გსურთ, თავი დაანებეთ მუდმივ პაექრობას და თავიდან მოიშორეთ აზრი იმის შესახებ, რომ მასზე ძლიერი ხართ. გაუთხოვარი ქალები მიჩვეულები არიან თავიანთ მდგომარეობას, ისინი თავად იღებენ გადაწყვეტილებებს და არავის არაფერში ეთანხმებიან. ასეთი ჩვევების დათმობა აუცილებლად მოგიხდებათ: თქვენ უნდა დაეკითხოთ, მოეთათბიროთ, რჩევა ჰკითხოთ მამაკაცს, თუნდაც ეს მამაკაცი გონებრივად თქვენზე დაბალ საფეხურზე იდგეს და იმაშიც დარწმუნებული იყოთ, რომ აზრთა ეს გაცვლა-გამოცვლა მხოლოდ დროის ფუჭად დაკარგვა იქნება.

საქმიანი ქალები პირველობას არიან მიჩვეულები. ეს ცუდი როდია, მაგრამ ისინი უნდა შეეგუონ იმ ფაქტს, რომ ოჯახის შექმნის შემდეგ უფროსობა მხოლოდ სამსახურში მოუწევთ.

## მამაკაცმა თავი ზედმეტად არ უნდა იგრძნოს

თუ გათხოვებაზე ხელი ჯერ კიდევ არ ჩაგიქნევიათ, სასარგებლოა იცოდეთ, რომ თანაცხოვრების დროს შევიწროვება მოგიწევთ: აბაზანში დემონსტრაციულად გამოფენილი თქვენი პარფიუმერია გვერდით უნდა მისწიოთ და ადგილი რჩეულის ნივთებსაც დაუთმოთ. ასევე, კრიტიკული თვალით უნდა გადახედოთ ოთახებს, განსაკუთრებით საძინებელს, უნდა გაითვალისწინოთ პარტნიორის გემოვნება, რომელი ფერი უყვარს მას, როგორ სუნამოს ანიჭებს უპირატესობას და ა.შ. მამაკაცმა თქვენთან თავი ზედმეტად არ უნდა იგრძნოს და არც ის უნდა აფიქრებინოთ, რომ მის გარეშეც „იოლად გახვალთ“.

მარტოხელა ქალების უმრავლესობას წესად აქვს ე.წ. სასტუმრო ოთახი ხელუხლებლად „შეინახოს“. იქ მხოლოდ და მხოლოდ საპატიო სტუმრები უნდა შევიდნენ, შინაურებთან კი – ბოდიში... მაგრამ მამაკაცს, იქნებ სწორედ ამ ოთახში, სავარძელზე სურს მოსვენება?! ნუ აგაფორიაქებთ ჩვეულების დარღვევა, თქვენი რჩეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ ყველაზე ახლობელი და საყვარელი პიროვნება უნდა იყოს თქვენთვის, მასზე უკეთ ვინ მოიკალათებს ძვირფას ტახტსა თუ სავარძელზე?! თანაც, ჩვენ ხომ არც ისე დიდხანს ვცოცხლობთ, რომ ოთახები, სკამები და სავარძლები თაობებზე ვიანგარიშოთ?!

## ნუ აიტკივებთ აუტკივარ თავს

ზოგიერთ მარტოხელა ქალს მიაჩნია, რომ თუ ქმრად ისეთ კაცს აირჩევს, რომელთანაც საერთო საქმე და ბიზნესი აკავშირებს, ეს კარგია. ვფიქრობთ, არასწორი მოსაზრებაა – საერთო საქმე მეუღლეებისთვის ბევრი რამითაა ცუდი, უპირველეს ყოვლისა კი იმით, რომ ეს საქმე ცოლ-ქმრული, ოჯახური ურთიერთობებისთვის ნაკლებ ადგილს ტოვებს. სამსახურის პრობლემებზე მთელი ღამე კამათი სასიკეთოს არაფერს მოგიტანთ, ეს საუბრები საწოლშიც გაგრძელდება. თუ ბიზნესის საქმე კარგად მიდის, თქვენ არასოდეს გექნებათ დრო ერთმანეთისთვის, ხოლო თუ საქმე ჩაგივარდათ, გულგატეხილებსა და დეპრესიაში მყოფებს რაღა სიყვარულისთვის გეცლებათ?!

ერთი სიტყვით, აუცილებელი არაა ბიზნესის პარტნიორმა თქვენს საწოლში გადმოინაცვლოს. ბოლოს და ბოლოს, ყველას აქვს უფლება დაისვენოს, განიმუხტოს, განერიდოს ყოველდღიურ რიტმს. ოცდაათ წელს გადაცილებული ქალისთვის კი ასეთი ნავსაყუდელი ოჯახი უნდა იყოს. მას არც დაქალებში სარბენად და საჭორაოდ ეყოფა დრო და ნერვები. ამიტომაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არჩევანში არ შეცდეთ და აუტკივარი თავი არ აიტკივოთ.

ერთიც, მართალია, ოჯახურ პოლიტიკას ქალი ქმნის („ქალი აშენებულ ოჯახს დაანგრევს და დაქცეულს ააშენებსო"– ქართული ანდაზა), მაგრამ მამაკაცის მართვა იოლი საქმე არ გეგონოთ. თუ ბედმა გაგიღიმათ და თქვენი რჩეული იპოვეთ, პირველობაზე ნუ იფიქრებთ და გიყვარდეთ, გიყვარდეთ, რადგან სიყვარულის გარეშე ოჯახური ბედნიერება ვერ იარსებებს.

**თამთა გურული**



# ზაკი

აბაშიძის ქუჩის ერთ-ერთ პატარა, მყუდრო კაფეში მოხვედრილმა სტუმარმა შეიძლება ვერც გაიგოს, რომ მას 2005 წლის მისტერ სიმპათია მოემსახურა, – დიახ, სილამაზის კონკურსის მის და მისტერ ამიერკავკასიის ნომინანტი ზაქარია ბუაძე. დღეს იგი სამოდელო სააგენტო „ნატალისთან„ თანამშრომლობს და მამაკაცის მოდელის პროფესიულ არჩევანს უკომპლექსოდ უყურებს.

ზაკი, როგორც მას მეგობრები ეძახიან, ბავშვობიდან სცენაზე ოცნებობდა, თუმცა არანაკლებ სპორტი იტაცებდა. კერძოდ, კრივი. უფრო მოგვიანებით კი – კიკბოქსინგი. 2002 წელს მეგობარი მოდელი გოგონას მიწვევით სამოდელო სააგენტო „ლეონში" მოხვდა, სადაც მისი მონაცემები მოეწონათ და სამუშაო შესთავაზეს. თავდაპირველად ეს საქმე გართობის საშუალებად აღიქვა. მას კომპლექსიც ჰქონია, რცხვენოდა, მაგრამ მალევე დასძლია თავი. დიზაინერები მამაკაცი მოდელის შერჩევისას ხშირად ზაკს იწვევდნენ. სტუდენტობის პერიოდიდან იურისტის დიპლომი შერჩა, თუმცა პროფესიული არჩევანი გაკეთებული აქვს. სასცენო ცხოვრება სწორედ იმ პერიოდიდან დაუწყია, როდესაც იგი ინსტიტუტის სახელით სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში იღებდა მონაწილეობას. მათ შორის, ორ სპექტაკლში („თეთრი ბაირაღები" და „ღია შუშაბანდი") ითამაშა. არც ჯარისათვის აურიდებია თავი, ორი წელი იმსახურა, სამაგალითო თანამშრომელიც ყოფილა.

საქართველოში ზაკი კონტრაქტის გაფორმებას არ გეგმავს. სამოდელო სააგენტოებთან არჩევს მიწვევით, ხანმოკლე შემოთავაზებებზე მუშაობას. ახლა კი იგი სერიოზულად ჩაფიქრდა საზღვარგარეთ კარიერის გაგრძელებაზე. მისი აზრით შრომა უფასურდება, როდესაც ხათრით აკეთებ. მას თავის მოღვაწეობის მანძილზე ჰქონია შემთხვევები, როდესაც თხოვნით რამოდენიმეჯერ მიუმართავთ და შემდეგ დაუვალებიათ კიდეც. მაგრამ როდესაც პროფესიონალი ხარ, იგულისხმება, რომ შენ ამით ფულს შოულობ. საქართველოში მოდელის გასამრჯელო არც თუ ისე მაღალია (დღიური დატვირთვა 80-150 დოლარის ფარგლებში ანაზღაურდება), თან არასტაბილური, მიწვევიდან მიწვევამდე კი თავის რჩენა გჭირდება. ამ მხრივ ზაკს პრესკაფეში მუშაობა ეხმარება. პოდიუმზე გამოსვლისა და სხვადასხვა ფოტოსერიებში მონაწილეობის გარდა, ზაქარია ბუაძე თავისი მოღვაწეობიდან შემდეგ პროექტებს იხსენებს: სავაჭრო ცენტრის GTC-ის ტანსაცმლისა და სათვალეების რეკლამა; ლუდი „ჩეხურის" რეკლამა; ბაჩის კლიპი, რომელიც „პირველი სტერეოს" ეთერში მაყურებელთა თხოვნით გადის; ქეთი გომართელის ბოლო კლიპი „აქ ყველგან მე ვარ", რომლის გადაღებები თებერვალში მიმდინარეობდა და მოწვეულ მსახიობებს სიცივეში წყალში ჩასვლა უწევდათ. როგორც ახლა იხსენებს, რეჟისორი გიორგი კვალიშვილი ხარობდა, რომ გადაღებას ქარიანი დღე დაემთხვა და დამატებით სპეცეფექტებზე დროის დაკარგვა აღარ დასჭირდათ. მოდელი ზაკი კი არყის მიღების შემდეგ არც სიოს და აღარც ცივ წყალს უფრთხოდა. მიუხედავად ამისა, იგი ქეთი გომართელთან თანამშრომლობას თავის კარიერაში ყველაზე ნაყოფიერად მიიჩნევს.

მოდელი ზაკი თვლის, რომ ოცნება აიხდინა. მას არ უსწავლია თეატრალურზე, მაგრამ თავისი მიზნის რეალიზაცია მოახერხა, იმიტომ, რომ სულის სიღრმეში ყოველთვის სჯეროდა წარმატების. დღეს იგი თავისუფალია არჩევანში და სჯერა, რა მიზანსაც დაისახავს, აისრულებს. უახლოესი მომავლის გეგმებზე საუბარს შეგნებულად არიდებს თავს. ახლახან სერიოზულ ფოტოსერიაში მიუღია მონაწილეობა, მალე საქართველოში შექმნილი ახალი სამოდელო სააგენტოს სახე გახდება, მაგრამ ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

**თამარ ნინიძე**

ს 45/42
ეროვნული ბიბლიოთეკა




### განსაკუთრებული ფლავი

500 გრამი კარტოფილი და 500 გრამი ხორცი პატარა ნაჭრებად დაჭერით და ცალ-ცალკე ცხიმში შეწვით. 2 ჩაის ჭიქა ბრინჯი 4 ჩაის ჭიქა მდუღარე მარილწყალში მოხარშეთ. 2 ცალი სტაფილო და 1 ცალი ჭარხალი სახეხზე დახეხეთ, ერთმანეთს შეურიეთ და მსუბუქად მოშუშეთ. ღრმა ქვაბში ფენა-ფენა, ერთმანეთის მონაცვლეობით მოათავსეთ ბრინჯი, კარტოფილი და ხორცი. ზემოდან ჭარხალი და სტაფილო მოაქციეთ, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი ან რგოლებად დაჭრილი ხახვი და მოასხით ერბო ან ზეითუნის ზეთი. სუფრასთან მიტანის წინ შეაცხელეთ და ულუფებად დაანაწილეთ.

### შემწვარი კარტოფილი აჯიკითა და კვერცხით

500 გრამი გათლილი კარტოფილი მსხვილ სახეხზე დახეხეთ, მოათავსეთ ცხიმიან ცხელ ტაფაზე, მოასწორეთ, მოაყარეთ მარილი და პილპილი ან დანით თხლად აჯიკა გადაუსვით, ტაფას ხუფი დააფარეთ და შეწვით. როცა ცალი მხარე შეიბრაწება, ფრთხილად გადააბრუნეთ, მოასხით ზემოდან 3-4 ცალი ათქვეფილი კვერცხი, კვლავ თავზე დაახურეთ და ცეცხლზე იქამდე გააჩერეთ, ვიდრე კვერცხი არ შეიწვება. სუფრაზე მიტანის წინ მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი, კამა ან ოხრახუში.

### ხაჭოს სალათა

მსხვილ სახეხზე დახეხილი 1 ცალი საშუალო ზომის მოხარშული ჭარხალი საცერში გატარებულ 300 გრამ ხაჭოს შეურიეთ, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი, 1 ცალი საშუალო ზომის ხახვი, 3 ცალი წვრილად დაჭრილი მოხარშული კვერცხი, 1 ცალი გახეხილი ვაშლი (უმჯობესია „ანტონოვკა“) და 5-6 ცალი გახეხილი ნიგოზი. დაუმატეთ გემოვნებით მარილი, მოასხით მაიონეზი და კარგად აურიეთ.

### ყველიანი კექსი

1 ჩაის ჭიქა პურის ფქვილს შეურიეთ 1 ჩაის ჭიქა გახეხილი ყველი, 100 გრამი კარაქი ან მარგარინი, 2 კვერცხის გული და კარგად აურიეთ. მიღებული ცომი პატარა ტაფაში ან კექსის ფორმაში მოათავსეთ და ცხელ ღუმელში 40-45 წუთით შედგით, ვიდრე ოქროსფრად არ დაიბრაწება.

### ხაჭოს ნაყინი

250 გრამ ხაჭოს დაუმატეთ 150 მლ. რძე (შეიძლება შესქელებულიც), 75 გრამი შაქრის ფხვნილი და საცერში გაატარეთ, შეურიეთ ცოტაოდენი გახეხილი ნიგოზი, 250 გრამი ათქვეფილი ნაღები ან არაჟანი, დაჭრილი ხილი ან კენკრა გემოვნებით. შეგიძლიათ 1 ცალი ათქვეფილი კვერცხიც დაუმატოთ. მზა მასა საყინულეში მოათავსოთ და კარგად გაყინეთ. სუფრასთან მიტანის წინ ხილით ან კენკრით მორთეთ.

### შოკოლადში ამოვლებული ფორთოხალი

შოკოლადი პატარა ნატეხებად დატეხეთ, ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაუმატეთ წყალი (100 გრამ შოკოლადზე 1 სუფრის კოვზი წყალია საჭირო) და მუდმივი მორევით გაადნეთ. გაფცქვნილი ფორთოხლები ლებნებად დაანაწილეთ, თითოეული ლებანი შოკოლადში ამოავლეთ და ფოლგიან თეფშებზე დააწყვეთ. შეინახეთ მაცივარში.



ეროვნული ბიბლიოთეკა







ჩოხატაურის
რაიონის
სოფელ
ბუკნარის
ყოვლად-
წმიდა
ღვთის-
მშობლის
სახელობის
ეკლესია





ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76178

# საქველმოქმედო გამოფენა

## „ომის ბავშვები"



თემურ სხულუხია - „გასხივოსნება"



რამინ აფაქიძე - „ნინო"



გია მირზაშვილი - „თაიგული"



ალექსანდრე ხუბუა - „სწრაფვა"



დავით ბაქალუა - „ჩიტი დედოფალი"

ფასი 1 ლარი